ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

5 აგვისტო პარასკევი 2011

№ 182 (13 479) ფასი 80 თეთრი

# ალალი იყო ბაშიც და... სტვენაც

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



# ფაქტი: დინამოს სამი ეტაპი შვიდი წლის შემდეგ

## კომენტარი: ასეთი თამაშით...

2

# დიდი ეროვნული უხერხულობა: ყველა ყაყანებს, ყანაო მერე ვილაცას დასცდება, ეგა ვართ, ქვეყაყანაო

## დღეს წილისყრაა

რამდენიმე დღის წინ იმ სავარაუდო მეტოქეთა მიახლოებითი სია შემოგთავაზეთ, საიდანაც ევროპის ლიგის პლეი ოფში "ზესტაფონისა" და "დინამოს" მეტოქეები უნდა გამოვლენილიყვნენ. ევროპის ლიგის გუშინდელმა მატჩებმა კი საბოლოოდ გაარკვია პლეი ოფში განთესილი 38 კლუბი.

დღეს, თბილისის დროით 15 საათსა და 30 წუთზე უეფას შტაბბინაში დაიწყება წილისყრა, რომელიც ორი ქართული კლუბის საპლეიოფო მოწინააღმდეგეებს ამ სოლიდური ჩამონათვალიდან „შეარჩევს".

UEFA EUROPA LEAGUE

### დინამოსა და ზესტაფონის სავარაუდო მეტოქეები

| | |
|---|---|
| ტოტენჰემი (ინგლისი) | სპორტინგი (პორტუგალია) |
| ბირმინგემი (ინგლისი) | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ფულჰემი (ინგლისი) | აეკ (საბერძნეთი) |
| სტოკი (ინგლისი) | პაოკ (საბერძნეთი) |
| ატლეტიკი (ესპანეთი) | ანდერლეხტი (ბელგია) |
| ატლეტიკო (ესპანეთი) | ბრიუგე (ბელგია) |
| სევილია (ესპანეთი) | სტანდარდი (ბელგია) |
| შალკე (გერმანია) | ბეშიქთაში (თურქეთი) |
| ლაციო (იტალია) | სელტიკი (შოტლანდია) |
| რომა (იტალია) | რეინჯერსი (შოტლანდია) |
| პსჟ (საფრანგეთი) | სტიაუა (რუმინეთი) |
| რენი (საფრანგეთი) | დინამო (რუმინეთი) |
| ლოკომოტივი მ. (რუსეთი) | რაპიდი (რუმინეთი) |
| სპარტაკი მ. (რუსეთი) | ზალცბურგი (ავსტრია) |
| დინამო კ. (უკრაინა) | აუსტრია (ავსტრია) |
| მეტალისტი (უკრაინა) | ჰაპოელი თ. (ისრაელი) |
| პსვ (ჰოლანდია) | სპარტა (ჩეხეთი) |
| ალკმაარი (ჰოლანდია) | თუნი (შვეიცარია) |
| ბრაგა (პორტუგალია) | რუსენბორგი (ნორვეგია) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა. საპასუხო მატჩი

# სამი ეტაპი შვიდი წლის შემდეგ

4.08. თბილისი. ბ. პაიჭაძე
15 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| რეიკიავიკი | 0 |

**პირველი მატჩი 4:1**

1:0 იაგუე (48, ჰომოლას პასით), 2:0 კახელიშვილი (55)

| დინამო | რეიკიავიკი |
|---|---|
| 4-3-3 | 4-2-3-1 |
| ლორია | ჰალდორსონი |
| ოდიკაძე | სნორასონი |
| კაკუბავა | იოსეპსონი |
| ჰომოლა | გ. სიგურდსონი |
| თომაშვილი | გუნარსონი |
| ფირცხალავა | ოლაფსონი |
| ჯილაური | ე. იონსონი |
| კოშკაძე | გ. იონსონი |
| კახელიშვილი | ბ. იონსონი |
| იაგუე | ჰაუკსონი |
| რობერტინიო | ფინბოგასონი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. გარსია | რ. კრისტინსონი |

**დინამო**

56. ლექვთაძე - **იაგუე**
62. თექთურმანიძე - **კოშკაძე**
66. ბერაია - **კაკუბავა**
სათადარიგოები: ნადირაძე, ახალაია, კოტო.

**რეიკიავიკი**

48. ბალდვინსონი - **ჰაუკსონი**
64. ლუდვიქსონი - **ფინბოგასონი**
77. ფრიდგეირსონი - **გ. სიგურდსონი**
სათადარიგო: ბ. სიგურდსონი

გაფრთხილება: ოლაფსონი (36), ფირცხალავა (40), ფინგობასონი (45), იოსეპსონი (47), გ. სიგურდსონი (52), კახელიშვილი (52), ბ. იონსონი (73), ჯილაური (76), ლუდვიკსონი (90)
გაძევება: ჯილაური (81)
არბიტრი: პ. გილი (პოლონეთი)

## სტვენა და... ტაში

... მატჩის დასრულების შემდეგ ეროვნულ სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა „დინამოს" ფეხბურთელები მოედნიდან ტაშით გააცილა; არადა, პირველი ტაიმის მიწურულს იმავე ტრიბუნებიდან დინამოელთა მისამართით... გამაყრუებელი სტვენა ისმოდა! რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი და უკვე იმაზეც უწყობენ ობსტრუქციას საყვარელ გუნდს, ისლანდიის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან პირველ ტაიმშივე რომ ვერ „მოვამთავრეთ საქმე". რა თქმა უნდა, ყველას სურს, რომ თავისი საყვარელი გუნდის თამაში იდეალურთან მიახლოებული იყოს; თანაც, „დინამომ" ხომ უკვე დაგვაჩვია „ლამაზ-ლამაზ" და დიდი ანგარიშით მოგებებსაც (შინაც და გარეთაც), — ჰოდა, „რეიკიავიკს" სტუმრად თუ სამბურთიანი უპირატესობით ვაჯობეთ, ესე იგი, თბილისში უფრო შთამბეჭდავად უნდა მოგვეგო. აი, ასეთი „არგუმენტი ჰქონდა, ალბათ, ქომაგთა იმ ნაწილს, პირველი ტაიმის მიწურულს

„დინამოს" ობსტრუქცია ვინც მოუწყო; ფაქტია, რომ შეხვედრის პირველ 45 წუთში „დინამომ" მართლაც დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ერთდროულად ორი მნიშვნელოვანი ფაქტორიც: უპირველესად, არაოპტიმალური შემადგენლობა (ამ საკითხზე ცალკე ვისაუბრებთ) და ამას გარდა, პირველ მატჩში მოპოვებული სოლიდური უპირატესობა. ანუ, რატომლაც დარწმუნებული ვართ, რომ სხვა შემთხვევაში დინამოელთა შესრულებით ისეთივე ლაღ ბურთაობას ვიხილავდით, როგორიც „ლანელისთან" საშინაო მატჩში ან სტუმრად „მილსამისთან" ვნახეთ. თუმცა, მთავარი მისია გუნდმა შეასრულა: „რეიკიავიკს" ორივე მატჩი დამაჯერებლად მოუგო და შვიდწლიანი პაუზის მერე „დინამომ" ევროტურნირების სამი ეტაპი გადალახა!



## გარსიას არჩევანი

პირველ მატჩთან შედარებით ორივე გუნდის ძირითად შემადგენლობაში საკმარისზე მეტი ცვლილებები მოხდა: **ალექს გარსია** რომ დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელებს (**ჩისკოს, კვეკვესკირს, რეხვიაშვილს**) ვერ დაიხმარდა, წინასწარვე ცნობილი იყო; ამათ გარდა გუშინ არ უთამაშია ესპანელ გარემარბს **კოტოსაც**, სამაგიეროდ სასიამოვნო სიურპრიზი იყო დაცვის ცენტრში ტრავმამოშუშებული **ლევან კაკუბავას** გამოჩენა; „დინამოს" შემადგენლობაში გარკვეული გადაადგილებებიც ვიხილეთ: **გულვერდ თომაშვილი** მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობდა, საყრდენი **ნიკა ფირცხალავა** გახლდათ, ხოლო ჩისკოს ადგილი 19 წლის **ჯაბა ჯილაურმა** დაიკავა. რაც შეეხება **რობერტინიოს** გამოჩენას, ეს არავისთვის სიურპრიზი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ 23 წლის ბრაზილიელს გუშინ საუკეთესო მატჩი ნამდვილად არ ჩაუტარებია; თუმცა, მხოლოდ რობერტინიოს? რაც შეეხება სტუმრებს, ვფიქრობთ, ნაკლებად საინტერესო უნდა იყოს „რეიკიავიკის" შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები, თუმცა იმას კი ვიტყვით, რომ სტუმართა თავკაცმა **რუნარ კრისტინსონმა** პირველ მატჩთან შედარებით ძირითადში ოთხი გადაადგილება მოახდინა. სხვათა შორის, „რეიკიავიკს" სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ... ოთხი ფეხბურთელი ჰყავდა და უფრო მეტიც — ძირითად მეკარეს **ჰანეს ჰალდორსონს** ტრავმა რომ მიელო, შემცვლელიც არ ჰყავდა! აქვე, იმასაც გეტყვით, რომ „დინამოსაც" ერთი კაცით ნაკლები ჰყავდა სათადარიგოთა სკამზე, — ფაქტია, რომ ტრავმირებული თუ დისკვალიცირებული ფეხბურთელების არყოფნის მიუხედავად, გარსიამ გუნდის რამდენიმე მოთამაშეზე, ალბათ, საბოლოოდ თქვა უარი...

## უფერული ტაიმი

...შეხვედრის დასაწყისი ისეთი გამოდგა, როგორც ყველა ვვარაუდობდით: „დინამომ" სწრაფი გოლის გატანა სცადა და ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა სტუმართა კართან. თავდაპირველად მარჯვენაფლანგელები აქტიურობდნენ, მაგრამ **გიორგი კახელიშვილისა** და **დავით ოდიკაძის** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. „დინამო" არ ცხრებოდა და ჯერ **ალექსანდრე კოშკაძეს** შეეძლო თავის გამოჩენა, მერე კი — **იაგუეს,** მაგრამ კუთხურების მეტს ვერაფერს გამოვრჩით. ამდენი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ კინაღამ დავისაჯეთ: სტუმართა პირველივე შეტევა **გუნარ იონსონის** სახიფათო დარტყმით დამთავრდა, მაგრამ „დინამოს" კარში ხომ **გიორგი ლორია** იდგა, ვინც ამჯერადაც უშეცდომო მატჩი ჩაატარა. ტაიმის ბოლომდე ისლანდიელებმა კიდევ ორჯერ შემოგვიტიეს — ერთხელ შორეული დარტყმა აცილეს, მეორედ კი ისევ გუნარ იონსონმა გაისროლა შორიდან, მაგრამ ლორიამ ამჯერადაც სწორი პოზიცია შეარჩია. აი, „დინამო" კი, დაახლოებით მეოცე წუთიდან პირველი ტაიმის ბოლომდე უჩვეულოდ ინერტულად გამოიყურებოდა და ჩვენი ფეხბურთელების უამრავი შეცდომაც, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებლად მოქმედებდა ქართველ ქომაგებზეც...

## სასიამოვნოც და უსიამოვნოც

პირველ ტაიმში „დინამოს" თამაში სასიამოვნო სანახავი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ერთ-ერთი ფეხბურთელის უშეცდომო და, რაც მთავარია, დამაჯერებელი ასპარეზობა მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობად გვეჩვენა — **ირჟი ჰომოლაზე** მოგახსენებთ, საქართველოში ამ რვა თვის განმავლობაში, უდავოდ, საუკეთესო შეხვედრა რომ ჩაატარა. სწორედ 31 წლის ჩეხმა მცველმა წამოიწყო საგოლე შეტევა, მანამდე ჩრდილში მყოფი იაგუეს ზუსტი დარტყმით რომ დამთავრდა, — 26 წლის ესპანელი ცენტრფორვარდი მეტოქის მეკარესთან პირისპირ დარჩა და პირველი ტაიმისგან განსხვავებით, ამჯერად ზუსტად დაარტყა. ამ გოლიდან სულ ცოტა ხანში, ფაქტობრივად, იგივე განმეორდა: ჰომოლამ შორეული გადაცემა კვლავაც თავით (!) გააკეთა, მაგრამ იაგუემ ეს შანსი ვერ გამოიყენა. თუმცა, მეორე გოლამდე დიდი ხნის ლოდინი არ დაგვჭირვებია: „დინამომ" მეტოქეს უმკაცრესი პრესინგი თავისივე ნახევარზე მოუწყო და ასეთი აგრესიული თამაში დაუფასდა კიდეც! სიმბოლური იყო, რომ გოლი **გიორგი კახელიშვილმა** გაიტანა — ფაქტია, რომ 24 წლის ეს გარემარბი ალექს გარსიას საფეხბურთო გემოვნებას ყველანაირად აკმაყოფილებს! 2:0-ის შემდეგ „დინამო" აშკარად „დაწყნარდა", გარსიამ შეცვლებსაც მიმართა და რამდენიმე ფეხბურთელს ამპლუაც შეუცვალა; მასპინძლებს გოლის გატანის შანსი კიდევ რამდენჯერმე ჰქონდათ, მაგრამ ბოლო მომენტში უზუსტოდ ურტყამდნენ კარში. ყველაზე გამოსარჩევი ეპიზოდი კი 78-ე წუთზე ვნახეთ: ჯილაურმა ლამის 50-მეტრიანი დიაგონალური პასით **ირაკლი ლექვთაძე** მოძებნა, ამ უკანასკნელმა დავით ოდიკაძეს „შეაყოლა" ბურთი, მაგრამ „დინამოს" გამოცდილ მარჯვენაფლანგელს „არასამუშაო", მარცხენა ფეხით მოუწია დარტყმის შესრულება. სხვათა შორის, ისე როგორც წინა მატჩებში, კვლავაც აქტიურად შემოვიდა მოედანზე ირაკლი ლექვათაძე, ვინც მატჩის ბოლო ათი წუთი ... ცენტრფორვარდის პოზიციაზე ასპარეზობდა. დროის ეს პერიოდი კი „დინამომ" რიცხობრივ უმცირესობაში ჩაატარა: ხუთი თუ ექვს-წუთიან მონაკვეთში ახალგაზრდა ჯაბა ჯილაურმა სრულიად უწყინარ სიტუაციაში... ორი ყვითელი ბარათის მიღება მოახერხა! აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ **ნიკა ფირცხალავამაც** (კაკუბავას გასვლის შემდეგ ცენტრალურ მცველად რომ ვიხილეთ) აშკარად „არასაჭირო" ყვითელი ბარათი მიიღო. საერთოდა, ამ ევროტურნირებზე „დინამოს" ფეხბურთელები „ნორმაზე მეტ" ყვითელ ბარათებს იღებენ და მომდევნო ეტაპ(ებ)ზე, როცა „მილსამის", „ლანელისა" თუ „რეიკიავიკზე" ბევრად უფრო მაღალი დონის მეტოქეები შეგვხვდებიან, ყოველივე ეს სიკეთეს ნამდვილად არ მოგვიტანს.

**ბოლოს კი, მართლაც ყბადაღებულ თემაზე: საქართველოს უმთავრესი საფეხბურთო სარბიელის მინდვრის საფრის მდგომარეობა უკვე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს!** თუმცა ამჯერად მაინც „დინამოს" მორიგი წარმატებით გავიხაროთ და დღევანდელ კენჭისყრასაც დაველოდოთ; ბოლოს და ბოლოს, ევროპის ლიგის პლეი ოფში გრანდების გარდა, რამდენიმე ისეთი მეტოქეც შემორჩა, „დინამოსაც" და „ზესტაფონსაც" მათი ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ...

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ევროპის ლიგა. საპასუხო მატჩი



# მეტალურგი სამშობლოს დაუბრუნდა

4.08. რენი. რუბ დე ლორიენი.
10 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| რენი | 2 |
| მეტალურგი | 0 |

პირველი მატჩი 5:2

1:0 მონტანო (75), 2:0 ფერე (85)

| რენი | მეტალურგი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| კოსტილი | ბათიაშვილი |
| დანსი | მახვილაძე |
| მანგანი | ორბელაძე |
| კანა ბიიკი | დ. ლომაია |
| კატერინი | ჯაფარიძე |
| ფერე | ქავთარაძე |
| მვილა | მაისურაძე |
| ტეტეი | მიქაბერიძე |
| პიტროიპა | გენაძე |
| ბრაჰიმი | მოდებაძე |
| ბუქარი | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ფ. ანტონეტი | ა. ჯელაძე |

**რენი**

10. ბრაჰიმი – **ა. კამარა**
64. ბუქარი – **მონტანო**
73. პიტროიპა – **დალმა**
სათადარიგოები: *დიალო, მანძიეკი, ჯებური, ბოიე*

**მეტალურგი**

56. მიქაბერიძე – **დობროვოლსკი**
61. ტატანაშვილი – **ქობალია**
77. ქავთარაძე – **აბურჯანია**
სათადარიგოები: *ბედიაშვილი, კვახაძე, ტყემალაძე, პავლიაშვილი*

გაფრთხილება: ქავთარაძე (22), ტეტეი (38), მოდებაძე (77), ქობალია (83)
არბიტრი: ა. მუნუკა (ფინეთი)

ორი გამარჯვება, ორი ფრე და ორიც მარცხი – ასე დაასრულა ევროპის ლიგაზე ასპარეზობა რუსთავის "მეტალურგმა". შედეგს ურიგო ნამდვილად არ ეთქმის, ქვემოქართლელებმა ხომ ორი ეტაპი გადალახეს, "რენთან" კი, გასაკვირი არ არის, უშანსოდ რომ იყვნენ.

ფრანგებმა პლეი ოფში გასვლის საკითხი თბილისშივე მოაგვარეს, გუშინ კი "მეტალურგს" თავი არ შეურცხვენია და არცთუ კატასტროფული სხვაობით დამარცხდა. გასაგებია, რომ "რენი" ქართველებს თავს არ შეაკლავდა, მაგრამ მაინც ალსანიშნავი ფაქტია, რომ "მეტალურგი" კლასით გაცილებით მაღლა მდგომ მეტოქეს დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით უძალიანდებოდა და 75-ე წუთამდე ტაბლოზე 0:0 ენთო.

ის კი არა, ფრანგთა უპირატესობის მიუხედავად, უშანსოდ არც ჩვენები ყოფილან და დაწინაურების ორი კარგი შესაძლებლობაც გაუშვეს ხელიდან – **ირაკლი მოდებაძის** მიერ "ცხრიანში" გაშვებული ბურთი მასპინძელთა მეკარემ მოიგერია, **დიმიტრი ტატანაშვილმა** კი კიპერთან პირისპირ გასვლით ვერ იხეირა. ბოლოს "რენმა" მაინც იძალა და ორი უსწრაფესი შეტევა გოლით დააგვირგვინა.

ისიც უნდა ითქვას, რომ "მეტალურგმა" არაოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა. დისკვალიფიკაციის გამო გუნდს საფრანგეთში **ლუკა რაზმაძე** და **გიორგი მურველაშვილი** ვერ გაჰყვნენ, ამას გარდა, სამწვრთნელო შტაბმა თავის გამოჩენისა და საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა რამდენიმე ახალ ფეხბურთელს მისცა. **ალექსანდრე კვახაძე** სათადარიგოთა შორის იყო, მის არყოფნაში კი "მეტალურგის" კაპიტნობა მოდებაძემ გასწია.

მოკლედ, რუსთაველები ევროტურნირს დაურცხვენლად ემშვიდობებიან და დღეიდან მთლიანად შინაურ შეჯიბრებებზე გადაერთვებიან.



● შტურმი-ზესტაფონის შემდეგ

# გეგუჩაძე თვითკრიტიკული და დელიკატურია

ვულოცავ შტურმს

"მატჩი ჩვენთვის ძალიან რთული გამოდგა. "შტურმი" დღეს ჩვენზე უკეთესი იყო. მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. იმედგაცრუებული ვარ, რადგან ჩვენი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, საკმარისად გონიერები ვერ აღმოვჩნდით. წარმატებისთვის კი, უპირველესად, გამოცდილება დაგვაკლდა", - განაცხადა **გია გეგუჩაძემ** მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, სადაც, როგორც ფოტოდან ხედავთ, "შტურმის" თავკაც **ფრანკო ფოდასთან** ერთად მივიდა.



ფრანკო ფოდა (მარცხნივ) და გია გეგუჩაძე

თუკი "ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა მარცხის მიზეზები ლაკონიურად ახსნა, ფოდა შედარებით სიტყვაუხვი იყო, მაგრამ რაკი მეტოქეზე ბევრი არ ულაპარაკია, მის ნაუბარსაც შემოკლებით შემოგთავაზებთ: "ჩემს ფეხბურთელებს ასეთი კარგი თამაშისთვის მადლობას ვუხდი. მიზნად მოწინააღმდეგის წნეხის ქვეშ მოქცევა დავისახეთ და საბოლოოდ ეს მოვახერხეთ კიდეც. მატჩამდე კარგი წინათგრძნობა მქონდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ბარიერს გადავლახავდით. "შტურმმა" მაღალ დონეზე ითამაშა, მაგრამ ეს ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი არ არის. აუცილებლად მოვუმატებთ, თუმცა შემადგენლობის გაძლიერებაც გვჭირდება — დავიმატებთ ცენტრალურ ნახევარმცველს. ჩვენი მთავარი მიზანი კი, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა და დიდი კლუბების წინააღმდეგ თამაშია".

"შტურმის" ოფიციალურ ვებგვერდზე გუნდის ორი ფეხბურთელის კომენტარიცაა გამოქვეყნებული.

**კრისტიან გრატცაი:** "პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მეორეში კი ჩვენი თამაში ვიპოვეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ვფიქრობ, ჯგუფში მოსახვედრადაც მზად ვართ".

**რომან კინასტი:** "პირველ ნახევარში ბევრი საგოლე მომენტი არ გვქონია, შესვენების შემდეგ კი უკეთ ავთამაშდით და შედეგიც მივიღეთ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი გოლი ასეთი ძვირფასი აღმოჩნდა. დაწინაურების შემდეგ მეტოქე საბოლოოდ გავტეხეთ და უშანსოდ დავტოვეთ. ამდენი კრიტიკის შემდეგ ასეთი მნიშვნელოვანი გამარჯვება საკუთარი ძალების რწმენას შეგვმატებს".

# გრანდი არც აქ გველოდა



დანიური "კოპენჰაგენი", ბელარუსული ბატე, ებრაული "მაქაბი", ხორვატიული "დინამო" და კვიპროსული აპოელი – "ზესტაფონს" რომ "შტურმის" ბარიერი გადაელახა, ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ამ ხუთი კლუბიდან ერთ-ერთს შეხვდებოდა და განწირული, ალბათ, არავისთან იქნებოდა. აი, ასე ახლოს იყო ჯგუფურ ეტაპთან საქართველოს ჩემპიონი, რომელსაც **მიშელ პლატინის** მიერ დანერგილი საშეჯიბრო სისტემის წყალობით პლეი ოფში გრანდთან საქმე არ ექნებოდა.

სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფზე ოცნება ერთი წლით უნდა გადავდოთ და ევროპის ლიგაზე გადავერთოთ, დღეს კი ორივე ევროტურნირის პლეი ოფების წილისყრაა.

ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში 10 წყვილი შედგება, საიდანაც 5 საჩემპიონო ჯგუფისა იქნება, 5-იც – არასაჩემპიონოსი.

ზემოთ ნახსენები ხუთი კლუბი განთესილი ჩემპიონებია, განუთესავებში კი მოხვდნენ: "ვისლა" (ხორვატია), "შტურმი" (ავსტრია), "გენკი" (ბელგია), "პლზენი" (ჩეხეთი), "მალმიო" (შვედეთი).

არაჩემპიონებში განითესნენ: "ბაიერნი" (გერმანია), "არსენალი" (ინგლისი), "ლიონი" (საფრანგეთი), "ბენფიკა" (პორტუგალია), "ვილიარეალი" (ესპანეთი);

არ განითესნენ: "ტვენტე" (ჰოლანდია), "რუბინი" (რუსეთი), "უდინეზე" (იტალია), "ციურიხი" (შვეიცარია), "ოდენსე" (დანია).

● ლეგიონერი

# სრული ლეგიონი პლეი ოფში

"ზესტაფონისგან" განსხვავებით, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი წარმატებული გამოდგა ქართველი ლეგიონერებისთვის. **გიორგი ფოფხაძეზე** ბევრს არ შევჩერდებით, სასიამოვნოა, რომ "შტურმის" ქართველი ახალწვეული ავსტრიის ჩემპიონთა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა და "ზესტაფონთან" ორივე მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

ფოფხაძის მსგავსად, ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში დანარჩენი სამი ქართველიც გავიდა. **ლადო დვალიშვილის** "მაქაბის" სლოვენიაში დიდი ბრძოლა გადახდა, "მარიბორთან" 1:1 ითამაშა და რაკი შინ 2:1 ჰქონდა მოგებული, ეს ბარიერიც გადალახა. დვალიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 88-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე კი გაფრთხილების მიღება მოასწრო. შეგახსენებთ, "მაქაბის" მეორე მწვრთნელი **გიორგი დარასელიაა.**

"რუბინის" თავკაცი **ყურბან ბერდიევი საბა კვირკველიას** კიევის "დინამოსთან" განმეორებით შეხვედრაშიც ენდო და არც შემცდარა – კიევში 2:0 გამარჯვების შემდეგ, ყაზანელებმა უკრაინელები შინაც დაამარცხეს (2:1) და პლეი ოფში დამაჯერებლად გავიდნენ. კვირკველიამ შეუცვლელად ითამაშა.

# კობახიძე ნაკრებზე ოცნებობს

უკრაინული პრემიერლიგის გასული ტურის მთავარი სენსაციის ავტორი კიევის "არსენალია". დედაქალაქურმა კლუბმა დონეცკის "შახტარს" უმასპინძლა და 1:1-ს მიაღწია. მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა "არსენალის" ქართველი ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე** იყო, რომელიც მოედანზე 77-ე წუთზე შევიდა, მაგრამ საგოლე გადაცემის შესრულება მაინც მოასწრო.

gazeta.ua-მ სანდროს ინტერვიუ ჩამოართვა, რომელიც ძირითადად უკრაინის ჩემპიონატს შეეხებოდა, თუმცა მას ბოლოს სანაკრებო თემაზეც ჰკითხეს, რაზეც კობახიძის პასუხი ასეთი იყო: *"საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ ორი მატჩი ვითამაშე და ძალიან ბედნიერი ვიქნები, იქ დაბრუნების საშუალება თუ მომეცემა".*

რაც შეეხება უკრაინულ თემას, კობახიძემ თქვა, რომ მისი გუნდი კარგადაა მომზადებული და საკუთარი ფორმითაც არ არის უკმაყოფილო. "არსენალის" შუახაზელი ამბობს, რომ "დნიპროსა" და "შახტართან" მაღალ დონეზე ჩატარებულმა მატჩებმა ევროთასებზე გასვლის იმედი გაუჩინა.

კობახიძე, რომელიც თბილისის "დინამოს" აღზრდილია, უკრაინაში 2008 წელს წავიდა და "არსენალამდე" "დნიპროსა" და "კრივბასის" ღირსებას იცავდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

საქართველოს XXIII ჩემპიონატი. სტარტამდე

# იმედები, რომ ახალი და სხვა სიახლეები

# ხვალიდან ერთის ამოსუნთქვით და დავიწყოთ...



ახალი საფეხბურთო სეზონი ოთხი ქართული გუნდისთვის („ზესტაფონი", „დინამო", „მეტალურგი", „გაგრა") უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე დანარჩენებისთვის, ხვალიდან კი უმაღლესი ლიგის 12-ივე გუნდი ათთვიან მარათონში ჩაებმება — მცხეთის განახლებულ „არმაზის" სტადიონზე „ვიტ ჯორჯიასა" და „ბაიას" შეხვედრით საქართველოს XXIII ჩემპიონატი დაიწყება!

ახალი სეზონის დაწყებას მუდამ ახალი იმედებით ვხვდებით და მუდამ იმას ვნატრობთ, რომ ახალი ჩემპიონატი წინაზე უკეთესი იყოს, გათამაშება საინტერესოდ წარიმართოს, საეჭვო თამაშების რაოდენობას საგრძნობლად ეკლოს, ახალ-ახალი სახეები გამოჩენილიყოს, ტრიბუნებზე (განსაკუთრებით — თბილისში) ქომაგების სიმრავლე ყოფილიყოს და ასე შემდეგ. მოკლედ, მოლოდინი არის და ახლა ჯერი ფეხბურთელებზეა; მით უფრო, რომ XXIII ჩემპიონატი ახლებური სისტემით ტარდება და გათამაშების ფორმატის შეცვლამ, წესით, პირველობა ბევრად საინტერესო (გნებავთ, დამაინტრიგებელი) უნდა გახადოს. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ვთქვათ, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზარდა — ათის ნაცვლად 12 კლუბი იასპარეზებს. 12-გუნდიანი ჩემპიონატის პირველი ეტაპი ორ წრედ ჩატარდება და გაზაფხულზე, 4 მარტს დასრულდება. აი, ამის მერე კი მართლაც საინტერესოზე საინტერესო ამბები გველის: პირველი ეტაპის შედეგებით საუკეთესო 8 გუნდი მედლებისთვის ბრძოლას „ცალკე" განაგრძობს. თანაც, ამ რვას მეორე ეტაპზე მხოლოდ ის ქულები გადაჰყვება, პირველ ეტაპზე ურთიერთშეხვედრებში რომ მოიპოვებენ. რაც შეეხება დარჩენილ ოთხ გუნდს (პირველ ეტაპზე IX, X, XI და XII ადგილებს რომ დაიკავებენ), მათთვისაც ცალკე ტურნირი მოეწყება, ოღონდ ამ ოთხეულს პირველი ლიგის საუკეთესო ოთხი გუნდი დაემატება. „ზედა რვიანისა" არ იყოს, „ქვედა რვიანის" გუნდებიც მეორე ეტაპზე ორ წრედ ითამაშებენ, ოღონდ არსებითი განსხვავება მაინც იქნება: არც უმაღლესი და არც პირველი ლიგების გუნდებს საწყის ეტაპზე მოგროვებული ქულები აღარ გადაჰყვებათ და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლას რვავე ნული ქულით დაიწყებს. ერთი სიტყვით, პირველ ეტაპს ყველა ერთობ სერიოზულად უნდა მოეკიდოს, განსაკუთრებით, „საშუალო კატეგორიის" გუნდები — ქვედა რვიანში მოხვედრა ძალიან სახიფათო იმითაც იქნება, რომ უმაღლესი ლიგიდან ... ოთხი გუნდი ვარდება! აი, ასეთი საინტერესო ჩემპიონატი გველოდება, უმაღლესი ლიგის თითოეული გუნდის შანსებზე წერილს კი ხვალ, ჩემპიონატის გახსნის დღეს შემოგთავაზებთ.

გია ტუხაშვილი



## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | გრუიცა (?), ფოფხაძე (შტურმი, ავსტრია), | თ. ღონღაძე (დინამო) საჯაია (ხიმკი, რუსეთი) |
| მეტალურგი<br>არმაზ ჯელაძე | გ. ჭელიძე (?), დ. ბოლქვაძე, ქემოკლიძე (ორივე - ტორპედო), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე - დინამო) | ქობალია (ბაია, იჯარით), გ. მიქაბერიძე (სამტრედია), ორბელაძე, დ. ლომაია (ორივე - სიონი), მახვილაძე (კოლხეთი), ტატანაშვილი, ჩადუნელი (ორივე - დინამო), ახვლედიანი (35-ე სკოლა), ი. ბერაია (?) |
| დინამო<br>ალექს გარსია | კ. კაჭარავა (მთ. მწვრთნელი - კლუბის სტრუქტურა), მაროვიჩი (?), იელიჩი (ვოლგა, იჯარა დაუსრულდა), არზიანი (ვოლგა), ტატანაშვილი, ჩადუნელი (ორივე მეტალურგი), ედნილსონი(?), ციმაკურიძე, გ. კვარაცხელია ზარქუა (სამივე - სპარტაკი), თ. ღონღაძე (ზესტაფონი), სიხარულიძე, ოთარიშვილი, (ორივე - ვიტ ჯორჯია), ქანთარია (ჩიხურა), ჯუისი (პოგონი, პოლონეთი) | ა. გარსია (ბარსელონა, მთავარი მწვრთნელი), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე - ოლიმპი), ოდიკაძე (ინტერი, აზერბაიჯანი), გრიშიკაშვილი (სპარტაკი), გ. ბერაია (გაბალა, აზერბაიჯანი), ლ. ახალაია (?), ჩისკო (ლევანტე, ესპანეთი), კოტო (ანორთოსისი, კვიპროსი), იაგუე (ლეონესა, ესპანეთი), მაჭავარიანი (ტორპედო), შარაშენიძე (დიოსი ეტო, უნგრეთი) |
| ვიტ ჯორჯია<br>ზურაბ ბერიძე | ჭანკვეტაძე (?) | ხუმარაშვილი (სამტრედია), ხუჭუა (გაგრა), ოთარიშვილი, სიხარულიძე (ორივე - დინამო), |
| ბაია<br>ელგუჯა ქომეთიანი | ქობალია (ოლიმპი, იჯარით) | გუგუჩია (ტორპედო, იჯარა დაუმთავრდა), ლ. აკობია (ულისე, სომხეთი) |
| ტორპედო<br>გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე | გ. გიგატაძე (მთ. მწვრთნელი), მაჭავარიანი (დინამო), გუგუჩია (ბაია, იჯარა დაუმთავრდა), კემუხტაშვილი, ბაკურაძე (ორივე, ჩიხურა), ქებაძე (კოლხეთი) | გ. კიკნაძე, ზ. ზამთარაძე (მთ. მწვრთნელები), მანჩხავა (სპარტაკი) დ. ბოლქვაძე, ქემოკლიძე (ორივე - მეტალურგი), ც. ხარაბაძე (ჩხერიმელა), ჩხარტიშვილი |
| სიონი<br>? | დ. ლომაია, ორბელაძე (ორივე - ოლიმპი), შალამბერიძე, რ. ჯიქია (ორივე სპარტაკი), ჩირიკაშვილი (ქსამაქსი, შვეიცარია), მერლანი (დილა), ლ. ნოზაძე, ნ. კვასხვაძე, გ, მელქაძე (სამივე ჩიხურა), გოგობერიშვილი (თურანი, აზერბაიჯანი), ბობღიაშვილი (კოლხეთი) | — |
| კოლხეთი<br>სოსო ფილია | ძაგანია (სპარტაკი), სიჭინავა (გაგრა), სამადაშვილი (მარტვილი) | ნადირაშვილი (გაგრა), ცხადაია, ლომაშვილი, (ორივე სამტრედია), თედიაშვილი (დილა), ჭკადუა (?), შავგულიძე (?), ბობღიაშვილი (სიონი), ქებაძე (ტორპედო), ციცხვაია (გაგრა) |
| გაგრა<br>ანატოლი პისკოვეცი | ნადირაშვილი (კოლხეთი) ციცხვაია (კოლხეთი) | ხუბუა (?), სიჭინავა (კოლხეთი), ბეგაშვილი (ჩიხურა) |
| სპარტაკი<br>ბადრი კვარაცხელია | გრიშიკაშვილი (დინამო), მ. ბარაბაძე (?), ვ. ბოლქვაძე (?), ჯაკობია (ზაკარპატიე, უკრაინა), ხომერიკი (?), მგელაძე (?), მანჩხავა (ტორპედო), ჭაფოძე (?), დ. ლობჟანიძე (?), უგრეხელიძე (?), | ჯიქია, შალამბერიძე (ორივე - სიონი), ზარქუა (დინამო, იჯარით), ციმაკურიძე, გ. კვარაცხელია (ორივე, დინამო), ძაგანია (კოლხეთი), ლობჯანიძე (?) |
| დილა<br>გია ცეცაძე | ცნობილაძე (?), თედიაშვილი (კოლხეთი) | გ. თოდუა (მარტვილი), დ. ჩაგელიშვილი (ჩიხურა), გველესიანი (კოლხეთი), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (ორივე როვანიემი, ფინეთი, ლ. ჩაგელიშვილი (ჩიხურა) |
| მარტვილი<br>მალხაზ ჟვანია | გ. თოდუა (დილა) | თ. შალიკაშვილი (სამტრედია), ე. გრიგალაშვილი, მანწკავა (ორივე - ბათუმი), გ. შენგელია (?), ქამუშაძე (ჩიხურა), სამადაშვილი (კოლხეთი) |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# ერიკ კანტონა განებივრებულების წინააღმდეგ



„მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდამ, **ერიკ კანტონამ** „მანჩესტერ სიტის“ განებივრებულ ვარსკვლავებს **კარლოს ტევესსა** და **მარიო ბალოტელის** შეუტია. ფრანგმა თქვა, რომ არ ესმის იმ თავგასული ფეხბურთელებისა, რომლებიც ათას თითიდან გამოწოვილ მიზეზს იგონებენ, რათა ისტლენდიდან წავიდნენ. თუმცა, როგორც მისი ნათქვამის პირველივე წინადადებიდან გაირკვა, ბალოტელის გაგება მაინც კიდევ შეიძლება.

*„მანჩესტერი მილანიდან ჩამოსულმა კაცმა რომ დაიწუნოს, კიდევ ჰო... თუმცა, ჯობს ქალაქები არ ჩამოვთვალო, რადგან საუცხოო ქალაქი ბევრია, მე კი მანჩესტერში მაქვს დიდებული დრო გატარებული. პროფესიონალ ფეხბურთელს სხვა რამ უნდა აინტერესებდეს. მე მსოფლიოს საუკეთესო კლუბში თამაში მინდოდა. ჩემთვის „იუნაიტედის“ დიდი ვარსკვლავების მხარდამხარ თამაში იყო მთავარი. ფეხბურთელი საუკეთესო დროს მოედანზე ატარებს. მე მიყვარს მანჩესტერი და მანჩესტერელები. აქ გატარებული წლები ჩემთვის უმნიშვნელოვანესია“.*

კანტონა „ოლდ ტრეფორდზე“ ხვალ დაბრუნდება, ამჯერად, როგორც ნიუ-იორკის „კოსმოსის“ დირექტორი. „კოსმოსი“ **პოლ სქოულზის** გამოსათხოვარ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. ფრანგმა დასძინა:

*„მანჩესტერში, განსაკუთრებით „ოლდ ტრეფორდზე“ დაბრუნება ძალიან ემოციური იყო. ყოველთვის, როდესაც ამ ქალაქში ჩამოვდივარ, სტადიონზე მივდივარ. ეს ჩემთვის განსაკუთრებული ადგილია“.*

„იუნაიტედის“ ყოფილმა ვარსკვლავმა „სიტისაც“ გაჰკრა კბილი. მან თქვა, რომ წარმატების ფულის ყრით მიღწევა კარგი გზა არ არის. კერძოდ, 45 წლისამ ბრძანა:

*„საუკეთესო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედია“. „სიტი“ რას აკეთებს, ზუსტად არც ვიცი, იქნებ ბავშვთა სკოლებსა და აკადემიებს აშენებს კიდეც, მაგრამ გარედან მხოლოდ ის ჩანს, რომ ისტლენდელები ვარსკვლავებს ყიდულობენ და ასე ცდილობენ ძლიერი გუნდის შექმნას. კი ბატონო, მათ ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგეს, მაგრამ ამ წარმატების გამო „იუნაიტედს“ ხომ ვერ გავუტოლებ. „იუნაიტედს“ მთელი სისტემა აქვს აწყობილი და ახალგაზრდა ტალანტებს ზრდის. სერ ალექს ფერგიუსონმა ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი აღუზარდა და ერთ-ერთი მათგანი პოლ სქოულზი იყო. დღეს, იმ ამბიდან 15 წლის შემდეგ ჩამოვდივარ და ვხედავ, რომ მწვრთნელი ისევ თავის ადგილზეა. რასაკვირველია, შეუცვლელი ფეხბურთელი არ არსებობს, მითუმეტეს, როდესაც „იუნაიტედზეა“ ლაპარაკი, რომელსაც სათავეში ისეთი ადამიანი უდგას, სერ ალექსი რომ არის. მე წავედი, ჰიუზი წავიდა, რონალდო წავიდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი მსოფლიოს საუკეთესო გუნდად რჩება“.*

შემდეგ კანტონას ჰკითხეს, „კოსმოსში“ ისეთი თანამდებობა გაქვთ, რომელსაც ადვილად შეელევით და ფერგიუსონის შემცვლელად „ოლდ ტრეფორდზე“ ხომ არ აპირებთ მოსვლასო. ფრანგმა მისთვის ჩვეული სტილით უპასუხა:

*„მე ალექს ფერგიუსონზე ადრე მოვკვდები. სერ ალექსი კი ყოველთვის „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი იქნება, რადგან ეს მისი ცხოვრებაა“.*

ლივერპული

# ხარჯე და ხარჯე კენი!



„ლივერპულის“ თავკაცი **კენი დალგლიში** მზადაა კვლავ ჯიბეზე გაიკრას ხელი. არადა, იანვრიდან მოყოლებული მერსისაიდელებმა უკვე 100 მილიონ ფუნტზე მეტი დახარჯეს. ამის მიუხედავად, „წითლების“ შოტლანდიელი მწვრთნელი ამბობს, რომ ინგლისურ ფეხბურთში პირველობის დასაბრუნებლად მის გუნდს კიდევ უფრო გაძლიერება სჭირდება. შეგახსენებთ, რომ „ლივერპულმა“ ამ ზაფხულში სამი ახალი ფეხბურთელი შეიძინა: **სტიუარტ დაუნინგი, ჩარლი ადამი** და **ჯორდან ჰენდერსონი**. ტრიოში დალგლიშმა 43 მილიონი ფუნტი გადაიხადა, თუმცა კლუბის ამერიკელი მეპატრონის, **ჯონ ჰენრის** მილიონები ჯერ არ გამოლევია და კიდევ აპირებს ბაზარში გასვლას.

ზემოთ ნახსენები სამეულის ყიდვამდე „წითლებმა“ იანვარში 57,3 მილიონ ფუნტად ორი თავდამსხმელი, **ენდი ქეროლი** და **ლუის სუარესი** იყიდეს. შემდეგი შენაძენი, სავარაუდოდ, „ნიუკასლის“ ესპანელი მცველი **ხოსე ენრიკე** იქნება.

შეგახსენებთ, რომ ივნისში დალგლიშს „ბლექბერნისგან“ 19 წლის **ფილ ჯონსის** ყიდვა უნდოდა, მაგრამ ვაჭრობაში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ აჯობა. ახლა, მერსისპირელებს „ბოლტონიდან“ 25 წლის **გერი კეჰილის** ყიდვა მონდომებიათ. სატრანსფერო საკითხების შესახებ დალგლიშმა „ლივერპულის“ საწვრთნელ ბაზაზე, „მელვუდში“ ილაპარაკა:

*„რასაკვირველია, ფულის ხარჯვა წარმატების გარანტია არ არის, თუმცა ვერ დამისახელებთ კლუბს, რომელმაც წარმატებას ფულის ხარჯვის გარეშე მიაღწია. ერთი სიტყვით, ხარჯვა აუცილებელია.*

*სხვა საქმეა, რომ ფულს ჭკვიანურად უნდა ხარჯვა. ჩვენ სატრანსფერო ბაზარზე სრული პასუხისმგებლობით გავედით. უპირველეს ყოვლისა, გამოვამჟღავნეთ პატივისცემა „ლივერპულის“ მეპატრონისადმი, რომელიც მხარში გვიდგას. ვერც კი წარმომიდგენია, უფრო კარგი მეპატრონე თუ შეიძლება არსებობდეს. ის პირადად ზრუნავს ფეხბურთის კლუბზე და უნდა, რომ საქმეები სწორი მიმართულებით წაიყვანოს“.*

სკანდალი

# ლონდონური გარჩევები

„ვესტ ჰემი“ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ წინააღმდეგ საქმის აღძვრას აპირებს. აღმოსავლეთ ლონდონში ეჭვი აქვთ, რომ ჩრდილოლონდონელებმა კერძო დეტექტივი დაიქირავეს, რომელმაც მათ საბანკო და ტელეფონის ნომრები მოჰპარა. „ჩაქუჩებს“, მათივე თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით პოლიციასთან უკვე ულაპარაკიათ და, სავარაუდოდ, ახლა გამოძიება დაიწყება. ვაი მას, ვინც დამნაშავე აღმოჩნდებაო, თქვეს „აპტონ პარკზე“.



გაზეთი „სანი“ იუწყება, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილი გახდა, „ვესტ ჰემის“ წარმომადგენლებმა თვით „ტოტენჰემშიც“ დარეკეს და თავიანთ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით „დეზების“ უფროსობა გააფრთხილეს.

ახლა იმას მოგახსენებთ, რა აქვთ „ვესტ ჰემსა“ და „ტოტენჰემს“ გასაყოფი. ლაპარაკია ლონდონის 80-ათასიან „ოლიმპიურ სტადიონზე“, რომლის ყიდვასაც ორივე კლუბი აპირებდა. მოგეხსენებათ, სტადიონისთვის ბრძოლა საბოლოოდ „ვესტ ჰემის“ გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ „აპტონ პარკზე“ ეჭვი გაუჩნდათ, რომ კონკურენტი ბინძურ ხერხებს მიმართავდა და გადაწყვიტეს, საქმეს ბოლომდე ჩაჰყვნენ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მათ ეჭვი გაუჩნდათ, რომ „უაით ჰართ ლეინზე“ დაიქირავეს დეტექტივი, რომელიც მათ შტაბში ძვრომასა და საიდუმლოებების გამოქექვას ცდილობდა. „სფურზმა“ ბრალდებაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

„ვესტ ჰემის“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში წერია: *„ჩვენმა კლუბმა შეატყობინა პოლიციას მავანი კერძო დეტექტივის შესახებ, რომელიც კანონის დარღვევით მოქმედებდა და, სავარაუდოდ, „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ჰყავდა დაქირავებული. „ვესტ ჰემში“ ამ ამბავს ძალიან დიდი სერიოზულობით მივუდექით, მით უმეტეს, რომ ლაპარაკია სერიოზულ კანონდარღვევაზე, კერძოდ კი პირადი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვებაზე. როგორც ირკვევა, დეტექტივმა ხელთ ჩაიგდო როგორც ჩვენი კლუბის, ასევე Olympc Park Legacy Company-ს წევრთა საბანკო ანგარიშები და ტელეფონის ნომრები. თუ ეს დამტკიცდება, აშკარა გახდება, რომ საქმე გვაქვს კრიმინალთან, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სწრაფად იზრდება“.*

„ვესტ ჰემის“ ზოგ მაღალჩინოსანს ეჭვი აქვს, რომ მათ საუბრებს გასული წლის სექტემბერში, სტადიონის შეძენასთან დაკავშირებული განაცხადების შეტანამდე უსმენდნენ. თუმცა, აქვე შეგახსენებთ, რომ „ჩაქუჩების“ ეს ნაბიჯი გალმა შედავებაა, რადგან არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ სტადიონი მათ ქრთამის დახმარებით ერგოთ. ასახელებენ Olympic Park Legacy Company-ის წევრს, ქალბატონ **დონი ნაითს**, რომელმაც, თითქოსდა, 20 400 ფუნტი აიღო. გარდა ამისა, ამბობენ, რომ ქალბატონი ნაითი „ვესტ ჰემის“ დირექტორის **იან ტომპკინსის** საყვარელი იყო. სანამ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს, ტომპკინსი საქმეებიდან ჩამოცილებულია.

მანჩესტერ სიტი

# კარლოს ტევესის მორიგი ოფოფები



„მანჩესტერ სიტის“ 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელი, **კარლოს ტევესი** მწვრთნელ **რობერტო მანჩინისთან** შეთანხმდა, რომ კლუბში ორშაბათს გამოცხადდება. სხვა სიტყვებით, ტევესმა გაიგრძელა შვებულება, რომელიც მას „კოპა ამერიკაში“ მონაწილეობის გამო ეკუთვნოდა.

შეგახსენებთ, რომ ტევესი „სიტიში“ ხუთშაბათს უნდა დაბრუნებულიყო, რაზეც ძალიან ბევრი იწერებოდა, რადგან საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ თავდამსხმელს ინგლისიდან წასვლა სურს. კლუბსა და ფეხბურთელს შორის დაძაბულობაა, თუმცა არგენტინელი ვერსად გადადის და იძულებულია ისევ მანჩესტერში დაბრუნდეს. თუმცა, „დეილი მეილი“ წერს, რომ ტევესმა ისტლენდიდან ოფიციალური წერილი მიიღო, სადაც დადასტურებულია, რომ მას უფლება აქვს ვარჯიშზე ორშაბათს, 8 აგვისტოს მივიდეს.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ არგენტინელი ფორვარდი კვირას, ინგლისის სუპერთასზე, რომელსაც „ქომუნითი შილთი“ ეწოდება, ვერ ითამაშებს, არადა, ეს გახლავთ მანჩესტერული დერბი: „სიტი“ ტევესის ყოფილი გუნდის, „იუნაიტედის“ წინააღმდეგ.

„კოპა ამერიკაზე“ თამაშისა და შემდეგ დასვენების გამო ტევესს „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად სეზონისწინა შეკრება არ გაუვლია. არადა, ჩემპიონატი კარსაა მომდგარი — ისტლენდელებს პირველი შეხვედრა 15 აგვისტოს „სუონსისთან“ აქვს. გამოდის, რომ ფორვარდს მოსამზადებლად და მანჩინის რჩეულ ფეხბურთელებში მოსახვედრად ერთი კვირა აქვს. თუმცა, ზოგი წყაროს მიხედვით ამ ერთ კვირაში უნდა ველოდოთ „ინტერის“ გააქტიურებას. ამბობენ, არ არის გამორიცხული, ტევესმა ინგლისიდან გაქცევის ბოლო შანსი გამოიყენოსო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ნიუკასლ იუნაიტედი

# კაჭკაჭებმა გააფრინეს

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მეპატრონე **მაიკ ეშლიმ** საოცარი რამ მოიმოქმედა - 28 წლის ნახევარმცველ **ჯოი ბარტონს**, რომელიც რამდენიმე დღის წინ გუნდიდან გააგდო, დარჩენა შესთავაზა. ზოგი წყარო საპირისპიროს ამტკიცებს — ბარტონი ეშლის დაემუქრა, იცოდე, ვერსად გამაგდებ, დავრჩები და კონტრაქტის ვადას ბოლომდე ამოვწურავო! დაეჯერება ვითომ ამ ნათქვამს? შეგახსენებთ, რომ ეს საკმაოდ ხმაურიანი კონფლიქტი ბარტონის მიერ „ტვიტერში“ დაწერილმა გამონათქვამებმა გამოიწვია. და აი, საზოგადოება კვლავ „ტვიტერის“ მეშვეობით იგებს, რომ ახლა ყველაფერი შეიცვალა. სოციალურ ქსელში, რასაკვირველია, ისევ ფეხბურთელმა იაქტიურა. მან დაწერა:

*„როდესაც გეუბნებიან გადახტიო, სულაც არ არის აუცილებელი მართლა გადახტე. მე მიჯობს გავჩერდე და ვნახო რა მოხდება. ჩემი არჩევანი ასეთია, გავჩერდები და ავწონ-დავწონი“.*

შეგახსენებთ, რომ ბარტონი „ნიუკასლ იუნაიტედის“ საუკეთესო ფეხბურთელია და მისი დატოვება მწვრთნელ **ალან პერდიუსთვის** დიდი შვება იქნება. თან, როგორც გაირკვა, თავდაპირველი ხმაურის მიუხედავად ბარტონის შეძენა რეალურად მხოლოდ „სტოკ სიტის“ უნდა, ხოლო ლაპარაკი „ტოტენჰემ ჰოთსპურსა“ და „ასტონ ვილაზე“ სულ ტყუილი გამოდგა. ასეთ პირობებში ფეხბურთელს, რასაკვირველია „კაჭკაჭად“ დარჩენა ურჩევნია.

„ტვიტერში“ აქტიურობით, ამ ათი დღის წინ, კონფლიქტური ბუნებით ცნობილმა ბარტონმა პერდიუც გააბრაზა, მაგრამ „ვესტ ჰემის“ ყოფილი თავკაცი ამბობს, რომ მას ფეხბურთელთან ურთიერთობა არ გაფუჭებია.

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი. ლიგა 1. განაცხადები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### აიაჩო

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. გილერმე ოჩოა (მექსიკა) | 13.07.1985 |
| 16. ტიერი დებესი | 13.01.1974 |
| 30. დავიდ ობერჰაუზერი | 29.11.1989 |
| **მცველები** | |
| 4. ლეიტი ნდიაე (სენეგალი) | 19.08.1985 |
| 5. მიკაელ შარვე | 31.03.1988 |
| 13. ფაბრის ბეროში | 20.04.1987 |
| 17. იოან პულარი | 01.07.1976 |
| 20. ენტონი ლიპინი | 07.11.1988 |
| 22. ფუსენი დიავარა | 28.02.1980 |
| 23. არნო მერი | 06.03.1979 |
| 26. სამუელ ბუერი | 26.06.1987 |
| 27. რემი სილია | 11.09.1989 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. კარლ მეჯანი (ალჟირი) | 15.05.1985 |
| 7. ბენჟამენ ანდრე | 03.08.1990 |
| 8. ჟან ბაპტისტ პიერაცი | 17.06.1985 |
| 10. კრისტიან კინკელა (კონგო) | 25.05.1982 |
| 11. კარიმ ელ ჰანი | 12.01.1988 |
| 12. ფრედერიკ სამარიტანო | 23.03.1986 |
| 14. მეჰდი მოსტეფა (ალჟირი) | 30.08.1983 |
| 18. იოან კავალი | 12.09.1981 |
| 19. პოლ ლასნე | 16.01.1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ენდი დელორი | 09.10.1991 |
| 21. რიშარ სოკრიე | 28.03.1979 |

### ლორიანი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ლიონელ კაპონე | 08.02.1979 |
| 16. ფაბიენ ოდარი | 28.03.1978 |
| 30. ბენჟამინ ლეკომი | 26.04.1991 |
| 40. ალბან ჟიონელი | 14.09.1979 |
| **მცველები** | |
| 2. ფრანკო სოსა (არგენტინა) | 04.04.1981 |
| 3. ლამინ კონე | 01.02.1989 |
| 5. ბრუნო მანგა | 16.07.1988 |
| 6. გრეგორი ბურიიონი | 01.07.1984 |
| 14. არნო ლე მანი | 22.03.1978 |
| 17. მაქსიმ ბაშა | 02.06.1983 |
| **ნახევარმცველები** | |
| ადამა ტურე (მალი) | 28.08.1991 |
| 4. ჟან ალექსის რომაო (ტოგო) | 18.01.1984 |
| 7. არნოლდ მვემბა | 28.01.1985 |
| 8. იან ჟუფრე | 23.07.1984 |
| 10. ოლივიე მონტერუბიო | 08.08.1976 |
| 19. ფრანსის კოკლენი | 13.05.1991 |
| 20. რაფიკ ბუდერბალი | 19.09.1987 |
| 21. შეიკ დიუკური | 11.09.1992 |
| 22. მაქსიმ ბარტელმი | 08.09.1988 |
| 23. მატიას ოტრე | 01.03.1991 |
| 24. ანტუან ბურონი | 12.10.1983 |
| 25. ჯონას საკუვაჰა (ზამბია) | 22.07.1983 |
| 26. რემი მულუმბა | 02.11.1992 |
| 28. გაბრიელ პენალბა (არგ.) | 23.09.1984 |
| **თავდამსხმელები** | |
| 11. სიგამარი დიარა (მალი) | 10.01.1984 |
| 12. ჯეიმს ფანშონი | 21.02.1980 |
| 13 .სებასტიენ დიუზარბიერი (არგ.) | 19.02.1986 |
| 22. კევინ მონტე პაკე | 19.08.1988 |
| 27. ლინელ კიტამბალა | 26.10.1988 |
| 28. ჟილ სიუნიუ | 30.03.1991 |
| 29. ფაბიენ როგერი | 06.01.1989 |

### ოსერი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ოლივიე სორენი | 16.04.1981 |
| 16. რემი რიუ | 06.08.1987 |
| 30. ვილი მაიენსი | 05.06.1989 |
| 34. კოსი სერგეფია (ტოგო) | 11.03.1991 |
| 40. სიმონ პონდემი | 04.05.1988 |
| **მცველები** | |
| 2. სედრიკ ანგბარი | 13.07.1980 |
| 3. ვიიი ბოლი | 03.02.1991 |
| 4 შტეფან გრიხტინგი (შვეიც.) | 30.03.1979 |
| 6. ადამა კულიბალი (მალი) | 10.10.1980 |
| 12. ჟან-პასკალ მინიო | 26.02.1981 |
| 23. ჟერემი მერტო | 24.04.1984 |
| 28. მორიკე კალე | 19.09.1990 |
| 31 ბერნარ იტუა | 07.09.1988 |
| **ნახევარმცველები** | |
| 5. დარიუშ დუდკა (პოლონეთი) | 09.12.1983 |
| 7. კამელ შაფნი (მაროკო) | 11.06.1982 |
| 13. კრისტოფერ მისილუ | 18.07.1992 |
| 18. ორუა კონტუ | 11.02.1985 |
| 20. ამადუ სიდიბე (მალი) | 19.02.1986 |
| 27. ალენ ტრაორე (ბურკ. ფასო) | 01.01.1988 |
| 29. დელვინ ნდინგა (კონგო) | 14.03.1988 |
| **თავდამსხმელები** | |
| 8. ენტონი ლე ტალეკი | 03.10.1984 |
| 9. ვალტერ ბირსა (სლოვენია) | 07.08.1986 |
| 10. ალექსანდრ ლიკატა | 02.01.1984 |
| 11. ჟულიენ კერსია | 17.08.1986 |
| 14. დენის ოლიეჩი (კენია) | 02.02.1985 |
| 19. იაია სანოგო | 27.01.1993 |
| 22. ირინეუშ ელენი (პოლონეთი) | 09.04.1981 |
| 24. იო გუკ იუნი (სამხ. კორეა) | 23.04.1984 |
| 25. მაქსიმ ბურჟუა | 03.02.1991 |
| 26. ვენსან აკპანდი | 09.02.1990 |

### მონპელიე

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ლორან პიონიე | 24.05.1982 |
| 16. ჟოფრეი ჟურდრენი | 04.02.1986 |
| 40. ენტონი სკრიბი | 01.01.1988 |
| **მცველები** | |
| 2. გარი ბოკალი | 19.04.1988 |
| 3. მაპუ იანგამბივა | 15.05.1989 |
| 4. ნენად ჯოჯიჩი (სერბეთი) | 04.01.1977 |
| 14. მურან ბენამიდა | 18.01.1986 |
| 21. აბდურაჰმედ ელ-კაუტარი | 17.03.1990 |
| 22. ჟულიო კოლომბო | 22.02.1984 |
| 25. შავიე კოლენი | 17.08.1974 |
| 31. ტედი მეზაგი | 27.05.1990 |
| 33. მატიე დეპლანიე | 01.10.1991 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. ჟორის მარვო | 15.08.1982 |
| 8. ფილიპ დელაიე | 25.06.1975 |
| 12. ჟოფრეი დერნისი | 24.12.1980 |
| 14. რომენ პიტო | 08.08.1977 |
| 20. ალბერტო კოსტა (არგ.) | 09.01.1985 |
| 22. ბენჟამინ სტამბული | 13.08.1990 |
| 23. ჯამელ საიჰი (ტუნისი) | 21.01.1987 |
| 27. სირილ ჟენშამი | 18.12.1975 |
| 28. იონას მარტინი | 09.04.1990 |
| 29. იუნეს ბელჰანდა (მაროკო) | 25.02.1990 |
| 33. ბრაიან დაბო | 18.02.1992 |
| 34. ადრიენ კულომბი | 04.10.1990 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. ჯონ უტაკა (ნიგერია) | 08.01.1982 |
| 10. ლილიან კომპანი | 30.04.1977 |
| 11. ჰასან კაბზე (თურქეთი) | 26.05.1982 |
| 17. ოლივიე ჟირუ | 30.09.1986 |
| 18. კარიმ აიტ-ფანა | 25.02.1989 |
| 19. სულეიმან კამარა | 22.12.1982 |
| 24. ბენგალი-ფოდე კოიტა | 21.10.1990 |
| 26. რომენ არმანი | 27.02.1987 |

### სოშო

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. პიერიკ კროსი | 23.06.1991 |
| 16. ტედი რიშე | 21.09.1974 |
| 30. მატიე დრეიერი | 20.03.1989 |
| **მცველები** | |
| სტივენ მუიოკოლო | 24.01.1987 |
| 2. ფრედერიკ დუპლიუსი | 07.04.1990 |
| 4. ბუკარი დრამე(სენეგალი) | 22.07.1985 |
| 8. კარლაო(ბრაზილია) | 19.01.1986 |
| 13. ჟერემი ბრეშე | 14.08.1979 |
| 17. მაქსიმ ჟოსე | 21.03.1987 |
| 19. ჟაკ ფატი(სენეგალი) | 25.02.1984 |
| 22. იასინ მიკარი(ტუნისი) | 09.01.1983 |
| 23. დავიდ სოჟე | 23.11.1979 |
| 24. დამიენ პერკისი | 10.04.1984 |
| 29. მატიე პეიბერნესი | 21.10.1990 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. კევინ ანენი | 05.07.1986 |
| 7. ჟოფრეი ტულიანი | 24.02.1988 |
| 10. ღიად ბუდებუზი (ალჟირი) | 19.02.1990 |
| 14. მარვინ მარტინი | 10.06.1988 |
| 21. ვენსან ნოგეირა | 16.01.1988 |
| 27. ლოიკ პუჟოლი | 27.02.1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ჩარლი დევისი (აშშ) | 25.06.1986 |
| 15. მოდიბო მაიგა | 03.09.1987 |
| 18. შედრიკ ბაკამბუ | 11.04.1991 |
| 20. ედუარ ბუტენი | 16.06.1988 |
| 25. ვაცლავ სვერკოში(ჩეხეთი) | 01.11.1983 |
| 26. შერდარ გიულერი (თურ.) | 14.09.1991 |
| 28. რაფაელ დიაში(პორტ.) | 29.01.1991 |

### ნანსი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 16. დამიენ გრეგორინი | 02.03.1979 |
| 30. რემი პიიო | 27.07.1990 |
| **მცველები** | |
| სალიფ სანე | 25.08.1990 |
| 3. ანდრე-ჟოელ სამი (კონგო.) | 13.11.1984 |
| 5. ანდრე სილვა ლუიში(ბრაზ.) | 27.01.1980 |
| 8. ჟორდან ლოტიესი | 05.08.1984 |
| 17. ჟან კალვე | 30.04.1984 |
| 17. მასადიო აიდარა | 02.12.1992 |
| 20. მიკაელ კრეტიენი(მაროკო) | 10.07.1984 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. პასკალ ბერენჟე | 20.05.1981 |
| 9. აატიფ შაჰეშუჰი | 02.07.1986 |
| 12. ბაკარი ტრაორე (მალი) | 06.03.1985 |
| 18. ჟულიენ ფერე | 05.07.1982 |
| 21. შამბა დიაკიტე | 24.01.1989 |
| 22. ალექსანდრ კუვილიე | 17.06.1986 |
| 23. ჟონატან ბრიზონი | 07.02.1983 |
| 24. ბენჟამინ გავანონი | 09.08.1980 |
| 25. რეინოლ ლემეიტრი | 28.06.1983 |
| 29. ალფრედ ნდიაიე | 06.03.1990 |
| 33. ფუად რაშიდი | 05.11.1991 |
| **თავდამსხმელები** | |
| 10. ბენჟამინ ჟანო | 21.01.1992 |
| 11. ჟამელ ბაკარი | 06.04.1989 |
| 14. პოლ ალოო ეფულუ (კამერ.) | 12.11.1983 |
| 15. იუსუფ ჰაჯი(მაროკო) | 25.02.1980 |
| 19. მარამა ვაირუა | 12.05.1980 |

### ლილი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. მიკაელ ლანდრო | 14.05.1979 |
| 16. ვენსან ენიეამა (ნიგერია) | 29.08.1982 |
| 30. ბარელ მუკო(კონგო) | 05.04.1979 |
| 31. ალექსანდრე უკიდჟა | 19.07.1988 |
| **მცველები** | |
| 2. მატიე დებიუში | 28.07.1985 |
| 3. ლუკას დინიე | 20.07.1993 |
| 6. პაპე სუარე (სენეგალი) | 06.06.1990 |
| 12. ადამა სუმაორო (კოტ დ'ივ.) | 18.06.1992 |
| 14. დავიდ როზენალი (ჩეხეთი) | 05.07.1980 |
| 18. ფრანკ ბერია | 23.05.1983 |
| 21. ლორან ბონარი | 25.12.1979 |
| 22. ორელიენ შეჯუ (კამერუნი) | 20.06.1985 |
| 25. მარკო ბაშა (ჩერნოგორია) | 29.12.1982 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. ფლორან ბალმონი | 02.02.1980 |
| 5. ინდისა გეიე (სენეგალი) | 26.09.1989 |
| 10. ლუდოვიკ ობრანიაკი (პოლ.) | 10.11.1984 |
| 17. ბენუა პედრეტი | 12.11.1980 |
| 24. რიო მავუბა | 08.03.1984 |
| 26. ედენ აზარი (ბელგია) | 07.01.1991 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. დიმიტრი პაიე | 29.03.1987 |
| 8. მუსა სოვი (სენეგალი) | 19.01.1986 |
| 9. ტულიო დე მელო (ბრაზილია) | 31.01.1985 |
| 11. ჟანი ბრუნო (ბელგია) | 19.08.1991 |
| 20. რონი როდელენი | 18.11.1989 |
| 33 ომარ უეიდი (სენეგალი) | 15.05.1990 |

### პარი სენ-ჟერმენი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ნიკოლა დუშე | 22.04.1980 |
| 16. ალფონს არეოლა | 07.02.1993 |
| სალვატორე სირიგუ (იტალია) | 12.01.1987 |
| **მცველები** | |
| 2. მარკო სეარა(ბრაზილია) | 16.06.1980 |
| 3. მამადუ სახო | 13.02.1990 |
| 4. მილან ბიშევაცი | 31.08.1983 |
| 5. შიაკა ტიენე (კოტ დ'ვუარი) | 22.02.1982 |
| 6. ზუმანა კამარა | 03.04.1979 |
| 22. სილვენ არმანი | 01.08.1980 |
| 26. კრისტოფ ჟაიე | 31.10.1983 |
| 28. ლოიკ ლანდრე | 05.05.1992 |
| **ნახევარმცველები** | |
| 7. ჟერემი მენეზი | 07.05.1987 |
| 10. ლუის ნენე (ბრაზილია) | 19.07.1981 |
| 12. მატიე ბოდმე | 22.11.1982 |
| 14. ბლეზ მატუიდი | 09.04.1987 |
| 17. გრანდი ნგოიი | 17.05.1988 |
| 20. კლემან შანტომი | 11.09.1987 |
| 29. ნესკენს კებანო | 10.03.1992 |
| ხავიერ პასტორე (არგენტინა) | 20.06.1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 8. პეგი ლუინდულა | 25.05.1979 |
| 9 გიიომ ოარო | 05.03.1984 |
| 11. მევლუტ ერდინგი (თურქ.) | 25.02.1987 |
| 18. მორის არნო | 16.04.1987 |
| 19. კევინ გამეირო | 09.04.1987 |
| 21. ჟან-ედეს მორისი | 21.06.1986 |
| 25. ჟან-კრისტოფ ბაებეკი | 01.05.1993 |

### ლიონი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. უგო ლორისი | 26.12.1986 |
| 30. რემი ვერკიუტრი | 26.06.1980 |
| 40. ენტონი ლოპესი | 01.10.1990 |
| 45. მეტიუ გორგელინი | 05.08.1990 |
| **მცველები** | |
| ლოიკ აბენზოა | 14.02.1989 |
| 2. ლამინ გასამა | 20.10.1989 |
| 3. მარკეშ კრისი (ბრაზილია) | 03.06.1977 |
| 5. დეიან ლოვრენი (ხორვატია) | 05.07.1989 |
| 12. ტიმოტი კოლოჯეიჩაკი | 01.10.1991 |
| 13. ანტონი რევეიერი | 10.11.1979 |
| 20. ალი სისოკო | 15.09.1987 |
| 23. კლებერ ანდერსონი (ბრაზ.) | 27.04.1980 |
| 26. ჯონ მენსა (განა) | 29.11.1982 |
| 35. ნიკოლა სეგუინი | 06.03.1990 |
| 36. სებასტიან ფორი | 03.01.1991 |
| 37. ტომას ფონტეინი | 08.05.1991 |
| 43. სამუელ უტიტი | 14.11.1993 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. კიმ კალსტრიომი (შვედეთი) | 24.08.1982 |
| 7. კლემან გრენიე | 07.01.1991 |
| 8. მირალემ პიანიჩი(ბოსნია) | 02.04.1990 |
| 10. ონორატო ედერსონი (ბრაზ.) | 13.01.1986 |
| 11. მიშელ ბასტოსი (ბრაზილია) | 02.08.1983 |
| 21. მაქსიმ გონალონი | 10.03.1989 |
| 22. შიდი კონე (მალი) | 06.06.1992 |
| 29. იოან გურკუფი | 11.07.1986 |
| 31. საიდ მეჰამა | 04.09.1990 |
| 41. მაქსიმ ბლანკი | 23.01.1991 |
| 46. ენცო რეალი | 07.10.1991 |
| 47. რაშიდ გეზალი | 09.05.1992 |
| 49. ჟორდან ფერი | 12.02.1992 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ლისანდრო ლოპესი (არგ.) | 02.03.1983 |
| 15. არი ნოვილო | 11.02.1992 |
| 18. ბაფეტიმბი გომისი | 06.08.1985 |
| 19. ჯიმი ბრიანი | 02.08.1985 |
| 24. ჟერემი პიდი | 23.02.1989 |
| 27. იანის ტაფერი | 11.02.1991 |
| 32. გრეგორი პუელი | 20.02.1992 |
| 38. ალექსანდრ ლაკაზეტი | 28.05.1991 |
| 39. იცხაკ ბელფოდილი | 12.01.1992 |
| 50. ალი ტუნჩარა | 31.10.1992 |

### ნიცა

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. დავიდ ოსპინა (კოლუმბია) | 31.08.1988 |
| 16. ლიონელ ლეტიზი | 28.05.1973 |
| 30. ლუკას ვერონისი | 06.02.1991 |
| **მცველები** | |
| 2. რენატო სიველი (არგენტინა) | 14.10.1983 |
| 3 ალენ კანტარეი | 15.08.1983 |
| 4 ნემანია პეიჩინოვიჩი (სერბ.) | 04.11.1987 |
| გრეგორი პეისლი | 07.05.1977 |
| 18. ისმაელ გასე | 19.09.1986 |
| 24. ჟულიენ ბერტომიე | 10.04.1990 |
| 25. ლარის მაბიალა (კონგოს დრ) | 08.10.1987 |
| 29. ფრანსუა კლერი | 18.04.1983 |
| 35. კევინ მალაგა | 24.06.1987 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. დიდიე დიგა | 12.07.1986 |
| 8. დავიდ ელზიკი | 12.05.1979 |
| 14. ემერს ფაე (კოტ დი'ვუარი) | 24.01.1984 |
| 15. კაფუმბა კულიბალი | 26.10.1985 |
| 19 ჯონატან კვარტი (განა) | 02.06.1988 |
| 23. დრისა დიაკიტე (მალი) | 18.02.1985 |
| 27. ჟულიენ საბლე | 11.09.1980 |
| 33. ლოისდ პალუნი (გაბონი) | 28.11.1988 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. მიკაელ პოტე (ბენინი) | 24.09.1984 |
| 10. მამადუ ბაგაიოკო (მალი) | 21.05.1979 |
| 11. ერიკ მულუნგუი (გაბონი) | 01.04.1984 |
| 17. შაუკი ბენ-საადა (ტუნისი) | 01.07.1984 |
| 21. ჰაბიბ ბამოგო (ბურკ. ფასო) | 08.05.1982 |
| 22. ადეილსონი (ბრაზილია) | 07.10.1985 |
| 26. ანტონი მუნიე | 27.09.1987 |
| 28. დანიელ ლუგოჟა (სერბეთი) | 04.09.1978 |
| 33. ისმაელ გონსალვეში (პორტ.) | 25.06.1991 |

### მარსელი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ჯენარო ბრასილიანო | 01.03.1980 |
| 16. ელინტონ ანდრადე (ბრაზ.) | 30.03.1979 |
| 30. სტივ მანდანდა | 28.03.1985 |
| **მცველები** | |
| სედრიკ დულივო | 29.08.1989 |
| 2. სესარ ასპილიკუეტა (ესპ.) | 28.08.1989 |
| 3. ნიკოლა ნკულუ (კამერუნი) | 27.03.1990 |
| 5. ვიტორიო ილტონი (ბრაზ.) | 13.09.1977 |
| 15. ჟერემი მორელი | 02.04.1984 |
| 21. სულეიმან დიავარა (სენეგ.) | 24.12.1978 |
| 24. როდ ფანი | 06.12.1981 |
| 26. ჟან-ფილიპ საბო | 26.02.1987 |
| 27. პაპ მბოუ (სენეგალი) | 22.05.1988 |
| 29. შარლი ფომენი (კამერუნი) | 09.07.1989 |
| **ნახევარმცველები** | |
| კევინ ოსეი (განა) | 26.03.1991 |
| ალექსანდრრ ნდუმბუ (გაბონი) | 04.01.1992 |
| 4. ალუ დიარა | 15.07.1981 |
| 6. ედუარ სისე | 30.03.1978 |
| 7. ბენუა შეირუ | 03.05.1981 |
| 8. ლუჩო გონსალესი (არგ.) | 19.01.1981 |
| 12. ჩარლზ კაბორე (ბურ. ფასო) | 09.02.1988 |
| 17. სტეფან მბია (კამერუნი) | 20.05.1986 |
| 18. ფაბრის ოზრიელი | 06.07.1979 |
| 19. მორგან ამალფიტანო | 20.03.1985 |
| 28. მატიე ვალბუენა | 28.09.1984 |
| **თავდამსხმელები** | |
| რის გადი (საფრანგეთი) | 09.04.1992 |
| 10. პიერ-ანდრე ჟინიაკი | 05.12.1985 |
| 11. ლოიკ რემი | 02.01.1987 |
| 20. ანდრე აიუ (განა) | 17.12.1989 |
| 23. ჟორდან აიუ (განა) | 11.09.1991 |
| 25. ბილელ ომრანი | 02.06.1993 |

### ვალანსიენი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ნიკოლა პენეტო | 28.02.1981 |
| 16. ჟან-ლუი ლეკა | 21.09.1985 |
| 30. გრეგორი უიმბი | 19.08.1971 |
| **მცველები** | |
| 2. დავიდ დიუკურტი | 11.04.1978 |
| 5. რაფაელი (ბრაზილია) | 17.12.1980 |
| 15. ნიკოლას მირინი | 15.11.1991 |
| 20. ბენჟამინ ანგუა (კოტდივ.) | 28.11.1986 |
| 21. ნიკოლა პალუა | 19.09.1987 |
| 25. რუდი მატერი | 13.10.1980 |
| **ნახევარმცველები** | |
| 8. გაელ დანიკი | 19.11.1981 |
| 10. მატიე დოსევი | 12.02.1988 |
| 11. სტივენ ლანჟილი | 04.03.1988 |
| 12. რემი გომისი (სენეგალი) | 14.02.1984 |
| 14. ფუედ კადირი (ალჟირი) | 05.12.1983 |
| 17. კარლოს სანჩესი (კოლუმბია) | 06.02.1986 |
| 18. ამარა ბანგურა (გვინეა) | 10.03.1986 |
| 19. ნამ ტაე ჰი (სამხ. კორეა) | 03.07.1991 |
| 22. ჟონატანმ ლაკური | 17.08.1986 |
| 23. ხოსე საესი | 07.05.1982 |
| 24. გაეტან ბონგი (კამერუნი) | 25.04.1988 |
| 26. რენო კოადი | 29.09.1984 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ვენსან აბუბაკარი (კამერუნი) | 22.01.1992 |
| 27. მამადუ სამასა (მალი) | 01.05.1986 |
| 28. გრეგორი პუჟოლი | 25.01.1980 |
| 29. შეიდ იტერი | 19.01.1985 |
| 34. კამა მასამპუ | 26.12.1991 |

### დიჟონი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ჟან-დანიელ პადოვანი | 17.01.1980 |
| 16. ბაბა ტჩაგუნი (ტოგო) | 31.12.1990 |
| 30. პაპტისტ რეინე | 28.10.1990 |
| 34. ლუკა სპასონი | 08.08.1990 |
| **მცველები** | |
| აბდულაიე მეიტე (კოტდივ.) | 06.10.1980 |
| 2. ფლორან ოუიე | 21.03.1989 |
| 5. ალექსის ზივიეკი | 10.04.1984 |
| 6. ზაკარია დიალო | 13.08.1986 |
| 14. შაჰერ ზარური (ალჟირი) | 14.03.1983 |
| 15. აბდულაიე ბამბა (კოტდივ.) | 25.04.1990 |
| 19. სამუელ სუპრაიენი | 02.02.1989 |
| 25. სტივენ პოლი | 10.02.1986 |
| 27. სედრიკ ვაროლი | 30.01.1980 |
| **ნახევარმცველები** | |
| დაისუკე მაცუი (იაპონია) | 11.05.1981 |
| 3. იუნეს სანკარი | 10.09.1989 |
| 11. ერიკ ბოტეაკი | 24.08.1987 |
| 12. მიკაელ ისაბე | 20.02.1975 |
| 17. ტომას გერბერი | 06.04.1989 |
| 20. ბენჟამინ კორნიე | 06.04.1987 |
| 21. კრისტოფერ ჟუფრო | 14.04.1992 |
| 24. შანაა ალტამა | 23.06.1990 |
| 26. ლესლი მალუდა | 16.11.1983 |
| 29. ფლორან ბერენჟე | 01.04.1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. კრისტოფ მანდანი | 07.02.1985 |
| 9. ბრის ჟოვიალი | 25.01.1984 |
| 10. გრეგორი ტილი | 15.03.1980 |
| 18. რაფაელ კასერესი | 01.09.1987 |
| 22. მეჰდი კურნიო | 21.11.1990 |

### სენტ-ეტიენი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 16. ჟერემი ჟანო | 11.10.1977 |
| 30. ჟესი მულენი | 13.01.1986 |
| 40. პაპე აბდ. კულიბალი (სენეგ.) | 02.03.1988 |
| **მცველები** | |
| 3. კარლოს ბოკანეგრა (აშშ) | 25.05.1979 |
| 5. სილვენ მარშალი | 10.02.1980 |
| 6. სილვენ მონსორო | 20.03.1981 |
| 15. იოან ანდრო | 03.05.1989 |
| 22. ალბინ ებონდო | 23.02.1984 |
| 24. ლოიკ პერენი | 07.08.1985 |
| 26. საალ მუსტაფა ბაიალი (სენეგ.) | 30.11.1985 |
| 27. ლორის ნერი | 05.02.1991 |
| **ნახევარმცველები** | |
| აკარი საკო | 26.04.1988 |
| ვენდელი (ბრაზილია) | 08.04.1982 |
| ჟერემი კლემანი | 26.08.1984 |
| 8. ალეხანდრო ალონსო (არგ.) | 03.03.1982 |
| 10. ლორან ბატლე | 23.09.1975 |
| 19. კრისტოფ ლანდრენი | 30.06.1977 |
| 20. ბუბაქარ მანსალი (სენეგ.) | 04.02.1988 |
| 21. იორიკ რავე | 12.09.1989 |
| 23. ჯოშუა გუილავოგუი | 19.09.1990 |
| 25. სიდი სანია (სენეგალი) | 04.02.1990 |
| 31 ფაუზი გულამი | 01.02.1991 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. პიერ აუბემიანგი (გაბონი) | 28.01.1989 |
| 18. ბუბაქარ სანოგო (კოტდ.) | 17.12.1982 |
| 21. სებასტიენ გრაქსი | 23.06.1984 |
| 29. ემანუელ რივიერი | 03.03.1990 |
| 33. იდრის საადი | 08.02.1992 |

### ბორდო

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. სედრიკ კარასო | 30.12.1981 |
| 30. კევინ ოლიმპა | 10.03.1988 |
| 40. აბდულაიე კეიტა | 19.08.1990 |
| 50. აზბე იუგი (სლოვენია) | 03.03.1992 |
| **მცველები** | |
| 2. მიშელ სიანი | 06.04.1984 |
| 3. კარლოს ენრიკე (ბრაზილია) | 02.05.1983 |
| 15. ვუიადინ სავიჩი (სერბეთი) | 01.07.1990 |
| 21. მატიე შალმე | 07.10.1980 |
| 23 ფლორან მარანჟი | 03.03.1986 |
| 27. მარკ პლანიუ | 07.03.1982 |
| 28. ბენუა ტრემულინასი | 28.12.1985 |
| 29. ლუდოვიკ სანე | 22.03.1987 |
| **ნახევარმცველები** | |
| ივან შევალიე | 13.05.1992 |
| რემი ელისალდე | 01.01.1990 |
| 6. გრეგორი სერტიჩი | 05.08.1989 |
| 8. ფაჰიდ ბენჰალფალა (ტუნისი) | 09.10.1982 |
| 12. ლანდრო ნ გემო | 28.11.1985 |
| 18. იაროსლავ პლაშილი (ჩეხ.) | 05.01.1982 |
| 19. ნიკოლა მორის ბელაი | 19.04.1985 |
| 24. აბდუ ტრაორე (მალი) | 17.01.1988 |
| 33. გჟეგოშ კრიკოვიაკი (პოლ.) | 29.01.1990 |
| **თავდამსხმელები** | |
| ემილანო სალა (არგენტინა) | 31.10.1990 |
| 7. იოან გუფრანი | 25.05.1986 |
| 10. ჟუსი | 19.09.1983 |
| 11. დავიდ ბელიონი | 27.11.1982 |
| 14. ფლოიდ აიიტე | 15.12.1988 |
| 20. ანრი სეივე | 26.10.1990 |
| 22. ენტონი მოდესტე | 14.04.1988 |
| 25. შეიკ დიაბატე (მალი) | 25.04.1988 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი. ლიგა 1. განაცხადები

### რენი

| მეკარეები | |
|---|---|
| 16. ჟოან კარასო | 07.05.1988 |
| 30. შეიხ ნდიაე (სენეგალი) | 15.02.1985 |
| 40. აბდულაიე დიალო | 30.03.1992 |

| მცველები | |
|---|---|
| 4. ონიეკაჩი აპამი (ნიგერია) | 30.12.1986 |
| 5. აბდუ კადერ მანგანე (სენეგ.) | 23.03.1983 |
| 15. ჟან-არმელ კანა ბიიკი | 03.07.1989 |
| 25. ჯონ ბოიე (განა) | 23.04.1987 |
| 26. კევინ ტეოფილ-კატერინი | 28.10.1989 |
| 29. რომენ დანზე | 03.07.1986 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| ჯონათან პიტრიოპა (ბურკ. ფასო) | 12.04.1986 |
| ალექსნდრ ტეტი (ნორვეგია) | 04.04.1986 |
| 10. სტეფან დალმა | 16.02.1979 |
| 12. აბდულრაზაკ ბუკარი | 25.04.1987 |
| 14. კორჟ მანჟეკი (კამერუნი) | 09.12.1988 |
| 17. იან მვილა | 29.06.1990 |
| 18. ფაბიენ ლემუანი | 16.03.1987 |
| 22. იასინ ჟებური | 24.08.1991 |
| 28. ტონგო ჰამედ დუმბია | 06.08.1989 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. ისმაელ ბანგურა (გვინეა) | 02.01.1985 |
| 11. ჟირეს ეკოკო (გვინეა) | 08.01.1988 |
| 19. იონ ვერჰუკი (ჰოლანდია) | 25.03.1989 |
| 20. იასინ ბრაიმი | 08.02.1990 |
| 21. ვიქტ. უგო მონტანო (კოლ.) | 01.05.1984 |
| 24. ლჰაჯი ბადიანი | 16.04.1987 |
| 24. ფრანკ ჟულიენი | 07.03.1991 |
| 27. აბდულ კამარა | 20.02.1990 |

### კაენი

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ალექსის ტებო | 17.03.1985 |
| 16. დამიენ პერკისი | 08.03.1986 |
| 30. ტომას ბოსმელი | 18.04.1988 |
| 40. რიფი მანდანდა | 11.11.1992 |

| მცველები | |
|---|---|
| ჟერი ვანდამი | 08.12.1988 |
| 2. ნიკოლა სეუბე | 11.08.1979 |
| 3. რომენ ინეზი | 30.04.1988 |
| 5. ტომას ერტო | 03.07.1988 |
| 6. ბრანკო ლაზარევიჩი (სერბ.) | 15.05.1984 |
| 12. გრეგორი პრომენი | 10.12.1978 |
| 19. ჟერემი სორბონი | 05.08.1983 |
| 21. პაბლო ბარცოლა (არგ.) | 17.11.1983 |
| 23. გრეგორი ტაფორო | 29.09.1976 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 7. ანტონი დერუანი | 15.03.1979 |
| 8. მარკ დამიენი | 08.12.1988 |
| 10. ბენჟამინ ნივე | 02.01.1977 |
| 17. რაივ ვან ლა პარა (ჰოლან.) | 04.06.1991 |
| 20. რომენ ამუმა | 29.03.1987 |
| 22. ალექსანდრ რეინო | 21.06.1986 |
| 24. გრეგორი ლეკა | 22.08.1980 |
| 25. სამბი იატაბარე | 02.03.1989 |
| 26. იოან მოლო | 18.07.1989 |
| 29. ისმაილა ნდიაე (სენეგალი) | 22.01.1988 |
| 33. ტიბო მულენი | 13.01.1990 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| პიერ-ალან ფრო | 15.04.1980 |
| 9. აბაიე ნიანგი | 19.12.1994 |
| 11. ლივიო ნაბაბი | 14.06.1988 |
| 18. კანდია ტრაორე | 05.07.1980 |
| 28. ბენჟამინ მორელი | 10.06.1987 |

### ევიანი

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ჟოან დიურანი | 17.06.1981 |
| 16. ბერტრან ლაკაი | 13.04.1977 |
| 40. კენტენ ვესტბერგი | 25.04.1986 |

| მცველები | |
|---|---|
| 3. გიიომ რიპერი | 30.04.1985 |
| 5. ფელიპე საადი (ბრაზილია) | 11.09.1983 |
| 15. საშა ცილინშეკი (სერბეთი) | 28.01.1982 |
| 17. ალდო ანგულო | 04.05.1981 |
| 25. ჯონათან მენსა (განა) | 13.07.1990 |
| 26. ბრის ჯა ჯეჯე (კოტდივ.) | 23.12.1990 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 2. მოჰამედ რაბიუ (განა) | 31.12.1989 |
| 4. ერიკ ტიე ბი (კოტდივუარი) | 20.07.1990 |
| 6. ჟერომ ლერუა | 04.11.1974 |
| 14. შედრიკ ბარბოზა | 06.03.1976 |
| 19. გიიომ ლაკური | 02.08.1980 |
| 22. შედრიკ კამბონი | 20.09.1986 |
| 24. ოლივიე სორლენი | 09.09.1979 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 8. სიდნი გოვუ | 27.07.1979 |
| 9. კევინ ბერიგო | 09.05.1988 |
| 10. ერვე ბრუნიე | 24.08.1981 |
| 20. იანიკ საგბო | 12.04.1988 |
| 21. ალი მდადი | 21.04.1990 |
| 27. იუსეფ ადნანი | 16.07.1985 |
| 29. შაბერ ჰელიფა (ტუნისი) | 14.10.1986 |

### ბრესტი

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. სტივ ელანა | 11.07.1980 |
| 16. ფაეტან დენევი | 03.05.1985 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ივან ბურჟი | 29.04.1979 |
| 3. თომას კოტი | 09.05.1987 |
| 4. იოან მარტიალი | 30.05.1991 |
| 9. ნტამე ტეოფ. ჟუნიორი (კამ.) | 17.05.1985 |
| 12. პოლ ბაისი | 18.05.1988 |
| 18. მოისე ბრუ აპანგა (გაბონი) | 04.02.1982 |
| 22. ოსმან კულიბალი | 09.07.1989 |
| 24. აჰმედ კანტარი (მაროკო) | 28.06.1985 |
| 25. ომარ დაფი (სენეგალი) | 12.02.1977 |
| 28. ფილიპოს დარლა | 23.10.1983 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| ტრიპი მაკონდა | 24.01.1990 |
| 5. ოსკარ ევოლო (კონგო) | 09.10.1978 |
| 6. ბრუნო გრუჟი | 26.04.1984 |
| 11. რიშარ სუმა | 06.10.1986 |
| 17. მოდი ტრაორე | 01.03.1985 |
| 19. ბენუა ლესუამიე | 21.02.1983 |
| 21. ბრაჰიმ ფენაჟი (ალჟირი) | 28.08.1977 |
| 23. იოან ბინი | 28.08.1977 |
| 27. მარიო ლიჩკა (ჩეხეთი) | 30.04.1982 |
| 33. ანტონი ბოვა | 07.03.1990 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. ჯონატან აიტე (ტოგო) | 21.07.1985 |
| 10. მარსეკ ტურე (გვინეა) | 20.07.1984 |
| 15. ტომაშ მიჩოლა (ჩეხეთი) | 26.09.1988 |
| 20. რომენ პოიე | 25.11.1980 |
| 26. ნოლან რუ | 01.03.1988 |

### ტულუზი

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. მატიე ვალვერდი | 14.05.1983 |
| 16. მარკ ვიდალი | 03.06.1991 |
| 30. იოან პელე | 04.11.1982 |
| 40. ალი აიმადა | 14.07.1990 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. მოჰამედ ფოფანა | 07.03.1985 |
| 3. დანიელ კონგრე | 05.04.1985 |
| 4. მაურო სეტო (არგენტინა) | 14.04.1982 |
| 12. შეიკ ნბენგე | 23.07.1988 |
| 13. დენი ნუნკეუ (კამერუნი) | 11.04.1986 |
| 17. ჟან-ჟოელ პერიე დუმბე (კამ.) | 27.09.1978 |
| 21. ადრიან გუნინო (ურუგვაი) | 03.03.1989 |
| 28. ფლორიან აიგუი | 15.08.1990 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 5. პაული მაშადო (პორტუგ.) | 31.03.1986 |
| 6. ანტონი დევო | 21.02.1985 |
| 8. ეტიენ დიდო | 24.07.1983 |
| 11. მიშელ ლუანი | 21.09.1988 |
| 14. ფრანსუა სირიე | 07.10.1980 |
| 22. მუსა სისოკო | 16.08.1989 |
| 25. დანიელ ბროტენი ( ნორვ.) | 25.05.1982 |
| 26. ვისამ ბენ-იედერი | 12.08.1990 |
| 27. ფრანკ ტაბანუ | 30.01.1989 |
| 29. ეტიენ კაპუე | 11.07.1988 |
| 34. ადრიენ რეტაგენი | 22.08.1991 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. ფოდე მანსარე (გვინეა) | 03.09.1981 |
| 9. შავიე პენტეკო | 13.08.1986 |
| 11. ფედერიკო სანტანდერი (პარაგ.) | 04.06.1991 |
| 35. ამადუ სუკუნა | 21.06.1992 |

**ლევან ბიბილაშვილი**

## რომა კიაერის არენდაზე ფიქრობს

„რომას“ ხელმძღვანელები არ კარგავენ იმის იმედს, რომ გერმანული „ვოლფსბურგიდან“ დანიელი მცველის, **სიმონ კიაერის** არენდით აყვანას მოახერხებენ. ახალგაზრდა უკანახაზელი დიდი ხანია, „ჯალოროსის“ შეფების თვალთახედვის არეშია მოქცეული, მაგრამ რომაელები „ვოლფსბურგთან“ შეთანხმებას ვერ ახერხებენ. იტალიური პრესის ინფორმაციით, „ჯალოროსიმ“ გერმანულ კლუბს კიაერის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. შესაბამისად, იტალიელები ახლა კიაერის ერთწლიან არენდაზე ფიქრობენ. შეგახსენებთ, რომ „ვოლფსბურგს“ კიაერი (პალერმოდან იყიდა) შარშან 13 მილიონი ევრო დაუჯდა.

**ლაშა ნიკლაური**

## იტალია

# გალიანის ვაი: რესტორანი ვიყავით და პიცერია გავხდით!

### პრობლემების ნუსხა: მოედნები – ერთი, სკანდალი – ორი, იტალიური მენტალიტეტი – სამი...



ადრიანო გალიანი იტალიურ საკლუბო ფეხბურთზე წუხს

იტალიური საკლუბო ფეხბურთის რეგრესი ისედაც ნათელი იყო, ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე ადგილის დაკარგვამ კი კალჩოს კრიზისს საბოლოოდ მკვეთრი ხაზი გაუსვა. მილანის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ფიქრობს, რომ თუ იტალიურ ფეხბურთში ძირეული ცვლილებები არ განხორციელდა, სერია A-ს რეგრესი გაგრძელდება და მალე სავალალო სახეს მიიღებს. „მილანის“ ბოსი ახალს არაფერს ამბობს იმით, რომ იტალიის ჩემპიონატი დიდი ხანია, აღარ არის ევროპაში საუკეთესო და გალიანი მთავარ მიზეზსაც ისეთს ასახელებს, აქამდე ათასჯერ ნათქვამი და განხილული თემა რომ იყო (სტადიონების პრობლემა), სამაგიეროდ, გალიანი პირველი წონადი პერსონაა იტალიურ ფეხბურთში, რომელიც ძირეულ, რევოლუციურ ცვლილებებს ითხოვს. „მილანის“ შეფის აზრით, იტალიურ ფეხბურთს დალი მანიპულირებული მატჩების სკანდალმაც დაასვა – გალიანი დამნაშავეების უსასტიკესად დასჯას ითხოვს.

*„90-იან წლებში იტალიის სერია A კარგი რესტორანი იყო, რომელიც მე-20 საუკუნის მიწურულს ლუქს-კლასის რესტორანი გახდა, ახლა კი პიცერიის დონეზე დავეშვით და თუ ასე გაგრძელდა, მალე მუშების სასადილოდ გადავიქცევით, - ამბობს გალიანი „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - ყველაზე ცუდი ის არის, რომ ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ვერ მოვიპოვეთ. საფრანგეთმა როგორღაც გვაჯობა და ეს იმას ნიშნავს, რომ ფრანგები 2016 წლამდე სტადიონებს განაახლებენ, ინფრასტრუქტურას გააუმჯობესებენ და საბოლოო ჯამში, სერია A-ს საფრანგეთის ლიგაც გადაასწრებს. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ჩვენ რომ მოგვეპოვებინა, იძულებულები გავხდებოდით, ინფრასტრუქტურა და სტადიონები გაგვეკეთებინა და რეგრესი შეწყდებოდა. ასეთ ვითარებაში კი, ხომ იცით იტალიური მენტალიტეტი, ხელსაც არავინ გაანძრევს. ძალიან არ მინდა, რომ ცოტა ხანში ჩვენი ლიგა ევროპაში მეხუთე ადგილამდე დაქვეითდეს.“*

**სილვიო ბერლუსკონის** მარჯვენა ხელის აღელვება საფუძველს მოკლებული არაა, რადგან იტალიამ უკვე დაკარგა ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე ადგილი, მოძველებული სტადიონების საკითხი კი იმდენად პრობლემატურია, რომ შექმნილი ვითარება იტალიურ საკლუბო ფეხბურთს კარგს არაფერს უქადის.

გუშინ „გაძეტა დელო სპორტმა“ გამოაქვეყნა შედარებითი სტატისტიკა, სადაც იტალიის ჩემპიონატის რეგრესი ცხადადაა ასახული: 2000 წელს სერია A-ს სეზონური შემოსავალი 0.9 მილიარდ ევროს შეადგენდა, რითაც იტალიის ჩემპიონატი გერმანიის ბუნდესლიგას (0.53) სჯობდა, ინგლისის პრემიერლიგას (1.1) კი მცირედით ჩამორჩებოდა. 2010 წლის მონაცემები კი ასე გამოიყურება: ინგლისი 2.4 მილიარდი, გერმანია 1.55 მილიარდი, იტალია 1.53 მილიარდი.

გალიანი ასი პროცენტით დარწმუნებულია იმაში, რომ შემოსავლის შემცირება სტადიონების მდგომარეობის გაუარესებამ და ხალხის შესაბამისმა ნაკლებობამ გამოიწვია. თუ არ ჩავთლით ერთადერთ გამონაკლისს (ტურინის „იუვენტუსი“ უახლეს, ბრწყინვალე სტადიონს ხსნის), იტალიაში თითქმის ყველა არენა მოძველებული და თანამედროვე სტანდარტებისთვის შეუფერებელია. გალიანი წუხს იმის გამო, რომ 1990 წლის შემდეგ, როცა იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა, სტადიონები რეალურად აღარ გარემონტებულა. შედეგიც სახეზეა: თუკი მადრიდის „რეალმა“ 2009/2010 წლების სეზონში ბილეთების გაყიდვით 129.1 მილიონი ევრო იშოვა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი 122.4 მილიონი, იმავე სეზონში მილანის „ინტერმა“ გაყიდული ბილეთებით მხოლოდ 38.6 მილიონი გააკეთა, „მილანმა“ კი 31.3 მილიონი და ეს იტალიაში საუკეთესო შედეგებია.

იტალიის პარლამენტი ახლა სტადიონების პრივატიზაციის კანონის მიღებას განიხილავს, კალჩოს კრიზისიდან გამოყვანა ახლა ამ პროცედურების გამარტივებითაც სურთ, რათა კლუბებმა ახალი სტადიონების აშენებისა თუ ძველების რეკონსტრუქციის უფლება მარტივად მიიღონ.

სტადიონების პრობლემა ერთი და სერიოზული პრობლემაა, მანიპულირებული მატჩების უხვი რაოდენობა კი მეორე და უფრო მტკივნეული. ამჟამინდელ სკანდალში მთავარმა პროკურორმა **სტეფან პალაციმ** დამნაშავე კლუბებისა და ფეხბურთელების უსასტიკესად დასჯა მოითხოვა. მაგალითად, დიდი შანსია, რომ სერია A-ში ახლახან გადაბარგებულ ბერგამოს „ატალანტას“ ახალი სეზონისთვის შვიდი ქულა დააკლონ. ამ კლუბის კაპიტან **კრისტიანო დონის** კი, პალაცის მოთხოვნით სამწლიანი (!) დისკვალიფიკაცია ემუქრება. შეფ-პროკურორის აზრით, იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ჯუზეპე სინიორი**, რომელიც ასევე სკანდალშია გახვეული, ფეხბურთიდან სამუდამოდ უნდა მოიკვეთოს.

ამიტომაც წერდა გუშინ „კორიერე დელო სპორტი“, პალაციმ სკანდალს მთელი ძალით შეუტია და დამნაშავეები დანდობას არ უნდა ელოდონო. მაგალითად, მესამელიგელ კლუბებს, „ალესანდრიასა“ და „რავენას“ მეოთხე ლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. „კიევოს“, მიუხედავად იმისა, რომ სკანდალში გარეული არ ყოფილა, 80 000 ევროს გადახდა დაეკისრება. ვერონულ კლუბს დანაშაული არ მიუძღვის, თუმცა მის ერთ-ერთ მრჩეველს, **სტეფანო ბეტარინის** მაფიასთან ჰქონდა კავშირი, რის გამოც „კიევოც“ დააჯარიმეს. ერთი სიტყვით, იტალიაში ყველას და ყველაფრის დასჯას აპირებენ, რასაც და ვისაც მანიპულირებულ მატჩებთან თუნდაც მცირე შეხება აქვს. ზოგადად, ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარული კომისიის საბოლოო ვერდიქტებს ორშაბათს ელოდებიან.

საერთო ჯამში, სკანდალში 18 კლუბი, 26 ფეხბურთელი და ფუნქციონერია გარეული, პირველ, მეორე და მესამე ლიგებში კი დაახლოებით 60 მატჩია მანიპულირებული...

**ლაშა ნიკლაური**

## იუვენტუსი

# იუვე ელიას არ ეშვება!

### იაკვინტა რჩება, ძოფმა ვუჩინიჩი შეაქო

ტურინის „იუვენტუსი“ გარემარბის ძებნას აგრძელებს და „ჰამბურგის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი, **ელჯერო ელია** გაიხსენა. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, „ბებერი ქალბატონის“ შეფებს ზოგადად გუნდის გაახალგაზრდავება სურთ. „ტუტოსპორტის“ ინფორმაციით, 24 წლის ელია „იუვენტუსისთვის“ სასურველ ფეხბურთელებს შორის ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა. ხსენებული გამოცემა წერს, რომ „ჰამბურგი“ მზადაა, ელია 8 მილიონ ევროდ დათმოს. შეგახსენებთ, რომ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა ელია ორი წლის წინ, „ტვენტედან“ შედარებით ძვირად, 9 მილიონად იყიდა.

ამასობაში, „იუვეს“ თავდამსხმელმა **ვინჩენცო იაკვინტამ** უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს ტურინიდან წასვლას აპირებეს. *„კლუბში ჩვენთვის არავის უთქვამს, ვინჩენცო „იუვედან“ უნდა გავუშვათო. მის გაყიდვას რომ აპირებდნენ, აუცილებლად შეგვატყობინებდნენ. ვინჩენცოს „იუვენტუსთან“ კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს,* - აცხადებს თავდამსხმელის მამა, **ჯუზეპე იაკვინტა** და იქვე დასძენს, - *ვინჩენცო ძალიან მონდომებულია. „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება და იტალიის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება უნდა. ჩვენ ვიცით, რომ „სკუადრა აძურას“ თავკაცი ჩეზარე პრანდელი მას მუდმივად აკვირდება.“*

ლეგენდარულმა იუვენტუსელმა, წარსულში ცნობილმა მეკარემ, **დინო ძოფმა** კი „იუვეს“ ახალწვეული **მირკო ვუჩინიჩი** შეუქო. *„მირკო ვუჩინიჩის ყიდვა ძალიან კარგი გადაწყვეტილება იყო. „რომას“ ყოფილი თავდამსხმელი სწორედ ის ფეხბურთელია, ვინც „იუვენტუსს“ ყველაზე მეტად სჭირდებოდა,* - უთხრა ძოფმა „კალჩონიუსს“, - *მიმაჩნია, რომ ვუჩინიჩი ტოპ-ფეხბურთელია და აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და „იუვეს“ გენერალურ დირექტორ ბეპე მაროტას ამ ტრანსფერის გამო შევაქებ. ვფიქრობ, „იუვენტუსისთვის“ ეს სეზონი ძალიან წარმატებული იქნება. მომწონს ტურინული კლუბის ახალი მწვრთნელი ანტონიო კონტე და ყველა ფეხბურთელი, რომლებიც „ბებერმა ქალბატონმა“ იყიდა. არ ვიცი, იქნება თუ არა ეს ყველაფერი საკმარისი იმისათვის, რომ „იუვემ“ „სკუდეტო“ მოიგოს, მაგრამ ფაქტია, რომ „იუვენტუსი“ შარშანდელზე გაცილებით უკეთეს სეზონს ჩაატარებს.“*

ტურინულ კლუბში ეიფორია რომაა, ამას გაყიდული აბონემენტების რაოდენობაც ადასტურებს, რაც არა მარტო ტრანსფერებისა და ახალი მწვრთნელის, არამედ, პირველ რიგში ახალი სტადიონის დამსახურებაა. „იუვენტუსს“ ახლა უკვე თავისი პერსონალური არენა აქვს, რომელიც 41 000 მაყურებელს იტევს. თუკი შარშან „იუვენტუსმა“ მხოლოდ 14 600 სეზონური აბონემენტი გაყიდა, წელს ეს რიცხვი უკვე 23 000-ია. „იუვენტუსი“ ახალ სეზონში პირველ ოფიციალურ საშინაო მატჩს ახალ არენაზე 11 სექტემბერს, „პარმასთან“ ჩაატარებს.

**ლაშა ნიკლაური**



ელჯერო ელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. I ტური. პარასკევის მატჩის წინ

# ცეცხლს ჩემპიონები აანთებენ!

## გერმანიის პირველობა დღეს დორტმუნდისა და ჰამბურგის ჯახით იწყება

**ბორუსია (დ)–ჰამბურგი 22:30**

**ტრავმა**: კოხი, ოვომოიელა, შმელცერი, ბაკალორცი, ბარიოსი – შტეპანეკი, არსლანი, ბერგი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორუსია დ. (4-2-3-1)**: ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, ლიოვე – გიუნდოგანი, ს. ბენდერი – გიოტცე, კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**ჰამბურგი (4-2-3-1)**: დრობნი – დიკმაიერი, მანსიენი, ვესტერმანი, აოგო – რინკონი, იაროლიმი – თიორე, სონი, ელია – პეტრიჩი.

ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატებიდან ახალ სეზონს პირველი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, გერმანია იწყებს: ბუნდესლიგის რიგით 49-ე სეზონი დღეს მოქმედი ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუსიასა" და „ჰამბურგის" შეხვედრით დაიწყება. ის ფაქტი, რომ ჩემპიონატს მოქმედი ჩემპიონი ხსნის, გერმანიაში ტრადიციადაა დამკვიდრებული, ჩვენთვის კი ყველაზე კარგი ის არის, რომ BVB-ს მეტოქეც ძლიერი ჰყავს – ახალი სეზონის პირველივე მატჩი საინტერესო უნდა გამოვიდეს.

დორტმუნდელებმა გასულ სეზონში ბრწყინვალე ფეხბურთით და დამსახურებული ჩემპიონობით მთელი საფეხბურთო გერმანია (და არა მარტო გერმანია) ალაფრთოვანა, დღეს კი „შავ-ყვითლები" ტიტულის შენარჩუნებისთვის ბრძოლას იწყებენ. „ბორუსიას" თავკაცი **იურგენ კლოპი** გერმანელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს და იურგენმა დღეიდანვე უნდა დაიწყოს იმის მტკიცება, რომ ეს წოდება შემთხვევით არ დაუმსახურებია - ხომ იცით, ტიტულის მოპოვებაზე ძნელი მისი შენარჩუნებაა. მართალია, იურგენი დღენიადაგ გაიძახის, ჩვენ სულაც არ ვართ ვალდებულები, რომ მაინცდამაინც ჩემპიონობა შევინარჩუნოთო, რადგან კარგად ხვდება, რომ მიუნხენის „ბაიერნმა" ზედიზედ მეორე სეზონი ყველა ლოგიკის მიხედვით აღარ უნდა ჩააგდოს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემპიონი გულის სიღრმეში მაინც ვერ დაისახავს ჩემპიონობაზე დაბალ მიზანს. თუმცაღა კლოპი ძალიან ხშირად იმეორებს, რომ მისთვის ყველაზე მთავარი იმ შესანიშნავი ფეხბურთის შენარჩუნებაა, რომლითაც დორტმუნდელებმა გასულ სეზონში მთელი საფეხბურთო ევროპა აალაპარაკეს.

იაპონელი გამთამაშებელი **შინჯი კაგავა** „ბორუსიას" გასული სეზონის მეორე წრეში აკლდა, ახლა კი სრულიად ჯანმრთელია და თანაც უკვე ძალიან კარგ ფორმაშია. ზოგადად, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებიდან კლოპს ტრავმების გამო მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი** და ცენტრფორვარდი **ლუკას ბარიოსი** აკლია. ეს უკანასკნელი კოპა ამერიკაზე დაშავდა და ბოლო ინფორმაციით, BVB-ს 5-6 კვირის განმავლობაში, ანუ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე, ვერ დაეხმარება. ბარიოსს „ბორუსიაში" მანამდე პოლონელი ფორვარდი **რობერტ ლევანდოვსკი** შეცვლის.

რაც შეეხება დორტმუნდელთა მეტოქეს: „ჰამბურგი" გასული სეზონის დასრულებიდან დღემდე მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჩრდილოგერმანული კლუბი ისეთმა გამოცდილმა ფეხბურთელებმა დატოვეს, როგორებიც იყვნენ **რუუდ ვან ნისტელროოი, ზე რობერტო** და **იორის მატიისენი**. სამაგიეროდ, HSV-ს ახალმა სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** არაერთი ახალგაზრდა მოთამაშე (უმეტესობა ლონდონის „ჩელსიდან") გადაიბირა. ამრიგად, თუკი „ჰამბურგს" გასულ სეზონში ბუნდესლიგაში ყველაზე ასაკოვანი გუნდი ჰყავდა, დღეს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული კოლექტივი ჰყავს.

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ჰამბურგმა" ამ სეზონში წესით სერიოზული მიზნებისთვის ვერ უნდა იბრძოლოს, რადგან მწვრთნელ **მიხაელ იონინგს** საშუალო დონისა და რანგის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ჰყავს. ამ ეტაპზე „ჰამბურგს" განსაკუთრებით დაცვაში უჭირს, რაც ერთი კვირის წინ, გერმანიის თასის პირველ ეტაპზეც გამოჩნდა, როცა ჰამბურგელები კინაღამ მეხუთელიგელ „ოლდენბურგთან" დამარცხდნენ (მხოლოდ 2:1). საერთო ჯამში „ჰამბურგმა" 14 ფეხბურთელი შეიძინა და 13 გაუშვა – ამდენი ცვლილება სხვა არც ერთ გერმანულ კლუბში არ ყოფილა. ამრიგად, დღეს HSV-ს მოქმედ ჩემპიონ „დორტმუნდთან" პირველი სერიოზული გამოცდა ელის.



ჰამბურგელები ყველაზე მეტად შინჯი კაგავას უფრთხიან

წესით, დღევანდელი მატჩი უხვგოლიანი უნდა გამოვიდეს, რადგან ამ ორ გუნდს შორის ჩატარებული მატჩების ისტორია სულ 309 გოლს ითვლის (150 ბორუსიამ გაიტანა, 159 ჰამბურგმა), რაც ბუნდესლიგაში სარეკორდო შედეგია.

შალკე



რაული შალკეში უკმაყოფილოა?

# რაულის პროვოკაცია

## როგორც ჩანს, ესპანელს გელზენკირხენიდან წასვლა უნდა

როგორც ჩანს, ვეტერანი ესპანელი თავდამსხმელი **რაული** „შალკეში" ძალიან უკმაყოფილოა და გერლზენკირხენული კლუბის დატოვება მართლა მყარად აქვს გადაწყვეტილი. ჩვენი გერმანელი კოლეგები ამაში 34 წლის ფორვარდის კიდევ ერთი ძალიან ალოგიკური საქციელით დარწმუნდნენ. საქმე იმაშია, რომ გასულ კვირას „შალკეს" ფეხბურთელებმა ე.წ. „მოთამაშეების საბჭო" აირჩიეს, რომელშიც კაპიტან **ბენედიქტ ჰიოვედესთან** ერთად, კიდევ ოთხი ფეხბურთელი შევიდა და მათ შორის რაულიცაა. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, „შპორტ ბილდის" ინფორმაციით, რაულმა საბჭოს წევრობაზე უარი განაცხადა!

*„დიახ, ეს სიმართლეა. ფეხბურთელებმა საბჭო აირჩიეს, სადაც კაპიტანი, ვიცე-კაპიტანი და სხვა უფლებამოსილი მოთამაშეები შევიდნენ. რაულმა საკმაოდ ბევრი ხმა მიიღო და წესით, საბჭოს წევრი ისიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ უარი თქვა,"* - ადასტურებს გელზენკირხენელთა მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი**.

რაულის უარი პროვოკაციას ჰგავს! სხვათა შორის, წინა კვირას გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ გონსალეს ბლანკოს „მალაგაში" გადასვლა სურდა – რაული ამ გუნდს მოსამზადებელ შეკრებაზე სტუმრობდა და „მალაგას" ფეხბურთელებთან ერთად ერთი ღამეც გაათენა. ეჭვს ისიც ზრდის, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გამოცდილი ესპანელი გოლეადორი „შალკეს" მთავარი მწვრთნელის, **რალფ რანგნიკის** ახალი ტაქტიკითა და სტრატეგიით უკმაყოფილოა და „პროფესორ რალფთან" ზოგადად ცუდი ურთიერთობა აქვს. რანგნიკმა ამას წინათ თქვა, ახალ სეზონში რაულმაც ძალიან ბევრი უნდა ირბინოსო, რითაც ცეცხლზე ნავთი დაასხა...

ახლა კი რაული საბჭოს წევრობაზე უარის თქმით, ან პასუხისმგებლობას არიდებს თავს, რადგან წასვლა აქვს გადაწყვეტილი, ანაც ამით პროტესტს გამოხატავს. ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ესპანელი ინტერვიუზე ყველას უარს ეუბნება.

დორტმუნდის ბორუსია

# ბარიოსის ექვსი კვირა

## მაგრამ კლოპი ახალ თავდამსხმელს მაინც არ ყიდულობს

გერმანიის მოქმედი ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუსიას" მწვრთნელი, ხელმძღვანელები და გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ 22 წლის პოლონელი თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი** ბუნდესლიგის პირველ ტურებშიც ისეთი შედეგიანი იქნება, როგორც მოსამზადებელ პერიოდში იყო (4 გოლი), რადგან დორტმუნდელთა მთავარი გოლეადორის, **ლუკას ბარიოსის** ტრავმა მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა და ახლა გერმანიის ჩემპიონატის პირველი ტურების მთელი სიმძიმე ლევანდოვსკიზე გადაივლის.

26 წლის ბარიოსი „ბორუსიას" ექვსი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. ლუკასმა, რომელსაც ბუნდესლიგის 65 მატჩში 35 გოლი აქვს გატანილი, ტრავმა 24 ივლისს, კოპა ამერიკას ფინალში მიიღო, საბოლოო დიაგნოზი კი მხოლოდ გუშინღა დაუსვეს. როგორც გაირკვა, ეს პარაგვაის ნაკრების მთავარი ექიმის შეცდომის ბრალია.

*„პარაგვაის ნაკრებს ძალიან ცუდი სამედიცინო შტაბი ჰყავს. სწორედ მათმა არასწორმა დიაგნოზმა გამოიწვია ის, რომ ბარიოსი სამის ნაცვლად, ლაზარეთში ექვს კვირას გაატარებს,"* - განრისხებულია დორტმუნდელთა მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი**, რომელიც მთავარი გოლეადორის დაშავების მიუხედავად, ახალი თავდამსხმელის ყიდვაზე არ ფიქრობს. „ბორუსიას" სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** ამბობს, კლოპს უკვე ველაპარაკე და მითხრა, ახალი ფორვარდი არ მჭირდება, ლევანდოვსკის ვენდობიო...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ლუკას ბარიოსი თვენახევარი დაისვენებს

ვერდერი

# პერის დღეები ვერდერში დათვლილია?

## ბრემენელები მზად არიან, დაცვის ბურჯი გაყიდონ



პერ მერტეზაკერი შეიძლება „არსენალში" გადავიდეს

ბუნდესლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე გამართულ ბოლო ტესტმატჩში „ვერდერის" 26 წლის მცველი **პერ მერტეზაკერი** მოედანს სამთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა, რითაც ბრემენული კლუბის ქომაგები ძალიან გაახარა – „ევერტონთან" მოგებულ (1:0) შეხვედრაში მან ძალიან კარგად იასპარეზა. *„დიდი ხანია, თავი ასე კარგად არ მიგრძვნია. ფეხბურთის თამაში მაგრად მომნატრებია,"* - უთხრა მერტემ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

თუმცა გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, დიდი შანსია, რომ „ვერდერის" ფანებმა მერტეზაკერი „მუსიკოსების" ფორმით მხოლოდ 4 შეხვედრაშიღა იხილონ. როგორც იცით, გერმანიის ნაკრებისა და „ვერდერის" დაცვის ბურჯს ბევრი მთხოვნელი ჰყავს, „მუსიკოსების" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** კი აღიარა, რომ თუ რომელიმე გუნდის წარმომადგენლები დაუკავშირდებიან, მზადაა, მოლაპარაკებები აწარმოოს. ალოფსმა ისიც თქვა, რომ ეს მარტო მერტეზაკერს კი არა, ყველა ფეხბურთელს ეხება. *„მე ყველა მოთამაშეს დავპირდი, რომ ოფიციალური დაინტერესების შემთხვევაში მოლაპარაკებებზე უარს არ ვიტყვი,"* - ამბობს ალოფსი „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მერტეს „ვერდერთან" კონტრაქტი გაისად უმთავრდება, ახალი ხელშეკრულება კი, ჯერ არ გაუფორმებია. ამრიგად, თუ ბრემენელებს არ უნდათ, რომ წამყვანი ფეხბურთელი გაისად უფასოდ დაკარგონ, ახლავე, 31 აგვისტომდე უნდა გაასხვისონ. მანამდე კი, მერტეზაკერს „ვერდერში" მხოლოდ 4 მატჩი რჩება: „კაიზერსლაუტერნთან", „ლევერკუზენთან", „ფრაიბურგთან" და „ჰოფენჰაიმთან". მერტეზაკერის გადაბირება ყველაზე მეტად ლონდონის „არსენალს" უნდა. შეგახსენებთ, რომ ბრემენელებმა **სოკრატის პაპასტატოპულოსისა** (ჯენოადან) და **ანდრეას ვოლფის** (ნიურნბერგიდან) სახით ორი ახალი ცენტრალური მცველი იყიდეს, რითაც სწორედ პერის გაყიდვის შემთხვევისგან დაიზღვიეს თავი. ალოფსი ამბობს, ყველა პოზიციაზე კარგად ვართ დაკომპლექტებულები და ამიტომაც ვარ მზად, რომ მერტეზაკერის თაობაზე მოლაპარაკებები ვაწარმოო, თუმცა ფაქტია, რომ მისი დაკარგვა არ მინდაო. ერთი რამ ასპროცენტიანია: ხვალ, ბუნდესლიგის პირველ ტურში, „ვერდერისა" და „კაიზერსლაუტერნის" მატჩში პერი ძირითად შემადგენლობაში იქნება გამწესებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის ნაკრები



ილქაი გიუნდოგანის დებიუტი გერმანიის ნაკრებში ბრაზილიასთან შედგება?

# იოახიმ ლიოვმა გიუნდოგანს დაუძახა!

## წარმოშობით თურქის დებიუტი ბუნდესგუნდში ბრაზილიასთან შედგება

ოთხშაბათს, გერმანიის ნაკრები მეტად მნიშვნელოვან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს: ბუნდესგუნდი შტუტგარტში ბრაზილიის ნაკრებს დაუპირისპირდება. გუშინ, გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც ერთი დებიუტანტია: „ნიურნბერგიდან“ დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადაბარგებული, წარმოშობით თურქი ნახევარმცველი **ილქაი გიუნდოგანი**, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე თვის წინ თქვა უარი თურქეთის ნაკრებზე და ბუნდესგუნდში თამაში გადაწყვიტა. სამაგიეროდ, გერმანიის ნაკრებში მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავები, **სამი ხედირა** და **მესუთ იოზილი** არ არიან გამოძახებულები. ისინი „სამეფო გუნდთან“ ერთად აშშ-სა და ჩინეთში იმყოფებოდნენ, რის გამოც ლიოვმა ორივე დაასვენა.

„სამის და მესუთს ტელეფონით ვესაუბრე და ავუხსენი, რატომ არ ვიძახებ ნაკრებში. „რეალთან“ ერთად ორი მოგზაურობის შემდეგ დაღლილები არიან და ბუნდესგუნდში მათი თამაში მეტად სარისკოა. ხედირა და იოზილი ოფიციალურ მატჩებში უფრო გვჭირდება და მართალია, ბრაზილიასთან ტესტმატჩსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გარისკვა არ ღირდა,“ - უთხრა ლიოვმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

სამაგიეროდ, გერმანიის ნაკრებში პირველად გამოჩნდება გიუნდოგანი. ეს უკანასკნელი აქამდე მხოლოდ გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა ხოლმე, ახლა კი ლიოვის ყურადღების ცენტრშიც მოექცა და დიდი შანსია, რომ ეროვნულ გუნდში ილქაის დებიუტი სწორედ ბრაზილიასთან შედგეს.

„ილქაიმ უდიდესი პროგრესი განიცადა და ეროვნულ ნაკრებში გამოძახება დაიმსახურა. გიუნდოგანი ძალიან ტექნიკური, ნიჭიერი ნახევარმცველია, რომელსაც ამიერიდან უფრო და უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობ. ბრაზილიასთან ამხანაგური შეხვედრა მშვენიერი შანსია იმისა, რომ ეს ბიჭი ახლოს გავიცნო და ბუნდესგუნდს შევაგუო,“ - ამბობს იოგი.

ბუნდესმწვრთნელმა გერმანიის ნაკრებში „შტუტგარტის“ წარმოშობით ბრაზილიელი თავდამსხმელი **კაკაუც** დააბრუნა, რომელსაც წელს ბუნდესნაკრებში ტრავმების გამო არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია. „ეს დღე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება. მიხარია, რომ ბრაზილიასთან მატჩისთვის ნაკრებში გამომიძახეს,“ - ეს თვითონ 30 წლის კაკაუს სიტყვებია, რომელსაც გერმანიის ნაკრებში ჩატარებულ 17 მატჩში 4 გოლი აქვს გატანილი.

„სელესაოსთან“ მატჩისთვის ლიოვმა მიუნხენის „ბაიერნიდან“ რვა ფეხბურთელს უხმო. კაპიტან **ფილიპ ლამის** გარდა, რეკორდმაისტერიდან ბუნდესგუნდში **მანუელ ნოიერი, ბასტიან შვაინშტაიგერი, ჰოლგერ ბადშტუბერი, ტონი კროოსი, ჟერომ ბოატენგი** და **მარიო გომესი** არიან გამოძახებულები. გერმანიის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** მანუელ ნოიერი (ბაიერნი), ტიმ ვიზე (ვერდერი)

**მცველები:** დენის აოგო (ჰამბურგი), ჰოლგერ ბადშტუბერი (ბაიერნი), მატს ჰუმელსი (ბორუსია დ), ფილიპ ლამი (ბაიერნი), კრისტიან ტრეში (ვოლფსბურგი), ჟერომ ბოატენგი (ბაიერნი), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე).

**ნახევარმცველები:** სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), სვენ ბენდერი (ბორუსია დ), ტონი კროოსი (ბაიერნი), მარიო გიოტცე (ბორუსია დ), თომას მიულერი (ბაიერნი), ილქაი გიუნდოგანი (ბორუსია დ), ლუკას პოდოლსკი (კიოლნი), მარკო როისი (ბორუსია მ), ანდრე შიურლე (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი).

**თავდამსხმელები:** მარიო გომესი (ბაიერნი), მიროსლავ კლოზე (ლაციო), კაკაუ (შტუტგარტი).

**გოტფრიდ ლენცი**

● მწვრთნელი

# მათეუსმა ბუნდესლიგაზე ხელი ჩაიქნია

გერმანიის ნაკრების რეკორდსმენმა **ლოთარ მათეუსმა**, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე წელია, სამწვრთნელო საქმიანობითაა დაკავებული, ბუნდესლიგაში მუშაობის პერსპექტივაზე ხელი ჩაიქნია. როგორც იცით, წლებია, ლოთარს ბუნდესლიგაში მუშაობის დაწყება უნდა, მაგრამ მისი დანიშვნის სურვილი დღემდე არც ერთმა გერმანულმა კლუბმა არ გამოთქვა.

„მორჩა, ამიერიდან გერმანიაში მუშაობაზე აღარ ვიფიქრებ და ამით ნერვებს აღარ მოვიშლი. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და მივხვდი, რომ სულაც არაა აუცილებელი, მაინცდამაინც ბუნდესლიგაში ვმუშაობდე,“ - უთხრა ჟურნალ „11 ფროინდეს“ მათეუსმა, რომელსაც გერმანიის ნაკრებში ყველაზე მეტი, 150 მატჩი აქვს ჩატარებული.

ლოთარი მიიჩნევს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში მის სახელს გერმანიაში მხოლოდ იმისთვის იყენებდნენ, რომ პრესაში სკანდალური სტატიები დაწერილიყო. „პირადად მე საკუთარი თავი რომელიმე გერმანული კლუბისთვის არასდროს შემითავაზებია. უბრალოდ, როგორც კი სადმე მწვრთნელს გაუშვებდნენ, ჟურნალისტები მაშინვე ჩემს გვარს ამოატივტივებდნენ ხოლმე. ეს ყველაფერი სპეკულაციები იყო და ამ სპეკულაციებმა ჩემი პრესტიჟი შელახა, - აცხადებს 50 წლის მათეუსი და იქვე დასძენს, - თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ოდესმე რომელიმე გერმანული კლუბი ჩემი სამსახურით დაინტერესდება, წინადადებას არ განვიხილავ. მიმაჩნია, რომ მე გერმანიაში უნდა ვმუშაობდე.“



ლოთარ მათეუსი

**გოტფრიდ ლენცი**

● ტოტენჰემ ჰოთსპური

# ჰარის გადაკარგულ ადგილებში არ უნდა

დღეს უეფაში ევროლიგის კენჭისყრაა, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** კი თავად ამ შეჯიბრებას „მკვლელს“ უწოდებს. როგორც ჩანს, „დეზების“ თავკაცს ევროლიგაში მონაწილეობა საერთოდ არ უნდა. მიზეზი: იმ ორ გუნდს, რომლებიც ფინალში გავლენ, 17 შეხვედრის გამართვა მოუწევთ, პრემიერლიგის ერთ-ერთი ფავორიტის თავკაცს კი ასეთი დატვირთვის დამატება ეზედმეტება. რედნაპის აზრით ეს „ზედმეტი“ შეხვედრები მისი გუნდის პრემიერლიგურ შანსებს შეამცირებს. თუმცა, გამოსავალიც ნაპოვნია: რედნაპი ევროლიგის შეხვედრებში წამყვან ფეხბურთელებს დაასვენებს.

„ევროლიგაში ახალგაზრდობას ვათამაშებ, თორემ, გულწრფელად რომ გითხრათ, ორივეგან მთავარი შემადგენლობით თამაში თვითმკვლელობა გამოვა. ყოველ კვირაში ხუთშაბათს და კვირას დამატებითი შეხვედრები? კოშმარია. ამას სერიოზულად რომ მიუდგე, პრემიერლიგაში უშანსოდ დარჩები. ამიტომაც გადავწყვიტე, ევროპის ლიგის თამაშები გამოუცდელი ბიჭებისთვის გამოცდილების შესაძენად გამოვიყენო. ამ შეჯიბრებაში შანსს მივცემ ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან, მაგალითად, ჯეკ ლაივერმორი და ენდროს თაუნსენდი.

ამ ზაფხულს ჩვენი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელების ერთი ჯგუფი სხვადასხვა გუნდში გავაქირავეთ, მაგრამ რამდენიმე დავიტოვეთ და სწორედ მათი განვითარებისთვის გამოვიყენებთ ევროლიგის შეხვედრებს“.

შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემი“ გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის „აღმოჩენა“ იყო. მან საუცხოოდ ითამაშა, სანამ მადრიდის „რეალი“ მეოთხედფინალში ორი შეხვედრის ჯამში 5:0-ს მოუგებდა. რედნაპი ამბობს, რომ ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის ლიგას შორის დიდი განსხვავებაა:

„დამატებით თამაშებს სამშაბათობითა და ოთხშაბათობით ჩემპიონთა ლიგაშიც ატარებ, მაგრამ იქ სულ სხვა განცდა გაქვს. ამ ევროლიგაში სადღაც გადაკარგულ ადგილებში გიწევს მოგზაურობა, მაგრამ რას იზამ. ჩავალთ, სადაც მოგვიხდება და შევეცდებით მაქსიმუმი გავაკეთოთ.“

პლეი ოფი ევროლიგის გუნდებისთვის ბოლო შესარჩევი ეტაპია, გამარჯვებულები ჯგუფურ ატაპზე გადიან, სადაც 12 ოთხგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება. ამ ეტაპზე გუნდები შინ და სტუმრად თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს. უეფა, რასაკვირველია, ყოველი კლუბისგან ითხოვს იმ 25 ფეხბურთელის სიას, რომლებიც შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ. განაცხადის შეტანის ვადა 9 აგვისტოა. 25-კაციან განაცხადს ითხოვს პრემიერლიგაც, მაგრამ მის შევსებამდე ჰარი რედნაპს დრო აქვს — ინგლისელებს „დედლაინი“ 2 სექტემბერს აქვთ დათქმული.

„ტოტენჰემ ჰოთსპურს“ პრემიერლიგის პირველობა 13 აგვისტოს ეწყება — „დეზები“ შინ „ევერტონს“ მასპინძლობენ. აღსანიშნავია, რომ რედნაპის გუნდს პირველ 6 შეხვედრაში ოთხი თამაში ფავორიტთან აქვს. „უაით ჰართ ლეინის“ თავკაცმა დასძინა:

„წარმოუდგენელი კალენდარი გვერგო. ექვს კვირაში უნდა მოვითავოთ შეხვედრები „მანჩესტერ იუნაიტედთან“, „მანჩესტერ სიტისთან“, „არსენალსა“ და „ლივერპულთან“. კაცმა რომ თქვას, ეს ძალიან საინტერესოც არის. სეზონის დასაწყისშივე გავიგებთ, რამდენად ძლიერები ვართ სინამდვილეში.

რაც შეეხება ფეხბურთელების ყიდვას, არ მინდა ეს საქმე გასული სეზონივით ბოლო წამამდე მივიყვანო. ხომ გახსოვთ, რაფაელ ვან დერ ვაარტი შარშან სულ ბოლო დღეს დავიმატეთ. მეორე მხრივ, ისეთი ფეხბურთელების ყიდვა, რომლებიც ჩვენს დღევანდელ მოთამაშეებს აჯობებენ, იოლი არ არის. თუ ბაზარზე ვერავინ შევარჩიეთ, ძველი ფეხბურთელებით ვიბრძოლებთ და მწამს, წარმატებასაც მივაღწევთ“.

**ილია ბაბუნაშვილი**

● ამბები

## მალბრანკი სენტ-ეტიენში

“სანდერლენდმა” 31 წლის ფრანგი ნახევარმცველი **სტიდ მარლბრანკი** “სენტ-ეტიენში” გაუშვა. “მწვანეებმა” ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურეს – ფეხბურთელთან მათ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. შეგახსენებთ, რომ “კატებმა” წელს ზეაქტიური სატრანსფერო კამპანია აწარმოეს – ერთბაშად 9 ახალი ფეხბურთელი გადაიბირეს (**სტივ ბრუსის** თქმით, ეს კიდევ ყველაფერი არ არის), რამაც ვეტერანი ფრანგი კლუბში ლამის ზედმეტ ტვირთად აქცია.

2008 წლიდან მოყოლებული კლუბის გულშემატკივრებს შორის მალბრანკი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა წლებთან ერთად სტიდმა თამაში მოუკლო და ახალგაზრდა კონკურენტების გარემოცვაში მას უთამაშებლობა ემუქრებოდა. შოტლანდიელმა დამრიგებელმა ფეხბურთელს თავად შესთავაზა ტრანსფერზე დაყენება. კონკრეტულ სატრანსფერო თანხას მხარეები არ ასახელებენ.

## ძმების საქმეები მარსელში

მარსელის “ოლიმპიკში” ძმები **ჟორდან** და **ანდრე აიუები** შარშან გამოჩნდნენ. ისინი წინა პლანზე განსაკუთრებით მაშინ წამოვიდნენ, როცა სეზონის მეორე ნახევარში **პიერ-ანდრე ჟინიაკმა** ტრავმა მიიღო. მათ უბრალოდ მეტი სათამაშო დრო მიეცათ და ლეგენდარული **აბედი პელეს** შვილებმაც გაილაღეს. ველოდრომელებმა 19 წლის ჟორდანს კონტრაქტის უფრო სარფიანი პირობებით ერთი წლით გახანგრძლივება შესთავაზეს. ის ამ წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდა. თინეიჯერ თავდამსხმელს ძველი ხელშეკრულება მომავალ წელს ეწურებოდა.

რაც შეეხება ანდრეს, მას მცირე ტრავმა აწუხებდა, რის გამოც “მანჩესტერ იუნაიტედთან” საქველმოქმედო მატჩი გამოტოვა. ის საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშებს უკვე დაუბრუნდა. ასევე ერთკვირიანი პაუზის შემდეგ შეუდგა სრულფასოვან დატვირთვებს **მატიე ვალბუენა**. ისინი შაბათს, 6 აგვისტოს, ლიგა 1-ის პირველ ტურში “ველოდრომზე” “სოშოსთან” დაპირისპირებისთვის მზად იქნებიან.

## დეკუ პენსიაზე დაფიქრდა

“ფლუმინენსეს” ნახევარმცველმა **დეკუმ** შესაძლოა უახლოეს მომავალში ფეხბურთიდან წასვლის შესახებ გააკეთოს განცხადება. ის აცხადებს, რომ ასაკის მატებასთან ერთად ტრავმები მიეძალა და ამდენი ფიზიკური ტკივილის ატანის აღარც ნერვები აქვს და აღარც ის მოტივაცია ახალისებს, რომ ყველაფრის მოთმენის შემდეგ ფეხბურთს ისევ ითამაშებს. ერთი სიტყვით, ის დაიღალა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 2010 წლის აგვისტოს შემდეგ 33 წლის ფეხბურთელმა ტრავმა უკვე მეშვიდედ მიიღო. უკანასკნელი დაზიანების წყალობით კი ის მინდორს სექტემბერზე ადრე ვერ დაბრუნდება. “დეკუ დაღონებულია, - აცხადებს “ფლუს” დამრიგებელი **აბელ ბრაგა**. – მას სურს, დაუფიქრდეს შექმნილ მდგომარეობას და ისე გადაწყვიტოს, უღირს თუ არა ფეხბურთში დარჩენა. ამისთვის კი დრო სჭირდება. კლუბი მას აძლევს ამ დროს. ჩვენ გარდა მისგან პასუხს გულშემატკივრებიც ელიან”.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტრო. შეხვედრა მოჭიდავეებთან

# მოჭიდავეებს წარმატება დაუფასდათ

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებულ ახალგაზრდა მოჭიდავეებს შეხვდა. ბუქარესტში ჩატარებული ეს შეჯიბრება ჩვენი გუნდებისთვის ფრიად წარმატებული აღმოჩნდა - ორივე ნაკრებმა ზუსტად ერთნაირი შედეგი აჩვენა, 5-5 მედალი მოიპოვა. ამათგან მაჩვენებელი ხარისხობრივადაც ერთნაირია - 2-2 ოქრო-ვერცხლი და თითო ბრინჯაო. ბერძენ-რომაელთაგან მსოფლიოს ჩემპიონები **რევაზ ნადარეიშვილი** (84) და **შოთა გოგისვანიძე** (120) გახდნენ, ვიცე-ჩემპიონები - **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და **სანდრო დიხამინჯია** (96), მესამეზე კი **ქემალ ხარაბაძე** (60) გავიდა. „თავისუფალთაგან" ოქროს მედლები გუნდის გამოკვეთილმა ლიდერებმა - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (55) და **დავით მარსაგიშვილმა** (84) მოიპოვეს, ვერცხლი - **მამუკა კორძაიამ** (96) და **თედორე ებანოიძემ** (120), **დავით გალეგაშვილი** (66) კი მესამეზე გავიდა. ამ გუნდების გამოსვლას შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ბერძენ-რომაელებმა გუნდურ ჩათვლაშიც გაიმარჯვეს, „თავისუფლები" კი მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ.



გუშინ სამინისტროში ყველა მედალოსანი შეიკრიბა ნაკრებთა მწვრთნელებთან ერთად. „ძალიან კარგი გამოსვლაა ორივე გუნდისთვის, ძალიან მაღალი შედეგებია. კმაყოფილები ვართ ყველანი და მინდა მოგილოცოთ ეს წარმატება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მწვრთნელებს და ფედერაციას, რომელთა დიდი შრომის შედეგიცაა ამდენი მედალი. ჭიდაობა სპორტის ის სახეობაა, რომელმაც წლეულს ყველაზე მეტი ფული გამოგვართვა პრემიების სახით, რასაც მივესალმებით. ვიმედოვნებ, სამომავლოდ ამ ბიჭებიდან ბევრს ვიხილავთ ოლიმპიადაზე. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და წარმატებებს გისურვებთ", - მიულოცა სპორტსმენებს ვარძელაშვილმა.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი ჩემპიონატი იყო, რადგან, როგორც წესი, აქ ეროვნული ნაკრების მომავალი წევრები გამოდიან. შედეგი მართლაც კარგია, რისთვისაც დიდი მადლობა ყველა მედალოსანს და მწვრთნელთა კორპუსს. გასახარია, რომ ასეთი შედეგით დავბრუნდით სამშობლოში. წინ მსოფლიოს პირველობაა და მჯერა, არ იზარმაცებენ, ბოლომდე დაიხარჯებიან, რათა იქაც წარმატებით გამოვიდნენ. თუ ეს შემართება შეინარჩუნეს და ასეთივე თავდადებით იმუშავეს, მსოფლიოზეც კარგად გამოვალთ", - თქვა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გეწაძემ**. მან მინისტრის ხუმრობას ხუმრობითვე უპასუხა, წინ უფროსთა მსოფლიოს პირველობა გველოდება და ფულს კიდევ უფრო მეტს გამოგართმევთო. შეხვედრის დასასრულს მედალოსნებმა ერთი სასიხარულო ამბავიც შეიტყვეს - მათი წარმატება უკვე სექტემბრიდან აისახება ხელფასებზე, რასაც სპორტსმენები გაზრდილი ნიხრით მიიღებენ. ასე იყო ევროპის ახალგაზრდული პირველობის შემდეგაც, უფრო ადრე - კონტინენტის უფროსთა ჩემპიონატის შემდეგაც, როცა ხინჩეგაშვილმა და მარსაგიშვილმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ისინი ამ ხელფასებს მომავალ წლამდე, ანალოგიური შეჯიბრებების გამართვამდე მიიღებენ, მერე კი დახარისხება ახალი შედეგების მიხედვით მოხდება. ეს ძალიან კარგი სისტემაა, როცა სპორტსმენს წარმატება მომენტალურად უფასდება და ბიუროკრატიული ბარიერების გასავლელად დროის ხარჯვა და ლოდინი არ უწევს. ამასთან, ზემოთქმული ეხება ხელფასებს, თორემ სახელმწიფო განკარგულებით გათვალისწინებულ კუთვნილ პრემიებსაც აუცილებლად მიიღებენ. ეს ყველაფერი სასიკეთოდ წაადგება მათ სოციალურ მდგომარეობას.

ამ ტურნირთან დაკავშირებით ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაც **ვლადიმერ ადეიშვილთან** ინტერვიუ „ლელომ" უკვე შემოგთავაზათ, ამიტომ გუშინ შეხვედრის დამთავრების შემდეგ მხოლოდ „თავისუფალთა" დამრიგებელ **ნუგზარ სხირელს** გავესაუბრეთ და ჩემპიონატზე გუნდის გამოსვლის შეფასება ვთხოვეთ. „გული 74 კილოგრამში ხელის მოცარვაზე მწყდება - ბექა პეტრიაშვილი ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონია და მეგონა, აქაც წარმატებით გამოვიდოდა, მაგრამ ინერტულად იჭიდავა. ვფიქრობ, ის ჯერ კიდევ არაა მზად ასეთ მაღალ დონეზე სასპარეზოდ, გამოცდილება აკლია. კარგი მოძრაობები აქვს, მაგრამ ჯერ ილეთის შეგრძნებაში მოისუსტებს - რა დროს რა უნდა გააკეთოს, რა დროს უნდა შეიკავოს თავი... მას გაისად კიდევ უწევს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოსვლა და ვიმედოვნებ, ამ დანაკლისს შეივსებს, გუნდში ლიდერად მოგვევლინება.

სასიხარულოა, რომ შეცვლებმა გაამართლა. 66 კილოგრამი დიდხანს რჩებოდა ჩვენს სუსტ წერტილად. ევროპაზე საქართველოს ჩემპიონი ტლაშაძე ვაჭიდავეთ, მსოფლიოზე - გალეგაშვილი, რომელმაც გაგვიმართლა კიდეც. ძალიან ძლიერ ბრძოლაში მოიპოვა ბრინჯაო, რითაც კმაყოფილი ვარ. მისგან დიდხანს ველოდით შედეგს, თუმცა ჰქონდა სხვადასხვა პრობლემები - ოჯახურიც, ჯანმრთელობის მხრივაც, რაც უკვე მოგვარდა და მივაღწიეთ იმას, რომ მან ირწმუნა საკუთარი შესაძლებლობები. ალბათ, სამოვალოდ კიდევ უფრო მეტს მიაღწევს. მორიგი შეცვლა 96 კილოგრამს უკავშირდება, სადაც ასევე ორი სრულფასოვანი ფალავანი გვყავდა - კორძაია და ებანოიძე. მძიმე წონაში არანაირი უფლება არ მქონდა, ჭაბუკთა ნაკრებისთვის გენო პეტრიაშვილი წამერთმია - მე იმის მომხრე ვარ, რომ სპორტსმენმა ყველა ეტაპი გაიაროს და ისე გადავიდეს გუნდიდან გუნდში. ამიტომ პეტრიაშვილისთვის არც დამიძალებია აქ ჭიდაობა და მძიმე წონაში ებანოიძის დაყენება გადავწყვიტე, რადგან იქ კორძაიასიც მეიმედებოდა. მათ საქართველოს ჩემპიონატზეც თანაბრად იჭიდავეს, თან ახლა ებანოიძეს წონაც მეტი ჰქონდა - 100 კილოგრამამდე იყო, კორძაიას კი დაკლება არ სჭირდებოდა. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ ცვლილებამ გაამართლა. მათ მაქსიმუმი გააკეთეს ვერცხლის მედლების მოპოვებით - ვერ ვიტყვი, რომ ჩემპიონობაც შეეძლოთ. იქნებ დაკმაყოფილდნენ კიდეც ფინალში გასვლით, მაგრამ ირანელები ძლიერები იყვნენ. რაც შეეხება ხინჩეგაშვილსა და მარსაგიშვილს, ისინი ლიდერები არიან არა მარტო ახალგაზრდებში, უფროსებშიც - და მათგან ველოდი ჩემპიონობას. კარგადაც იჭიდავეს", - გვითხრა სხირელმა.

**ირაკლი თავაძე**

ბატუტზე ხტომა



ლუბა გოლოვინა და თენგიზ კოშკაძე

# თითო ვერცხლი და ბრინჯაო

წლეულს ნოემბერში ინგლისური ბირმინგემი ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების 8-8 (ქალ-ვაჟთათვის) საგზური გათამაშდება. სალიცენზიო ტურნირისთვის მონდომებით ემზადებიან პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანი **ლუბა გოლოვინა** და **თენგიზ კოშკაძე**, რომლებიც კალგარიში კანადის თასის ღია გათამაშებაში მონაწილეობდნენ. მასპინძლებმა ხარჯები თავად გაიღეს - 8 ქვეყნის 18 ქალი და 24 ვაჟი ბატუტისტი მიიწვიეს სასპარეზოდ, მათ შორის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები.

ვაჟებში შესანიშნავად იასპარეზა პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა ჯეისონ ბურნეტიმ (კანადა) - 163,790 ქულით მან პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს 4,563 ქულით ჩამორჩა თბილისელი თენგიზ კოშკაძე, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა. 158,615 ქულით მესამე ადგილზე ჩარლზ თაბალტი (კანადა) გავიდა.

ქალებშიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა კანადელი ოლიმპიური თამაშების სამგზის მეორე პრიზიორი კარენ კოკბურნი, რომელმაც ორი დღის ასპარეზობის შემდეგ (კალგარიში გამარჯვებულები და პრიზიორები უწინდელი წესებით, ანუ - წინასწარი შეჯიბრებისა და ფინალის შედეგების ჯამით გამოვლინდა) 154.855 ქულას მოუყარა თავი. 148.880 ქულით მეორე იყო შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მესამედაგილოსანი როსანა მაკლემანი (კანადა). ბრინჯაოს მედალი 147.885 ქულით ლუბა გოლოვინამ დაიმსახურა.

- გოლოვინას სავალდებულო ვარჯიშის ბოლოს სიმაღლე არ ეყო და ბატუტზე დაშვებისას ხელით შეეხო მაშველ ლეიბს, რის გამოც 1,5 ქულა დაკარგა. ეს შეცდომა რომ არა, ლუბაც მეორე ადგილზე გავიდოდა, - გვითხრა საქართველოს ბატუტისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა**. - პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავა კოკბურნმა, რომელიც თითქმის ერთწლიანი უქმობის შემდეგ დაუბრუნდა დიდ სარბიელს და, შეიძლება ითქვას, უწინდელივით შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. მან ამ შეჯიბრებაში 14.6 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიში შეასრულა. გოლოვინამ - 12,9-ის სირთულისა. ცხადია, მის არსენალში უფრო რთული ვარჯიშიცაა, მაგრამ წლეულს ლუბას წელის ტკივილმა საკმაოდ შეუშალა ხელი, ამიტომ კანადაში რისკს მოვერიდეთ. პირად მწვრთნელ ვლადიმირ გოლოვინთან შეთანხმებით ვარჯიშის პირველი რთული ელემენტი - სამმაგი მალაყი 180-გრადუსიანი ბრუნით - პროგრამიდან ამოვიღეთ. ამის მიუხედავად, გოლოვინამ შესანიშნავად იასპარეზა და მედალიც მოიპოვა.

ძალიან გაგვახარა თენგიზ კოშკაძემ, რომელმაც ტოლი არ დაუდო უძლიერეს მეტოქეებს. ქართველმა სპორტსმენმა წინასწარ შეჯიბრებაში 16.0 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიში შეასრულა, ჯეისონმა - 15,8 სირთულისა. კოშკაძეს სავალდებულოში მცირე შეცდომა რომ არ დაეშვა, ასპარეზობის პირველი დღის ლიდერი გახდებოდა. ფინალში კანადელმა სირთულის კოეფიციენტი 17,8-მდე გაზარდა (საგულისხმოა, რომ ბურნეტი მსოფლიოს რეკორდსმენია), ჩვენ კი სტაბილურად გამოსვლა ვარჩიეთ და არც შევმცდარვართ. საქართველოს ნაკრების წევრებმა, რომლებიც თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის აღზრდილები არიან, კანადაში კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი კარგ ფორმაში არიან და ლონდონის ოლიმპიადის საგზურებისთვის კონკურენტებთან ტოლ-სწორად შეუძლიათ ბრძოლა.

ალსანიშნავია ისიც, რომ კალგარიში უახლეს, ფრანგული ჯიმნოვას ტიპის ბატუტებზე ვიასპარეზეთ, რომელსაც მიუჩვევლები ვართ. სპორტის სამინისტრო შეგვპირდა, რომ მსგავს ბატუტებს მსოფლიოს ჩემპიონატამდე შეგვიძენს, რაც პლანეტის უძლიერეს მხტომელებთან პაექრობისას ჩვენს შანსებს საგრძნობლად გაზრდის.

**ლუბა გოლოვინა:** კალგარიში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. თუნდაც კოკბურნისა და მაკლემანის მონაწილეობა რად ღირს. ისინი ხომ ნებისმიერ შეჯიბრებაში, მათ შორის - მსოფლიოს ჩემპიონატსა თუ ოლიმპიურ თამაშებშიც მედლების კანდიდატები არიან. წლეულს მზადებაში წელის ტკივილმა საკმაოდ შემიშალა ხელი, მაგრამ ახლა უკეთ ვგრძნობ თავს. გერმანიაში მსოფლიოს თასის ეტაპზე, რომელიც აგვისტოს მიწურულსა და სექტემბრის დასაწყისში გაიმართება, უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს. იქ იქნებიან ჩინელი ოლიმპიური ჩემპიონი ჰი ვიენა, მისი თანამემამულე შანშანი, კოკბურნი და მაკლემანი, ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ირინა კარავაევა, პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ეკატერინა ხილკო, სხვა სახელოვანი სპოტსმენებიც. ახლა ამ შეჯიბრებისთვის ვემზადები და ვეცდები იქაც წარმატებით ვიასპარეზო. იმ ტურნირში ვარჯიშების სირთულის კოეფიციენტს 14,4-მდე გავზრდით. მთავარია, ტრავმა არ გამიმიზეზდეს.

**თენგიზ კოშკაძე:** კანადის თასის ღია გათამაშება წლეულს ჩემი მეორე საერთაშორისო შეჯიბრება იყო. მსოფლიოს თასის ეტაპზე, რომელიც რუსეთში გაიმართა, მეშვიდე ადგილზე გავედი. ყველაფერს ვილონებ გერმანიასა და დანიაში (ოქტომბერი) მსოფლიოს თასის ეტაპებზეც ფინალებში მოვხვდე, ბირმინგემში კი ლუბასთან ერთად ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის ვიბრძოლებ...

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ოლიმპიადაზე ბატუტზე ხტომაში 16 გოგონა და ამდენივე ვაჟი იასპარეზებს. წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიცენზიას 8-8 ფინალისტი მიიღებს. დანარჩენი საგზურების მფლობელთა ვინაობას გაისად გაზაფხულზე შევიტყობთ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# ზოგიერთი ჯერ ამართლებს...

ინდოეთში 20 წლის მოჭადრაკე გოგონათა და ვაჟთა პირველობაზე სპეციალისტები რამდენიმე მონაწილეს ჩემპიონობის რეალურ კანდიდატად თავიდანვე მიიჩნევდნენ. ზოგიერთი ჯერჯერობით იმედებს ამართლებს. ჩვენთვის ფრიად სასიხარულოა, რომ ტურნირის რეიტინგფავორიტი **ნაზი პაიკიძე** უდანაკარგოდ მიიწევს წინ. გათამაშების ცხრილში გუშინ მან მესამე გამარჯვება ჩაიწერა - მედლების ერთ-ერთ მაძიებელს თურქ კუბრა ოზთურქს თეთრი ფიგურებით 42-ე სვლაზე სძლია. ასევე, მესამედ მიაღწიეს წარმატებას ტიტულის ამჟამინდელმა მფლობელმა დეიზი კორიმ (პერუ), ოლგა გირიამ (რუსეთი), როუთ რადმინიმ (ინდოეთი), ირინა ბულმაგამ (რუმინეთი), ნარმინ კაზიმოვამ (აზერბაიჯანი), რომლებმაც, შესაბამისად, ელენა სემიონოვა (რუსეთი), ჰულვარ ტოხირჯანოვა (უზბეკეთი), ჯელიანა საუმი ტერაო (ბრაზილია), კაროლ ფორესტი (საფრანგეთი) და ლასია (ინდოეთი) დაამარცხეს. პირველი გამარჯვება იზეიმა ქეთი წაწალაშვილმა, რომელმაც შავებით შეთი შრისტი (ინდოეთი) დაამარცხა. ზედიზედ მეორედ წააგო რუსმა დიდოსტატმა ანასტასია სავინამ. გუშინ მას კატერინა მიჩელემ (ინდოეთი) აჯობა.

სამქულიანი ლიდერები მე-4 ტურში ასე დაწყვილდნენ: რადმინი-პაიკიძე, ბულმაგა-კორი, გირია-კაზიმოვა. წაწალაშვილი ეკვადორელ ეჩევერია აბიგალ რომეროს დაუპირისპირდება.

ვაჟებში უდანაკარგოდ დიდოსტატი ივან ლოპეს სალგადო (ესპანეთი) და საერთაშორისო ოსტატები - კასპერ პიორუნი (პოლონეთი) და ალექს რომბალდონი (იტალი) მეწინავეობენ. 18 მოჭადრაკეს 2,5-2,5 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**



ნაზი პაიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალხტომა

# უნივერსიადის ჯერიც დადგა

**დღეს სპორტის სამინისტროში ქართველ სპორტსმენთა მსოფლიოს უნივერსიადაზე საზეიმო გაცილების ცერემონიალი გაიმართება.**

ჩინურ შენჟენში სხვებთან ერთად ჩვენი წყალმხტომელები - **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილიც** იასპარეზებენ. ალბათ გახსოვთ, რომ ამას წინათ ჭოლამ და შოთამ შანხაიში (ჩინეთი) საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატში მოსინჯეს ძალები. მაშინ ქართველთა დუეტმა სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში ფინალში გააღწია და მე-12 ადგილი დაიკავა.

- წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მე-8 ადგილი გვერგო, ჩინეთშიც ბებერი კონტინენტის წარმომადგენლებს შორის მერვენი ვიყავით, - გვითხრა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, წყალმხტომელთა მწვრთნელმა **ირაკლი ბართაიამ**. - ბოლო ხტომის წინ მხოლოდ მე-15 საფეხური გვეკავა. სწორედ ის გადამწყვეტი ცდა აღმოჩნდა ჩვენთვის იღბლიანი - სამ ქვეყანას გავუსწარით, მათ შორის საბერძნეთს 40 ქულით, რომელმაც იტალიის გრანპრიზე გვაჯობა.

შანხაიში სინქრონულ ხტომებში ჩინელებმა, რუსებმა და მექსიკელებმა 2012 წლის ოლიმპიადის საგზურები მოიპოვეს. დარჩენილი 4 ლიცენზია გაისად ბრიტანეთის დედაქალაქში მსოფლიოს თასზე გათამაშდება. იქ ჩვენთან ერთად წინა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორეადგილოსნები - ამერიკელები, სამგზის ევროპის ჩემპიონები და პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი უკრაინელები, ასევე, ფრანგები, კანადელები, ავსტრალიელები, იტალიელები, ნორვეგიელები, იაპონელები და ჰოლანდიელები იბრძოლებენ. თითქმის შეუძლებელია საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა. სამაგიეროდ, უკეთესი შანსი გვაქვს ინდივიდუალურ ხტომებში, სადაც 30 საგზური თამაშდება. 12 ლიცენზია ჩინეთში გაიცა, 18 გაისად ლონდონში გათამაშდება. ჭოლა ჭანტურიამ წლეულს ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატზე 381 ქულა მოაგროვა. მსოფლიოს თასზე ასეთი შედეგით ოლიმპიადის საგზურის მოპოვება შეუძლია. ყველაფერს უფრო კონკრეტულად მსოფლიოს უნივერსიადის შემდეგ დავგეგმავთ. ახლა კი მთავარია, შენჟენში წარმატებით ვიასპარეზოთ.

**- თქვენი შეჯიბრება როდისაა დაგეგმილი?**

- უნივერსიადაზე როგორც სინქრონულ, ისე ინდივიდუალურ დისციპლინებში ვიასპარეზებთ. 16 აგვისტოს სინქრონულში გამოვალთ სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში, ხოლო 17-ში პირადი პირველობის დიდი მარათონი დაიწყება: დილით შესარჩევი შეჯიბრებაა, რომელშიც, სავარაუდოდ, 40-მდე მონაწილე იქნება, შუადღისას 18 საუკეთესო ნახევარფინალში განაგრძობს პაექრობას და იქ შეირჩევა ის 12 ფინალისტი, რომლებიც საღამოს მედლებისთვის იბრძოლებენ. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვაკის საცურაო აუზში ვვარჯიშობთ. ვცდილობთ, ის ხარვეზები აღმოვფხვრათ, რაც შანხაიში გვქონდა, განსაკუთრებით ინდივიდუალურ ხტომებში. აი, სინქრონულში კი წლის საუკეთესო შედეგისთვის ძალ-ღონეს არ დავზოგავთ - ვეცდებით, 380 ქულას გადავაჭარბოთ. ევროპის ჩემპიონატზე 376 ქულა მოვაგროვეთ, რაც ჩვენთვის ზღვარი არ არის. სინქრონულში უძლიერესი შემადგენლობა ეყოლებათ ჩინელებს, რომლებიც მხოლოდ ოქროსთვის იბრძოლებენ. უკრაინელები, კერძოდ, ევროპის სამგზის ჩემპიონები - ილია კვაშა და ალექსეი პრიგოროვი მედლების კანდიდატები არიან. მით უმეტეს, რომ მათ ჩინეთი კარგად აქვთ დაცდილი - სამი წლის წინათ პეკინის ოლიმპიადაზე მესამე ადგილი დაიკავეს. ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენთვის პირველ ექვსეულში მოხვედრა სრულიად რეალურია, თუმცაღა ეს როდი ნიშნავს, რომ უფრო მაღალი ადგილებისთვის არ ვიბრძოლებთ. ჩვენი ბიჭების დღევანდელი მომზადების დონე ამის საფუძველს გვაძლევს. რაც შეეხება ინდივიდუალურ დისციპლინას, იქ ჭანტურიას ფინალი და კორახაშვილის ნახევარფინალი გამორიცხული არ არის.

**ვაჟა დანელია**



**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 3. სველეთი; 6. საპონი; 8. ნესტორი; 9. ზაზა; 10. ფლაგი; 11. ნონი; 14. "თარბია"; 15. კოსი; 17. ბაგაბო; 18. საკინა; 19. რომა; 20. ანდორა; 25. ლელი; 26. "დრომობა"; 28. კანა; 31. პანკისტონი; 32. ტანი.

**შვეულად:** 1. ცერცვი; 2. კობი; 3. "სოკოლი"; 4. "ანტერი"; 5. ოსტი; 6. საბანა; 8. რაინდი; 12. "მილანი"; 13. ტრიკოტი; 14. თუმური; 16. კოკა; 21. "რიმონი"; 22. "ეჩბე"; 23. დრაფტი; 24. "აბული"; 27. მამონი; 29. ვირა; 30. შილი.

თავგადასავლები

## საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ფეხბურთში, მევლუდ მიმინოშვილი

**„ლელოს"სტაჟიანი აქტიური მკითხველი ვარ, დამერწმუნეთ, რომ რუბრიკა „თავგადასავლებს" გაფაციცებით ვეძებ ხოლმე და სიამოვნებით ვკითხულობ" - მითხრა ბატონმა მევლუდმა. ახლა კი თავად მას მოვუსმინოთ.**

### სვიდანია - 1:1

1976 წელია. მსაჯების შეკრებაზე გახლდით სოჭში. ერთი დღეა და რეკავს ტელეფონი.

- მევლუდ ვი, და? - მესმის უნაზესი ხმა - მიმინოშვილი... მოკლედ, ქალი მირეკავს, შორიდან გიცნობ, ძალიან მომწონხარ და 3 საათზე ცირკთან გელოდები. სხვაში რომ არ აგერიო - წითელი კაბა მაცვიაო.

დაუჯერებელი რა და რატომ უნდა ყოფილიყო? დათქმულ დროს ცირკთან ვიდექი (თურმე „ცირკი" წინ მელის). სოჭში წითელკაბიან ქალებს ვინ გამოლევს! მაგრამ არც ერთი ახლოს არ მოდის. გადის 10-15-20 წუთი... არა და არა, არც ერთი წითელკაბოსანი ჩემკენ არ იხედება. მოვბრუნდი გულდაწყვეტილი სასტუმროში და ჩვენი ბიჭების ფხუკუნზე მივხვდი, რაც „ჩამიტარეს". ისიც ამოვიცანი, ვინ იკისრა ეს, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე. სამაგიეროს გადახდა - ეჭვი რომ არ აელო, სამომავლოდ გადავდე. 10 დღის შემდეგ ჩემს ნაცნობ ოფიციანტ ქალს დავარეკინე იმ ტიპთან ანალოგიურ ამბავში... „წამოეგო", სულ არ ახსოვდა ჩემი ინციდენტი. „დაიტანჯე ისე, როგორც მე იმ დღეს", - იყო ჩემი ჩანაფიქრის დევიზი.

გავიდა „სვიდანიაზე" ეს ჩემი კოლეგა და დგას... (ჩემსავით), რა თქმა უნდა, არავინ მიდის... დაელალა ტრიალით თავი და კისერი. მე შორიდან ვუთვალთვალებ და ჰა, იმედგაცრუებული, წასვლას რომ აპირებს, ამოქმედდა ჩემი გეგმის მეორე პუნქტი... მიუახლოვდა „ნაცნობობით დაქირავებული", საკმაოდ მთვრალი, ლოყაღაჟღაჟა აჯაჯულ-დაჯაჯული რუსი ქალი:

- ვი, პარენ, მენია ჟდიოწე და? - მიადგა „პრიმას" ქაჩვით.

კაცმა ერთი კი ახედ-დახედა ამ ბომჟ ქალს, ფუუ!-ო - და მოუსვა დიდი სიჩქარით.

გგონიათ ვერ მიხვდა, ვინც „გაუჩალიჩა"? მაგრამ სიტყვა არ დასცდენია...

### ზოოლოგიური რეისი

ავჭალაში კერძო სახლში ვცხოვრობ. ძალიან მიყვარს ფლორა-ფაუნა. ზოგის ჰობი თუ თეფშების და საათების შეძენა-შეგროვებაა, ჩემი - ფრინველები და ცხოველებია. ვორონეჟში ვმსაჯობდი. თბილისში გამომგზავრებამდე ჩვეულებისამებრ საკოლმეურნეო ბაზარში შევიარე. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დახლზე წამოსკუპებულმა უზარმაზარმა ფრინველმა, იმდენად ულამაზესმა, რომ თავიდან ფარშევანგი მეგონა, მაგრამ ჩვეულებრივი ქათამი აღმოჩნდა... მამალი ქათამი - საუცხოო ჯიშის.

„ახლა ეს რომ ჩემს ეზოში და... საერთოდ, საქართველოში გავამრავლო" - წავედი ფიქრებში, მაგრამ საუბედუროდ, მამალიღა დარჩენოდა პატრონს გასაყიდი. სახლში წავყევი და შევიძინე ორი ჯიშიანი დედალიც. ახალი პრობლემა თვითმფრინავით გადაყვანაა. პატრონმა ფანერის ყუთები მომცა, თან დამარიგა: ქათმებს ცოტ-ცოტა არაყი გადააყლაპე, მიიძინებენ და აღარ იფორიაქებენო. ხარჯი ხარჯია-მეთქი, იმავე ბაზარში შევიძინე დედალ-მამალი (ისინიც გამრავლების განზრახვით) კავკასიური ნაგაზი. იღბლად, ჩვენი რეისი იყო და ნაცნობმა - ფრენის ბრიგადირმა ვ. კუციამ „თვალები დახუჭა" (მოვთავსდით).

ერთი ყუთი ჩემს თანაშემწესთან დევს გადამთვრალი მამლით. მთვრალდედლებიანი მეორე ყუთი - ჩემს მეორე დამხმარე მსაჯთანაა. მამალი ძაღლი (საჯიშე) მე მიჭირავს ჯაჭვით. ამ ძაღლის მომავალი ცოლი (ჯერ საცოლეა) იქვე წევს ენაგადმოგდებული და მორცხვად ნაბავს თვალებს (ძალიან კარგად იცის, თბილისში თხოვდება და „ელიტარულად" იპრანჭება").



**მევლუდ მიმინოშვილი** დაიბადა 13.02.1942, სუჯუნა, აბაშა. **ფეხბურთი, მსაჯი.** საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. იმსაჯა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში, ევროთასების მრავალ შეხვედრაში. სულ სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იმსაჯა 99 მატჩი (1979-88), საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში - 9 (1990). სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის (1983) ფინალური მატჩის მსაჯი. ექვსჯერ დაასახელეს სსრკ-ს ათ საუკეთესო მსაჯს შორის (1980, 81, 83, 85-87).

აფრენიდან ნახევარ საათში მამლიანი ყუთი საეჭვოდ ამოძრავდა. ჯერ ყურადღება არ მიგვიქცევია, მაგრამ 5 წუთში მაგრად გააქტიურდა. კიდევ 5 წუთი და გულისგამგმირავი - ყიყლიიიყოო! - ამოვარდა ყუთიდან. ახალჩაძინებული მგზავრები ერთმანეთის მიყოლებით წამოცვივდნენ ფეხზე, მაგრამ რომ ვერაფერს ხედავენ?! „სიზმარი იყო ალბათო" ... და ცოტა ხანში - „ყიიიიყლიყოოო!" - სულ გადაირია მთვრალი მამალი. ისევ წამოცვივდნენ მგზავრები, მაგრამ რა... ფაქტი არაა. ძაღლი მაინც ძაღლია და ავად დაატრიალა თვალები. ვეფერები, ვამშვიდებ, მეორე ხელით ნელა, მონოტონურად ვაკაკუნებ მამლიან ყუთზე - იქნებ მამალს ჩაეძინოს. „ყიიყლიყოოო!" ... ისევ...

მთვრალ კაცს რა მოეკითხება და არყით გახეთქილ მამალს შენ გააჩერებ? მოხდა სასწაული და მამალს ხმა აღარ ამოუღია. ეტყობა გვერდი ინაცვლა და „მეორე ძილს" მინებდა.

როგორც იქნა მეც დავმშვიდდი, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ? - ახლა ეს ჩემი (ჯაჭვით რომ მიჭირავს) ძაღლი ახვანცალდა და აწრიალდა ნერვიულად. წინა თათებით იატაკის კაწვრა დაიწყო. მივხვდი, რაც უნდოდა. ნელა, ფერებფერებით წამოვაყენე თვითმფრინავის ტუალეტისკენ. ჭკვიანად მომყვება, მაგრამ შტერ, უბედურ და უზრდელ ხალხს რა გამოლევს მიწაზე თუ ჰაერში! ვილაც ბავშვმა კუდზე წაავლო ხელი და მოქაჩა, ძაღლმაც „ბეეჰ!"-ო და კინაღამ ხელი მოაჭამა - დროზე გამოვქაჩე... ისევ წამოცვივდნენ საწყალი მგზავრები... ხან მამალივით ყივილი, ხან ძაღლივით ყეფა... ისევ კოშმარულ სიზმარს დააბრალეს ინდივიდუალურად.

მოკლედ, დაფრინდა თვითმფრინავი. დამხვდურები... თაიგულები... ოვაციები... ყველას ვიღაცა ელოდება, არის ერთი ამბავი.

ერთი დამხვდური ტრადიციულ კითხვას აძლევს ჩამოსულს:

- როგორ... როგორ იმგზავრე საყვარელო?

- როგორ ვიმგზავრებდი - ბუზღუნებს „პონჩიკა" ქალი - ძლივს გადავრჩით, მადლობა ღმერთს, თვითმფრინავი მგონი ტერორისტებით იყო სავსე!!!

დღეს ეს ტერორისტები ჩემს ეზოგარემოს ამშვენებენ, ალამაზებენ და ვტკბები მათი მონაგარის ცქერით. არ გჯერათ? სიამოვნებით გეპატიჟებით და თვითონ ნახეთ... მისამართი ასეთია ავჭალა... თუმცა თქვენ ავჭალამდე მობრძანდით და ჩემი მამლის ყივილზე გზა არ აგებნევათ, ადვილად მომაგნებთ.

### ჟოლობი ექვის კონკურენტია

კიევში ვართ. ერთ ფრიად უმნიშვნელოვანეს მატჩს ვმსაჯობ. საერთოდ, სპორტსმენებს და მით უმეტეს მსაჯთა ბრიგადას, უფლება არ გვქონდა „პაეზდკაში" ოჯახის წევრები წაგვეყვანა. მაგრამ ყოველთვის ისე არ ხდება, შენ რომ გინდა. ჩემს ერთ დამხმარე (გვერდით) მსაჯს ძალიან ეჭვიანი ცოლი ჰყოლია - რუსი - გალია. ამასაც მოუხერხებია და წამოუყვანია კიევში (ოღონდ შენი ხმა არ გავიგო, ქალოო!) და დაუბინავებია მეზობელ სასტუმროში.

წესად... ტრადიციად გვქონდა, რომ თამაშის შემდეგ ერთ-ერთის ნომერში (მსაჯები) შევიკრიბებოდით და თითო ჭიქით... ნუ... მიხვდებით... იმ შემთხვევაშიც ასე მოხდა. პირველი ჭიქა ავწიეთ და აბრახუნდა კარი...

- კტო ტამ? - ვიკითხე („სამ გოჭშია ასე"). კიდევ კარგი, სახელი თქვა.

- ია, გალია! - ატკროინე ნემედლენნა!

- მიშველე მევლუდ! - დაეკარგა ფერი კაცს. „რაღა ვქნა ახლა? „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა - მსაჯი დასაკარგავი!" - ვფიქრობ ელდანაკრავი.

- ჟოლობი! მეტი ვერაფერი მოვიფიქრე - ჟოლობი, ჩქარა!

- რა ჟოლობი - გადამერია თანაშემწე - სად შემიძლია, კაცოოო...

- ბიჭო, შენ რომელი გირჩევნია, ქალის ხელით სიკვდილი თუ ჟოლობიდან ჩავარდნა და „ალპინისტური," ვაჟკაცური?

- კი ეგ ჯობია, - ეცა ფანჯარას (მეორე სართული იყო, კიდევ კარგი). - ატკროიიიინეეე! - სულ გაანჩხლდა ქალი.

სპორტული ჩანთა... ამის სპორტული ჩანთა გაგვყიდის! - იმარჯვა ვიღაცამ.

ჩანთას ინსტინქტურად გადავუძახე იმავე ფანჯრიდან. გავაღე კარი. გაანჩხლებული ქალი შემოვარდა თვალების ბრიალით და.... არაა მისი ქმარი.

- ადინ, დვა, ტრი... ჩამოგვთვალა... გდე მოი მუჟ-?!

- ზდეს ნეტუ, ზდეს ნეტუ... ვეფარებით ერთმანეთს სიკო-საქოსავით.

- ა, გდე? - ია ზნაიუ, ჩტო ონ ზდეს!

- ნეტუუუ... ნეტუ... ვოტ... ნეტუ! - ვამშვიდებთ.

- „სწერვი, - მიმართა გოგოებს. - გდე მოი მუჟ?! („სტერვები" გაყუჩდნენ. ამ დროს იღება კარი და შემოდის მხარზე ჩანთა (მე რომ ვესროლე) გადაკიდებული ჩემი თანაშემწე - გალიას ქმარი (ვითომ აქაც არაფერი) ხელები გადატყაული აქვს და ცხვირი აქერცლილი („ოხ, ჟოლობო, ჟოლობო-").

კმაყოფილი ცოლი ჩაეხვიაააა! - კინაღამ კოცნით დაალრჩო.

- ცხვირზე და ხელზე რა მოგივიდა? - იკითხა დაწყნარებულმა.

- მატჩის დროს წავიქეცი და... „შეაცოდა თავი.

ქალი მაინც ქალია და ბედნიერებისგან გალაღებულს სულ გამორჩა, რა ჯანდაბა წააქცევდა გვერდით მსაჯს ისე მწარედ, რომ ცხვირ-პირი ცირკის კლოუნივით აწითლებოდა?!

**მურმან მერკვილიშვილი**

## ქართული სპორტი

### საქართველოს ნაკრები

# ესტონეთთან მეორედ




წლეულს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ესტონეთს ორჯერ მოუგო. ერთი გუნდიდან **ვეიდემანი** გამოირჩეოდა, მეორიდან - **შენგელია**. ეს კალათბურთელები ერთმანეთის წინააღმდეგ დღესაც წარდგებიან, ოღონდ ეროვნული ნაკრებების დონეზე - ესტონეთის დედაქალაქ ტალინში საქართველო მასპინძლებს ამხანაგურად დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 21 საათზე გაიმართება.

ესტონეთის ნაკრების წინააღმდეგ ერთადერთხელ, 2006 წელს, უნგრეთში გვაქვს ნათამაშები. ის შეხვედრა ბალტიისპირელთა გამარჯვებით დასრულდა. ქართველთა ბომბარდირი **ზაზა ფაჩულია** გახდა - 24 ქულა ჩააგდო.

2001 წელს ესტონელებმა ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს, თუმცა მას მერე მსგავსი წარმატებისთვის აღარ მიუღწევიათ. მეტსაც გეტყვით: 2009 წელს B დივიზიონში ამოყვეს თავი. ისინი ჯგუფში ავსტრიას, ჰოლანდიას და ლუქსემბურგს ეთამაშებიან. პირველი წრის შემდეგ ბალტიისპირელებს 1 მოგება და 2 წაგება აქვთ. ესტონეთის ნაკრების წევრთა უმეტესობას „ტარტუ როკში“ **გიორგი ცინცაძის** გვერდით აქვს ნათამაშები: **ლეპიკს, ტალტსს, ვეიდემანს, სოკის...**

იმასაც შეგახსენებთ, რომ, მასპინძლებისა და ქართველების გარდა, ესტონეთის საერთაშორისო ტურნირზე შვედეთის ნაკრები და ამერიკის კოლეჯების კლუბი „კანზასი“ ითამაშებს.

| 18 აგვისტო, 2006 წელი | |
|---|---|
| უნგრეთი, სომბათჰეი | |
| საქართველო-ესტონეთი | 74:78 |

**17:19, 18:25, 16:20, 16:21**

**საქართველო:** ელისი (7ქ), ა. ბოისა (2ქ), ცინცაძე (8ქ), სანიკიძე (11ქ), ფაჩულია (24ქ), ვ. ბოისა (9ქ), გამყრელიძე, მ. მარკოიშვილი (11ქ), ნაცვლიშვილი (2ქ), უგრეხელიძე.

| ესტონეთი | |
|---|---|
| ოთხი ერის თასი | |
| 5 აგვისტო | |
| 17:45 | შვედეთი-კანზასი (NCAA) |
| 21:00 | ესტონეთი-საქართველო |
| 6 აგვისტო | |
| 18:45 | კანზასი (NCAA)-საქართველო |
| 21:00 | ესტონეთი-შვედეთი |
| 7 აგვისტო | |
| 18:45 | საქართველო-შვედეთი |
| 21:00 | ესტონეთი-კანზასი (NCAA) |

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ჭადრაკი

# კავალას კვარტეტი

ქართველმა მოჭადრაკეებმა - **დავით ზარქუამ, გიორგი მარგველაშვილმა** და **ინგა ჭარხალაშვილმა** კავალას (საბერძნეთი) საჭადრაკო ფესტივალის მე-7 ტურშიც მეტოქეებთან დაზავება არჩიეს. ზარქუა მომჩილ ნიკოლოვს (ბულგარეთი) შეუთანხმდა ყაიმზე, მარგველაშვილი-საშა კაპლანს (ისრაელი), ჭარხალაშვილი კი - გეორგიოს ნიკოლაუს (საბერძნეთი).

ფესტივალის მთავარ ტურნირს 5,5-5,5 ქულით ოთხი მოჭადრაკე (პოლონელი მათეუშ ბარტელი, სერბი დრაგან შოლაკი, ბერძენი დიმიტრიოს მასტროვასილისი და ბულგარელი ათანას კოლევი) ჩაუდგა სათავეში. 12 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს. ზარქუა და მარგველაშვილი თითო ქულით ჩამორჩებიან ლიდერებს, ჭარხალაშვილმა 4 ქულას მოუყარა თავი. ქალებში იგი ჯერჯერობით მესამე ადგილზეა ევროპის ექსჩემპიონ ეკატერინა ატალიკისა (თურქეთი, 5 ქულა) და მონიკა სოჩკოს (პოლონეთი, 4,5) შემდეგ. მე-8 ტურში ზარქუა სოჩკოს დაუპირისპირდება, მარგველაშვილი იოანის სტატოპულოს (საბერძნეთი) შეხვდება, ჭარხალაშვილი კი ბერძენ ვაფიადის გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**


ინგა ჭარხალაშვილი

# ქართული დესანტი ბაქოში

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 20 წლისთავს ეძღვნება დიდი საჭადრაკო . ფესტივალი, რომელსაც ბაქო უმასპინძლებს. შეჯიბრების საპრიზო ფონდია 50 000 ევრო. მთავარ ტურნირში, რომელიც ხვალ აიღებს სტარტს, 13 ქვეყნის 76 წარმომადგენელი იასპარეზებს. ჯილდოებისთვის იბრძოლებენ ისეთი სახელოვანი დიდოსტატები, როგორებიც არიან შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2765), ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი, 2724), პერეს დომინგეში (კუბა, 2719), ალექსეი დრეევი (რუსეთი, 2711), ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 2700), დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი, 2696), ილია სმირინი (ისრაელი, 2676)... მათ წინააღმდეგობას გაუწევენ ქართველი მოჭადრაკეები - **მიხეილ მჭედლიშვილი** (2618), **მერაბ გაგუნაშვილი** (2588), **თორნიკე სანიკიძე** (2525), **მალხაზ სულაშვილი** (2476), **გიგა ყუფარაძე** (2467), **დავით მარგველაშვილი** (2463), **გაიოზ ნიგალიძე** (2448), **სალომე მელია** (2437), **ივერი ჭილაძე** (2401), **ბაჩანა მორჩიაშვლილი** (2376) და **ზურაბ ჯავახაძე** (2363).

**ვაჟა დანელია**

### საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები. B დივიზიონი

# ისევ ფინეთი...



| 4 აგვისტო | |
|---|---|
| საქართველო-ფინეთი | 69:85 |

**9:24, 21:16, 12:23, 27:22**

**საქართველო:** ბოლქვაძე (24 წთ, 14ქ, 5მ), ქიტოშვილი (9 წთ, 2ჩ), ამირხანაშვილი (10 წთ), ლილუაშვილი (27 წთ, 10ქ, 2პ), ტომარაძე (19 წთ, 1ქ, 5მ, 4პ, 3ჩ), აბულაძე (27 წთ, 15ქ, 5პ, 3მ), ცქიტიშვილი (9 წთ, 2ქ), გამრეკლიძე (25 წთ, 12ქ, 10მ), დარახველიძე (32 წთ, 13ქ, 7მ, 2პ, 4ჩ), პულუზაშვილი (18 წთ, 2ქ, 2დ, 3მ).

**ფინეთი:** ჯუსისტო (11ქ), ჰოპკინსი (10ქ), ოდაბასი (28ქ, 8მ)...

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 194/155 | 6 |
| 2. ფინეთი | 3 | 2 | 1 | 214/196 | 5 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 2 | 191/219 | 4 |
| 4. ლუქსემბურგი | 3 | 0 | 3 | 171/200 | 3 |

ივლისში საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ორი საკონტროლო მატჩი ფინეთში ჩაატარა. ორივე შეხვედრაში დამარცხდა. სწორედ მაშინ გამოჩნდა, რომ ფინელებს ქართველებზე ძლიერი 16-წლამდელთა ნაკრები ჰყავთ. შესაბამისად, გასაკვირი არც მათთან ოფიციალურ მატჩში დამარცხებაა გასაკვირი.

ჩრდილოელებმა პირველივე მეოთხედში მოახერხეს სოლიდური ფორის მოპოვება - 24:9. საინტერესოა, რომ საწყისი 4 წუთი ქართველებმა 7:1 მოიგეს. მომდევნო 6 წუთში კი 2:23 დათმეს. ამის შემდეგ ფინეთის ნაკრებმა ჩვენს კადეტებს ანგარიშში 10-ზე ნაკლები სხვაობით შემცირების უფლება აღარ მისცა.

მატჩში ერთადერთი ორმაგი დუბლი **უჩა გამრეკლიძემ** შეასრულა - 12 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. სნაიპერობა კი არავის დაუთმო ფინელმა **ოზან ოდაბასიმ**, რომელიც საქართველოს ნაკრებთან საკონტროლო შეხვედრებისასაც გამორჩეული იყო.

ფინეთთან მარცხის შედეგად ჩვენმა კადეტებმა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს და მეცამეტე-მეთექვსმეტე ადგილების განაწილებისთვის მოუწევთ ბრძოლა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ჩოგბურთი

# პირველ წრეს ვერ გასცდა

**ეკატერინე გორგოძემ** გერმანიის ქალაქ ჰეჩინგენის 25-ათასიან საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობა დაასრულა. როგორც გაუწყეთ, ქართველმა ჩოგბურთელმა საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი შეხვედრა მოიგო, მაგრამ ძირითადი ბადის პირველი ბარიერი მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. მართალია, ჩვენებურმა მე-6 ნომრად განთესილ ფრანგს - ოდრი ბერგოტს პირველი სეტი იოლად მოუგო - 6:2, თუმცა მეორე ორი ხელი თავადაც თითქმის უბრძოლველად დათმო - 1:6, 2:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა. გორგოძემ პირველივე რაუნდში დაამთავრა ასპარეზობა წყვილთა თანრიგშიც - ჰოლანდიელ ვან დერ მიიტთან ერთად ელიზ თამელა (ჰოლანდია) და სკარლეტ ვერნერის (გერმანია) დუეტთან 4:6, 3:6 წააგო.

**ვაჟა დანელია**

### ზარი იუბილართან

# 80 წლის გადასახედიდან

არქივში ძველი „დინამოს“ შესახებ ინფორმაციებს ვეძებდი. სხვადასხვა თარილებით გაჯერებული დავთრის გადაფურცლისას აღმოვაჩინე, რომ 5 აგვისტოს ვეტერან კალათბურთელ **თენგიზ მეძმარიაშვილს** 80 წელი უსრულდება.

გადავწყვიტე მასთან დამერეკა და იუბილე მიმელოცა. ბატონმა თენგიზმა მოკლედ გაიხსენა კარიერის მნიშვნელოვანი მომენტები:

- თავდაპირველად კრივით ვიყავი გატაცებული. წარმატებებიც მქონდა - 1946 წელს იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატი მოვიგე. კრივის ცნობილ სპეციალისტ გოლდშტეინთან არაერთი გამოჩენილი სპორტსმენის გვერდით ვვარჯიშობდი. თუმცა ლევან ინწკირველისა და კოტიკო პაიჭაძის რჩევით კალათბურთში გადავედი. მითხრეს - გუნდში მეხუთე კაცი გვაკლიაო და მეც სიამოვნებით ვითამაშე. საწყის ორ მატჩში ქულა ვერ ჩავაგდე, მესამეში მეტოქის კალათში ბურთი რომ მოვათავსე, მეცხრე ცას ვეწიე. მას მერე სპორტის ამ სახეობას სერიოზული დრო დავუთმე და ბევრსაც მივაღწიე.

ჯერ „ტოდოში“ ამიყვანეს და კარგად მახსოვს, გუნდთან ერთად პირველივე შეკრება ვილნიუსში გავიარე. შემდეგ თბილისის „დინამოში“ გადავედი. საინტერესო იყო მატჩი სსრ კავშირის ნაკრების წინააღმდეგ, რომელშიც გუნდის ლიდერის ალექსეევის წინააღმდეგ მომიწია თამაშმა. ეს რთული მისია იყო, მაგრამ ურიგოდ არ გამოვსულვარ. სხვათა შორის, საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ 32 გრადუსამდე გამთბარ დარბაზში გვათამაშეს, რადგან სსრკ-ს მთავარი გუნდი ეგვიპტეში გასამგზავრებლად ემზადებოდა. იქ კი, მოგეხსენებათ



ძალიან ცხელა და ნაკრებს აკლიმატიზაციის გავლა თბილისში სურდა.

თენგიზ მეძმარიაშვილმა თბილისის „დინამოსთან“ ერთად სსრკ-ს თასი 1949 და 1950 წლებში მოიგო. 1950 წელს საბჭოეთის ჩემპიონი გახდა, თუმცა მატჩების არასრული რაოდენობა ჰქონდა ჩატარებული და ზოგ წყაროში გამარჯვებულთა გუნდში არ წერია. იგი სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო წარმატებულად სამედიცინო სფეროში მოღვაწეობდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი

# ბორჯღალოსნები მზადების მეორე ეტაპს იწყებენ

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასისთვის მზადებას განაგრძობს. საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანთან ახლოს მდებარე სარაგბო ბაზაზე, დღეს ჩვენი გუნდი მზადების პირველ ეტაპს დაამთავრებს, რომელშიც „ბორჯღალოსნები" ძირითადად ფიზიკური კონდიციების დახვეწაზე ზრუნავდნენ.

ხვალიდან საქართველოს ნაკრები კლერმონთან ახლოს ქალაქ ისუარში გადაბარგდება, სადაც მზადების მეორე ეტაპი დაიწყება. აქვე „ბორჯღალოსნები" ორ საწვრთნელ შეხვედრას გამართავენ, 13 აგვისტოს საფრანგეთის ელიტური, მეორე დივიზიონის „ორიაკ" ეთამაშებიან, 19 აგვისტოს კი ამავე დივიზიონის „ბურგუენს".

როგორც უკვე ცნობილია, ჩვენი გუნდი ახალ ზელანდიაში 5 სექტემბერს საღამოს ჩავა. პირველი პუნქტი, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები გაჩერდება, ამ ქვეყნის სამხრეთში მდებარე ქალაქი ქვინზთაუნია. საინტერესოა, რომ აქაური რაგბის ქომაგები აპირებენ ჩვენს გუნდს აეროპორტში საზეიმო დახვედრა მოუწყონ. მეორე დღეს კი ქვინზთაუნის სკაილაინზე „ველქამ ფართი" გაიმართება.

წვრთნისა და დასვენებისთვის ყველა პირობა შეიქმნება ახალი ზელანდიის „პატარა საქართველოში", მასტერტონში, აქაურები დიდი ხანია, გულმოდგინედ ემზადებიან ქართველების დასახვედრად.

საქართველოს ნაკრები მასტერტონში „მემორიალ პარკის" სტადიონზე ივარჯიშებს. 23 და 24 სექტემბერს ჩვენი გუნდი ღია ვარჯიშებს გამართავს, რომელზეც დასწრების უფლება ყველა მსურველს ექნება.


მემორიალ პარკი

| მსოფლიოს თასი |
|---|
| 14 სექტემბერი |
| საქართველო-შოტლანდია |
| 18 სექტემბერი |
| საქართველო-ინგლისი |
| 28 სექტემბერი |
| საქართველო-რუმინეთი |
| 2 ოქტომბერი |
| საქართველო-არგენტინა |

სამი ერი



# რობი დინსი გამარჯვებულებს არ ცვლის

სამი ერის წლევანდელი გათამაშების მესამე ტურში ავსტრალიის ნაკრები სტუმრად, ოქლენდში, „ედენ პარკზე" ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდმა აქამდე თითო შეხვედრა გამართა და ორივემ მოიგო.

ამდენად, ოქლენდში საკმაოდ სერიოზული, პრინციპული ბრძოლაა მოსალოდნელი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ოლ ბლექსს" ამ სტადიონზე 17 წელიწადია, არ წაუგია.

*„ეს არაფერს ნიშნავს, ლაპარაკი ისტორიაზე კი არა, დღევანდელ დღეზეა. მართალია, საკუთარ მოედანზე ახალი ზელანდიის ნაკრების დამარცხება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ წარმატების მისაღწევად.*

*საინტერესოა, რომ „ედენ პარკზე" მსოფლიოს თასის ფინალი უნდა გაიმართოს და ეს მატჩი შესაძლოა, ერთგვარი რეპეტიციაც იყოს."* - თქვა რობი დინსმა.

აღსანიშნავია, რომ დინსმა „ვოლაბების" ძირითადი შემადგენლობა უცვლელი დატოვა. სათადარიგოთა შორის კი ტრავმამოშუშებული **დენ ვიკერმანი** და **ლუკ ბარჯესი** დასვა. ეს გადაწყვეტილება დინსმა ასე ახსნა:

*„ახალი ზელანდიის ნაკრები სწრაფ, გაშლილ რაგბის თამაშობს. მორაგბეები დიდი გამძლეობითაც გამოირჩევიან, ამიტომ სათადარიგოთა შორის რაც შეიძლება მეტი ასეთივე სტილის მოთამაშე უნდა გვყავდეს, რათა დროულად შევძლოთ სრულფასოვანი შეცვლების გაკეთება".*

ავსტრალია: **15. ქართლი ბეილი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. პატ მაკკები, 11. დიგბი იოანი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. სეკოპე კეპუ, 2. სტივენ მური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. რობ საიმონსი, 5. ჯეიმზ ჰორვილი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოქი, 8. ბენ მაკკალმენი.**

**16. საია ფაინგაა, 17. პეკ ქოუანი, 18. დენ ვიკერმანი, 19. სკოტ ჰიგინბოთამი, 20. ლუკ ბრჯესი, 21. ენტონი ფაინგაა, 22. ლაკი ტერნერი.**

მეტოქეები

# პომები უელსს დებიუტანტით დაუხვდებიან

ახალ ზელანდიაში გასამართ მოსფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე, ინგლისის ეროვნული გუნდი შაბათს, „თვიქნემზე" უელსის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ამ მატჩში „პომების" თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** ექსპერიმენტს მიმართა. ინგლისის ნაკრების კვართს პირველად მოირგებს წარმოშობით სამოელი შუამარბი, 20 წლის **მანუ ტულიაგი.** მისი მეწყვილე უკანა ხაზში **რიკი ფლატი** იქნება.

*„ძალიან ამაყი ვარ, რომ ინგლისის ნაკრების კვართს მოვირგებ. გუნდში დიდი კონკურენციაა და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ნაკრებში ადგილის დამკვიდრების შანსი ხელიდან არ გავუშვა.*

*მზადების პროცესში მუყაითად ვიმუშავეთ. ახლა მთავარია, ეს ყველაფერი უელსთან მატჩში გამოვიყენოთ"*, - თქვა „პომების" დებიუტანტმა.

ნაკრებს დაუბრუნდა კაპიტანი **ლუის მუდი,** ფულბეკის პოზიციას კი **დელონ არმითიჯი** დაიკავებს. 86-ე კეპს მოიხვეჭს ეროვნულ ნაკრებში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **ჯონი ვილკინსონი.**

ინგლისი: **15. დელონ არმითიჯი, 14. მეთ ბანაჰანი, 13. მანუ ტუილაგი, 12. რიკი ფლატი, 11. მარკ კუეტო, 10. ჯონი ვილკინსონი, 9. დენი კარი. 1. ალექს კორბისიერო, 2. დილან ჰართლი, 3. მეთ სტივენსი, 4. საიმონ შოუ, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ კროფტი, 7. ლუის მუდი, 8. ჯეიმზ ჰესკელი.**

**16. ლი მეარსი, 17. დევიდ ვილსონი, 18. მოურის ბოთა, 19. ტომ ვუდი, 21. რიჩარდ ვიგელსფორსი, 21. ჩარლი ჰოჯსონი, 22. ჩარლი შარპლსი.**

# ხუთი ცვლილება ნარშავების რიგებში

„ბორჯღალოსნების" კიდევ ერთი მეტოქე შოტლანდიის ნაკრები „მერიფილდზე" ირლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ექვსი ერის გათამაშების ბოლო ტურში, იტალიის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ, „ნარშავების" ინგლისელმა მთავარმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა** ხუთი ცვლილება განახორციელა.

*„ნებისმიერ საერთაშორისო შეხვედრას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. თუმცა არის მატჩები, რომლებიც დამატებით მნიშვნელობას იძენენ. ირლანდიის ნაკრებთან მატჩი მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმისთვის მზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპია.*

*ჩვენს გუნდში საკმაოდ სერიოზული კონკურენციაა, რასაც აუცილებლად მოჰყვება დადებითი შედეგები. მოთამაშეებს კარგად ავუხსენი, რომ მათი ბედი მხოლოდ მათსავე ხელთაა. მოხვდებიან თუ არა ისინი ახალ ზელანდიაში ნამსვლელთა 30-კაციან განაცხადში, მხოლოდ მათ მონდომებასა და გარჯაზეა დამოკიდებული"*, - თქვა შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ენდი რობინსონმა.

„სკოტებს" დაუბრუნდა შუამარბი **გრემ მორისონი,** რომელმაც ტრავმის გამო ექვსი ერის წლევანდელი გათამაშება გამოტოვა. შესაბამისად, **შონ ლამონტმა** ფრთაზე გადაინაცვლა.

შერკინებაში, გუნდის ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშებს მესამეხაზელი **როს რენი,** რომელსაც აქამდე ექვსი კეპი მოუხვეჭია და საგულისხმოა, რომ ყველა ამ შემთხვევაში, თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო.

გუნდის კაპიტანი ცხრა ნომერი **რორი ლაუსონი** იქნება, ვიცე-კაპიტნობა კი შერკინების კვაჭ, **როს ფორდს** ანდეს. რობინსონმა სათადარიგოთა შორის შეიყვანა „ედინბურგის" 21 წლის მესამეხაზელი **დევიდ დენტონი** და 23 წლის უკანახაზელი **ჯეკ კატბერტი,** რომელიც შოტლანდიის A ნაკრებიდან დააწინაურეს.

შოტლანდია: **15. კრის პატერსონი, 14. ნიკი ვოლკერი, 13. ჯო ანსბრო, 12. გრემ მორისონი, 11. შონ ლამონტი, 10. რუარიდ ჯეკსონი, 9. რორი ლაუსონი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ჯოფ კროსი, 4. ჯიმ ჰემილტონი, 5. რიჩი გრეი, 6. ალასდაირ სტროკოში, 7. როს რენი, 8. ჯონი ბითი.**

**16. დაგ ჰალი, 17. ალადსაირ დიკინსონი, 18. ალისტერ კელოკი, 19. დევიდ დენტონი, 20. გრეგ ლაიდლოუ, 21. ნიკ დე ლუკა, 22. ჯეკ კატბერტი.**


რორი ლაუსონი

# ჰენრიმ შვიდი შეცვალა

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელისგან განსხვავებით, „ოლ ბლექსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** გუნდის შემადგენლობა შვიდი მორაგბით განაახლა.

**ოუენ ფრენქსმა** თავისი ძმა **ბენი** შეცვალა. შერკინების კვაჭად ისევ **კევინ მეალამუ** დაბრუნდა. მეორე ხაზში **ალი ვილიამსს ბედ თორნი** შეუწყვილდა. რვა ნომერი კი **კირან რიდი** იქნება.

უკანა ხაზში ცხრა ნომერზე ჰენრიმ **პირი ვიპუს** დაყენება გადაწყვიტა. გარემარბად დაბრუნდა **სიტივენი სივივატუ.**

*„ავსტრალიის ნაკრებთან მატჩი გაცილებით რთული იქნება, ვიდრე ერთი კვირის წინათ სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან დაპირისპირება იყო. ის ფაქტი, რომ ერთმანეთს მსოფლიოს რეიტინგში პირველ ორ საფეხურზე მყოფი გუნდები ეთამაშებიან, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. ამასთან, ეს შეხვედრა „ბლედისლოუს თასის" წლევანდელი სერიის პირველი მატჩია და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ შეხვედრაში გამარჯვება ვის დარჩება"*, - თქვა გრემ ჰენრიმ.

ახალი ზელანდიის ნაკრების მგეზავი **დენ კარტერი** ამ მატჩში 82-ე კეპს მოიხვეჭს და ამ მაჩვენებლის მიხედვით საუკეთესო ახალზელანდიელთა ოთხეულს მიუახლოვდება. ყველაზე მეტი კეპი ამჟამინდელ კაპიტან **რიჩი მაკქოუს** და ფულბეკ **მალილი მულიაინას** აქვს 96-96, ლეგენდარულმა შერკინების კვაჭმა **შონ ფიცპატრიკმა** 92 კეპი დააგროვა, **კევინ მეალამუს** აქტივში კი 83 კეპია.

ახალი ზელანდია: **15. მალილი მულიაინა, 14. სიტივენი სივივატუ, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ჰოსე გეარი, 10. დენ კარტერი, 9. პირი ვიპუ. 1. უაიტ კროკეტი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ალი ვილიამსი, 6. ჯერომ კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი.**

**16. ენდრიუ ჰორი, 17. ბენ ფრენქსი, 18. სამუელ ვაითლოქი, 19. ადამ თომსონი, 20. ენდი ელისი, 21. კოლინ სლედი, 22. სონი ბილ ვილიამსი.**

| სატურნირო მდგომარეობა |
|---|
| 1. ახალი ზელანდია - 5 ქულა, 2. ავსტრალია - 5, 3. სამ.აფრიკა - 0 |
| 6 აგვისტო |
| ახალი ზელანდია-ავსტრალია |
| 13 აგვისტო |
| სამ.აფრიკა-ავსტრალია |
| 20 აგვისტო |
| სამ-აფრიკა-ახალი ზელანდია |
| 27 აგვისტო |
| ავსტრალია-ახალი ზელანდია |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ჩოგბურთი. ტურნირები

# ივანოვიჩის რევანში

გასულ სათამაშო დღეს წვიმა სერიოზულად ჩაერია ერთ-ერთი ტურნირის მსვლელობაში. კერძოდ, კიტცბუელში მხოლოდ სამი სრულფასოვანი მატჩის ჩატარება მოხერხდა.

ავსტრიაში განთესვის პირველი ნომერი **ხუან-იგნასიო ჩელამ** მიიღო, თუმცა ბევრს მის ფავორიტობაში ეჭვი ეპარება, რადგან არგენტინელი გრუნტის ბოლო ორ ტურნირზე პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას. მაგრამ ამჯერად ჩელამ შეძლო სასტარტო ბარიერის გადალახვა - სამსეტიან მატჩში მოუგო **დანიელ ხიმენო-ტრავეროს**.

არგენტინელს გაუჭირდა შემდეგ ეტაპზე გასვლა. მან მოახერხა გადამწყვეტ პარტიაში ორი ბრეიკ-პოინტის მოგერიება, თავად კი ერთადერთი ასეთი შანსის გამოყენება შეძლო და ორ საათსა და 14 წუთში გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური.

**სანტიაგო ხირალდომ** ტურნირის მეოთხე ნომერს **ფაბიო ფონინის** მოუგო და წელს რიგით მეშვიდე მეოთხედფინალს მიაღწია.

■ ■ ■

ვაშინგტონში ერთ დროს ძლიერმა რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომ** შეწყვიტა ოთხმატჩიანი წაგებათა სერია და მესამე წრეში გააღწია. მსოფლიოს ყოფილი მესამე ჩოგანი ამჯერად სტაბილურად აწვდიდა და ორი სეტი იკმარა გამოუცდელი ავსტრალიელის **მეტიუ ებდენის** დასამარცხებლად.

შემდეგ წრეში რუსი ჩოგბურთელი საუკეთესო ათეულის კიდევ ერთ ყოფილ წევრს **ფერნანდო ვერდასკოს** შეხვდება, რომელმაც მეორე წრეში ასევე ავსტრალიელ **მარინკო მატოშევიჩს** მოუგო. ვერდასკო თანდათან შედის ოპტიმალურ ფორმაში, რაზეც გასულ კვირას გშტაადში ნათამაშები ფინალი მეტყველებს.

**ვიქტორ ტროიცკიმ რაიან ჰარისონი** შეაჩერა, რომელიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში ამერიკული ჰარდის სერიის ტურნირებში მინიმუმ ნახევარფინალამდე გადიოდა. სერბმა 13 ეისი ჩააწოდა და საკმაოდ დამაჯერებელ ჩოგბურთსაც აჩვენებდა.

ორი შეხვედრა ვადაზე ადრე დასრულდა. ერთ-ერთმა ფავორიტმა **იურგენ მელცერმა** მარცხენა ფეხის ტრავმის გამო მესამე სეტში შეწყვიტა **დონალდ იანგთან** ბრძოლა, **ქსავიე მალისემ** კი მარჯვენა ხელის ტრავმის გადამკიდე **მაიკლ რასელი** გაუშვა მესამე წრეში.

ყველაზე დამაჯერებელი გამოსვლა ჰქონდა ჩეხ **რადეკ შტეპანეკს**, რომელმაც 57 წუთის განმავლობაში მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო **უეინ ოდესნიკს**. ამ უკანასკნელს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია მთელი მატჩის განმავლობაში. ამერიკელმა ძირითად ბადეში ტრავმირებული თანამემამულე **მარდი ფიში** შეცვალა.

■ ■ ■

კარლსბადში ქალთა ტურნირზე მეორე წრე დასრულდა და რამდენიმე საინტერესო შედეგიც დაფიქსირდა.

**ანა ივანოვიჩმა აიუმი მორიტა** დაამარცხა, რითაც რევანში აუღო იაპონელს გასულ კვირას სტენფორდის ტურნირის პირველ წრეში წაგებისთვის.

**საბინ ლისიცკიმ** არ დაინდო დამსახურებული ვეტერანი **კიმიკო დატე** და ის 57 წუთში გაანადგურა. გერმანელმა პირველ მოწოდებაზე ბრწყინვალედ ითამაშა - ქულების 83 პროცენტი აიღო. სამაგიეროდ არ გაუმართლა ლისიცკის თანამემამულე **იულია გორჯესს**. მან სენსაციურად წააგო ნორჩ ამერიკელთან **სლოუნ სტივენსთან**. გამოუცდელ ჩოგბურთელს საერთოდ არ ეტყობოდა ნერვიულობა, რაზეც ოთხიდან ოთხი გამოყენებული ბრეიკ-პოინტი მიუთითებს.


ანა ივანოვიჩი

**WTA**

**Mercury Insurance Open**

კარლსბადი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 721 000 დოლარი

**II წრე**

**სლოუნ სტივენსი (აშშ)**-იულია გორჯესი (გერ, 7) 6:3, 7:5; **ვერა დუშევინა (რუს)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ, 16) 4:6, 6:1, 6:4; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 0:6, 7:6, 7:6; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 6:1, 6:3; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-რობერტა ვინჩი (იტა, 9) 6:4, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 8)**-ბარბორა სტრიკოვა (ჩეხ) 6:1, 6:3; **შუაი პენგი (ჩინ)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:1, 6:3; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-მარია კირილენკო (რუს, 11) კირილენკოს უარი; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:2, 3:1 კუდრიავცევას უარი; **სარა ერანი (იტა)**-ვანია კინგი (აშშ) 6:3, 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:1, 7:6; **კოკო ვანდევეგე (აშშ)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:7, 6:4, 6:3; **საბინ ლისიცკი (გერ)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:1, 6:2.

**ATP**

**Bet-At-Home Cup**

კიტცბუელი (ავსტრია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

**II წრე**

**ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 1)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:4, 3:6, 6:3; **ანდრეას სეპი (იტა, 6)**-პეპე რიბა (ესპ) 7:5, 6:4; **სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-ფაბიო ფონინი (იტა, 4) 6:3, 6:4.

**Legg Mason Tennis Classic**

ვაშინგტონი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 165 500 დოლარი

**II წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 6:3, 7:5; **მაიკლ რასელი (აშშ)**-ქსავიე მალისე (ბელ) 7:6, 2:3 რასელის უარი; **დონალდ იანგი (აშშ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:7, 6:4, 3:1 მელცერის უარი; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:1, 6:1; **ფერნანდო ვერადსკო (ესპ)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 6:4, 6:4; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 7:5, 6:2.

# ბალტაჩა მიდის

## როჯერ ფედერერი ისევ მწვერვალს უმიზნებს

ბრიტანელი ჩოგბურთელი **ელენა ბალტაჩა** აქტიური სპორტიდან წასვლაზე ალაპარაკდა. ქვეყნის ქალთა ჩოგბურთის პირველმა ნომერმა გაისად ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ დაგეგმა დიდი სპორტის მიტოვება.

*„მინდა მივაღწიო ოლიმპიურ თამაშებამდე და შემდეგ, სავარაუდოდ, სამუდამოდ მივატოვებ ჩოგბურთს. უკვე დიდი ხანია ამ საქმით ვარ დაკავებული“*, - განაცხადა ინტერვიუში ბალტაჩამ.

*„წელს 28 წელი მისრულდება. დილით ვილვიძებ და ვფიქრობ, კიდევ რამდენ ხანს გაუძლებს ჩემი ორგანიზმი ასეთ დატვირთვებს. ტრავმებიც მაწუხებს, ასე რომ, ხანგრძლივად ასე გაგრძელება არ შემიძლია“*, - ასკვნის შოტლანდიელი ჩოგბურთელი.

■ ■ ■

კარიერის დასრულებას არ ფიქრობს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი**. პირიქით, ლეგენდარულ შვეიცარიელს ისევ სჯერა, რომ შეძლებს რეიტინგის პირველ საფეხურზე დაბრუნებას.

*„ახლა საკუთარ თავთან ჰარმონიაში ვიმყოფები*, - განაცხადა ფედერერმა tennis.com-თან ინტერვიუში. - *და საკუთარ შესაძლებლობებსაც შესანიშნავად ვიცნობ. არ მინდა ზედმეტად თავდაჯერებული მოგეჩვენოთ, მაგრამ ვიცი, რომ კიდევ ბევრი შემიძლია. მე და ჩემს მწვრთნელებს მიგვაჩნია, რომ ყოველდღიურად უკეთ გავაგრძელებ თამაშს“.*

*„ძალიან ბევრი ტიტული მაქვს მოგებული, ამიტომაც დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ კიდევ შევძლებ „დიდი სლემის“ ტურნირებზე გამარჯვებას. მთავარია, ყველაფერი სწორად გავაკეთო*, - გვარწმუნებს როჯერი. - *ჩემთვის ყოველთვის სამაგალითონი იყვნენ ანდრე აგასი, ჯიმი კონორსი, კენ როზუოლი და როდ ლეივერი, ანუ ის მოთამაშეები, რომლებიც დიდი ხანი შემორჩნენ აქტიურ სპორტს. მეც მრავალწლიანი გეგმა მაქვს და მაინტერესებს, როგორ მოვახერხებ მის განხორციელებას“.*


ელენა ბალტაჩა

კრივი


ფლოიდ მეივეზერი

# პაკიაო-მეივეზერი იქნება

ხმაურიანი განცხადება გააკეთა ცნობილმა ამერიკელმა პრომოუტერმა **ბობ არუმმა**. მისი თქმით, წინ აღარაფერი უდგას „საუკუნის ბრძოლის“ ჩატარებას, რომელშიც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ თანამედროვეობის საუკეთესო მოკრივეები - ფილიპინელი **მენი პაკიაო** და ამერიკალი **ფლოიდ მეივეზერი**.

*„მეივეზერისა და პაკიაოს ჩხუბის ჩატარებას ხელს აღარაფერი უშლის. მზად ვართ ყველა საჭირო დოპინგ-ტესტის გასავლელად, რომელსაც მეივეზერის გუნდი გვთავაზობს. ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტო ტესტებს მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე ატარებს, მენი კი ამ ბრძოლისთვის მზადების პირველ ეტაპს ფილიპინებზე გაივლის.*

*არანაირი პრობლემა არ იქნება ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. მხარეები მზად არიან, ჰონორარი თანაბრად გაიყონ“*, - აიმედებს კრივის მოყვარულებს მენი პაკიაოს პრომოუტერი.

მოტოსპორტი

# ფავორიტი რადიაციას უფრთხის


კეისი სტოუნერი

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა დაადასტურეს, რომ იაპონიის გრანპრი დათქმულ ვადაში გაიმართება იმის მიუხედავად, რომ ეს ქვეყანა მარტში სერიოზულად დაზარალდა ძლიერი მიწისძვრისა და დამანგრეველი ცუნამის გამო.

თავდაპირველად ორგანიზატორები შიშობდნენ, რომ ვერ მოესწრებოდა სტიქიის გამო მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია, გარდა ამისა, სპორტსმენებს არ სურდათ გაზრდილი რადიაციული ფონის ქვეშ გამოსვლა. მაგრამ ყველა შიში ამაო გამოდგა და რბოლა წინასწარ დაგეგმილ ვადაში - ოქტომბერში გაიმართება.

თუმცა არის ერთი მოტომრბოლი, რომელიც არ აპირებს ამომავალი მზის ქვეყანაში გამგზავრებას. ეს გახლავთ „ჰონდას“ წევრი, ჩემპიონატის საერთო ჩათვლის ლიდერი **კეისი სტოუნერი**. მას სწორედ რადიაციის შიში აქვს.

*„მე დიდი ხანია, გადავწყვიტე, რომ იაპონიაში არ გავემგზავრები. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ მე არ მაქვს ასეთი აზრი. ორგანიზატორებმა გადაწყვიტონ, რა მოვიმოქმედოთ მომავალში“*, - ამბობს ავსტრალიელი მოტომრბოლი.

ოლიმპიზმი

# 100 წლის ჩემპიონი გარდაიცვალა

ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური ჩემპიონი **ატილიო პავეზი** 100 წლის ასაკში ბუენოს აირესში გარდაიცვალა. 1932 წელს ლოს ანჯელესში ზაფხულის X თამაშებზე პავეზი იტალიის ველომრბოლთა ნაკრებში გამოდიოდა და ოქროს ორი მედალი მოიგო.

იმ ოლიმპიადაზე პავეზიმ გაიმარჯვა საგზატკეცილო ველორბოლაში ინდივიდუალურ და გუნდურ რბოლებში. გუნდურ შეჯიბრებაში მასთან ერთად გამოდიოდნენ - ჯუზეპე ოლმო და გილერმო სეგატო.

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 1910 წლის პირველ ოქტომბერს იტალიის ქალაქ კაორსოში დაიბადა. ის ოჯახში მე-11 შვილი იყო. მეორე მსოფლიოს ომის დაწყების შემდეგ პავეზი არგენტინაში გაემგზავრა და იქ ველორბოლების ორგანიზებით იყო დაკავებული. მოგვიანებით მან არგენტინის მოქალაქეობა მიიღო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. ახალი ამბები

# ჰანტერი: სეზონი არ იქნება!

NBA-ის მოთამაშეთა პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორი **ბილი ჰანტერი** თითქმის დარწმუნებულია იმაში, რომ კალათბურთელები ვერ შეძლებენ კლუბების მფლობელებთან მოლაპარაკებას ახალი კოლექტიური ხელშეკრულების თაობაზე. ასე რომ, 2011-12 წლების სეზონი სრულად გაუქმდება.

ჩინოვნიკს მიაჩნია, რომ ამის მიზეზი კლუბების მფლობელთა ძალიან ხისტი პოზიციაა, რომლებიც კომპრომისზე წასასვლელად მზად არ არიან. შეგახსენებთ, რომ მხარეებს შორის მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა და სამი საათის შემდეგ უშედეგოდ დასრულდა.

■ ■ ■

ამასობაში, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გადაწყვიტა, ლოკაუტის პერიოდში ხელფასი არ აიღოს. ჩინოვნიკის ჯამაგირის ოდენობა ზუსტად არავინ იცის, თუმცა ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ლაპარაკია რვანიშნა რიცხვზე. ერთი წყაროს ცნობით, სტერნის წლიური ხელფასი 23 მილიონ დოლარს უდრის, მეორე წყარო 15-16 მილიონს ასახელებს.

ცნობილია, რომ ლიგის კომისარი თითოეული კლუბიდან წელიწადში 500 ათასს იღებს.



ბილი ჰანტერი

# ევრობასკეტი ოთხ ქვეყანაში

EURO BASKET 2015
FRANCE • GERMANY

**საინტერესო** იდეა აქვს გერმანიის კალათბურთის ფედერაციას - ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა საფრანგეთთან, იტალიასთან და ხორვატიასთან ერთად აპირებს 2015 წლის ევრობასკეტის მასპინძლობას. გუშინ, გერმანელებმა FIBA-ევროპაში თავიანთი განაცხადის 100-გვერდიანი დოსიე გააგზავნეს, აგრეთვე პირველადი თანხაც შეიტანეს - 50 ათასი ევრო.

ამ დოსიეს თანახმად, პირველი ეტაპის ერთ-ერთი ჯგუფის მატჩები, მაგალითად, იტალიის მილანსა და ხორვატიის ზაგრებში გაიმართება. ფინალის ჩატარება პარიზის „ბერსის“ დარბაზშია დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ წელს ევრობასკეტს ლიტვა უმასპინძლებს, ორი წლის შემდეგ - სლოვენია.

■ ■ ■

მნიშვნელოვანი შევსება მიიღო ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის წინ ბოსნიის ნაკრებმა. ამ გუნდს ევრობასკეტზე რუსეთის უნიქსის შემტევი მცველი **ჰენრი დომერკანტი** დაეხმარება.

სხვათა შორის, კალათბურთელის კონტრაქტში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების შემთხვევაში მას ხელფასი შეუმცირდება. მიუხედავად ამისა, დომერკანტმა მაინც გადაწყვიტა ბოსნიელთა დახმარება.

■ ■ ■

კარგი ამბავი შეიტყვეს ბრიტანეთის ნაკრების გულშემატკივრებმა: „ჩიკაგო ბულზის“ ერთ-ერთ ლიდერს **ლუოლ დენგს** ხელს არაფერი შეუშლის ევროპის ჩემპიონატზე თამაშში. თავის ოფიციალურ ვებგვერდზე დენგმა დაწერა, რომ დაზღვევის საკითხი მოგვარებულია და ის აუცილებლად ითამაშებს ევრობასკეტზე.

*„დენგის საკითხი მოგვარებულია. ძალიან მოხარულები ვართ, რომ ის ჩვენს ნაკრებს დიდ დახმარებას გაუწევს“*, - ამბობს ბრიტანეთის კალათბურთის ფედერაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

# თურქების დიდი შენაძენი

**მარსელინიო უერტასთან** და **კენიონ დულინგთან** უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, თურქეთის „ეფეს პილსენმა“ ორ კალათბურთელთან შეათანხმა კონტრაქტის დეტალები. ესენი არიან NBA-ის წარმომადგენლები: გამთამაშებელი **პატრიკ მილზი** და ფორვარდი **ერსან ილიასოვა**.

ავსტრალიელი მილზი დათანხმდა ერთწლიან კონტრაქტს. ბოლო ორი წელი მან „პორტლენდში“ გაატარა და შარშანდელ სეზონში 64 მატჩში 5.5 ქულა და 1.7 შედეგიანი პასი დააგროვა.

ილიასოვა მომავალ სეზონში „ეფესის“ შემადგენლობაში თამაშის სანაცვლოდ 2.7 მილიონ ევროს მიიღებს. ის „მილუოკის“ წევრია. გასულ რეგულარულში მისი მონაგარი 9.5 ქულასა და 6.1 მოხსნას შეადგენდა.



რონდო (მარჯვნივ) ბავშვებისთვის იბრძოდა

■ ■ ■

„ნიუ ჯერსი ნეტსის“ მცველი **ჯორდან ფარმარი** თელ-ავივის „მაკაბიში“ გადავიდა. ეს მოულოდნელი ინფორმაციაა, რადგან ცოტა ხნის წინ ლაპარაკობდნენ ფარმარსა და ჰაიფას „მაკაბის“ შორის წარმატებულ მოლაპარაკებებზე, მაგრამ ებრაული წარმოშობის ამერიკელმა უფრო ძლიერ გუნდში გადასვლა ამჯობინა.

შარშან ფარმარის საშუალო მაჩვენებლები 24.6 წუთს, 9.6 ქულასა და 5.0 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

■ ■ ■

„ბოსტონ სელტიქსის“ მცველმა **რაჟონ რონდომ** და კომპანია „რედ ბულმა“ ერთობლივი აქციის შედეგები შეაჯამეს. გასულ სეზონში შესრულებული თითო ჩაჭრის სანაცვლოდ ავსტრიული კომპანია კალათბურთელს 500 დოლარს უხდიდა. რონდომ ჯამში 153 ჩაჭრა შეასრულა, ასე რომ, მისი მონაგარი 76 500 დოლარს შეადგენს. ეს ფული რაჟონმა ბოსტონის პარკებს უსახსოვრა, რომლებშიც ძველი საკალათბურთო მოედნები გაარემონტეს.

*„ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. თავად ვიყავი ბავშვი და ქალაქის ცენტრში ვიზრდებოდი. შესანიშნავია, რომ უფრო ბევრ ბავშვს ექნება ვარჯიშისა და თამაშის საშუალება. მზად ვარ ყველანაირად დავეხმარო ამ ბიჭებს“*, - განაცხადა რონდომ.

● ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევროპის ლიგა

### III საკ. ეტაპი. II მატჩები

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-აეკ (ლ) | 2:2 (0:3) |
| ვარტექსი-დინამო (ბ) | 1:2 (2:2) |
| აქტობე-ალანია | 1:1 პენ. 2:4 (1:1) |
| ელფსბორგი-ოლესუნდი | 1:1 (0:4) |
| ყარაბახი-ბრიუგე | 1:0 (1:4) |
| სტრიომსგოდ.-ატლეტიკო | 0:2 (1:2) |
| სლიგო-ვორსკლა | 0:2 (0:0) |
| ბრონდბიუ-რიდი | 4:2 (0:2) |
| შენიცა-ზალცბურგი | 0:3 (0:1) |
| გაზ მეთანი-მაინცი | 1:1 პენ. 3:4 (1:1) |
| გომელი-ბურსა | 1:3 (1:2) |
| ჰაკენი-ნასიონალი | 2:1 (0:3) |
| ჰაიდუკი-სტოკი | 0:1 (0:1) |
| ჰელსინგბორგი-ბნეი იეჰუდა | 3:0 (0:1) |
| ლეგია-გაზიანთეფი | 0:0 (1:0) |
| ტრნავა-ლევსკი | 2:1 პენ. 5:4 (1:2) |
| ლოკომ. (ს)-შლიონ. | 0:0 პენ. 3:4 (0:0) |
| მაკაბი (თ-ა)-ჟელეზნიჩარი | 6:0 (2:0) |
| თუნი-პალერმო | 1:1 (2:2) |
| დენ ჰააგი-ომონია | 1:0 (0:3) |
| ოლიმპიაკ. (ვ)-დიფერდანჟი | 3:0 (3:0) |
| პაოკ-ვოლერენგა | 3:0 (2:0) |
| რაბოტნიჩკი-ანორთოსისი | 1:2 (2:0) |
| ვადუცი-ჰაპოელი (თ-ა) | 2:1 (0:4) |
| ვესტერლო-იანგ ბოიზი | 0:2 (1:3) |
| ფულჰემი-სპლიტი | 2:0 (0:0) |
| იაბლონეცი-ალკმაარი | 1:1 (0:2) |
| ცრვ. ზვეზდა-ვენტსპილსი | 7:0 (2:1) |
| ჰართსი-პაკსი | 4:1 (1:1) |
| სტ. პატსი-კარპატი | 1:3 (0:2) |
| სარაევო-სპარტა | 0:2 (0:5) |
| აუსტრია-ოლიმპიკი | 3:2 (1:1) |
| გიმარაეში-მიდტიულანდი | 2:1 (0:0) |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ვარეზე-ოსასუნა | 1:2 |
| ნაპოლი-პენიაროლი | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-ვესტ ბრომვიჩი | 2:2 |
| კადისი-უდინეზე | 0:0 |
| სევილია-ესპანიოლი | 5:0 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სტარტი-მიოლდე | 1:2 |

### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ჰიონეფოსი-სანდეფიორდი | 2:3 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-აიკ | 3:1 |

### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| სუნდსვალი-ფალკენბერგსი | 4:0 |

## ჩოგბურთი

### ATP. კიცბუელი

| | |
|---|---|
| ჰაასე-ლოპესი | 1:6, 6:4, 6:3 |
| მონტანიესი-კოლშრაიბერი | 6:4, 7:5 |
| ვეიჩი-გრანოლერსი | 0:6, 6:3, 4:6 |
| სოუზა-ხუნკეირა | 6:2, 6:2 |
| ანდუხარი-რამოსი | 6:2, 6:1 |
| სეპი-ჰაასე | 4:6, 2:6 |
| ხირალდო-მონტანიესი | 1:6, 6:7 |

### ATP. ვაშინგტონი

| | |
|---|---|
| მონფილსი-სვიტინგი | 6:3, 7:6 |
| ბელუჩი-ჰაასი | 7:6, 3:6, 6:3 |
| ლოდრა-დიმიტროვი | 3:6, 0:6 |
| ტიპსარევიჩი-ბერერი | 6:3, 6:4 |

● TV პროგრამა

## 5 აგვისტო. პარასკევი

### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. 2010-11. ბაიერნი-დორტმუნდი.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. 2010-11. პსჟ-ლილი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. 2010-11. აიაქსი-ალკმაარი.
**16:00** სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:00** სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი.
**19:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:00** გერმანიის თასი. 1/32 ფინალი. ბრაუნშვაიგი-ბაიერნი.
**22:00** გერმანიის თასი. 1/32 ფინალი. მიმოხილვა.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. დორტმუნდი-ჰამბურგი (LIVE).
**00:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. გასული სეზონის მიმოხილვა.
**02:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის თასი. 1/32 ფინალი. ტენინგენი-შალკე.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. სან-ანტონიო-ბოსტონი.
**13:30** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჰოლანდია-იტალია. შვეიცარია.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ.
**19:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**19:45** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ (LIVE).
**23:55** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. სან-ანტონიო-ბოსტონი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**14:00** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფის რაუნდის წილისყრა (LIVE).
**15:30** ევროპის ლიგა. პლეი ოფის რაუნდის წილისყრა (LIVE).
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

**22:00** მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. XIII ეტაპი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**05:00** ცურვა. აშშ-ის ჩემპიონატი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

**22:00** ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ (LIVE).
**01:00** ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ (LIVE).

### SPORT+

**22:40** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩემპიონშიფი. ჰალი-ბლეკპული (LIVE).

### EUROSPORT

**14:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფის რაუნდის წილისყრა (LIVE).
**15:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. პლეი ოფის რაუნდის წილისყრა (LIVE).
**16:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. შესარჩევი ეტაპი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**17:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. შესარჩევი ეტაპი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**19:30** ველოსპორტი (LIVE).
**01:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-კამერუნი. კოლუმბია (LIVE).

### EUROSPORT-2

**18:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. შესარჩევი ეტაპი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**19:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. შესარჩევი ეტაპი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**01:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სან დიეგო. აშშ (LIVE).
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ახალი ზელანდია. კოლუმბია (LIVE).

● ფორმულა 1

# უსარგებლო ბოლიდი

**როგორც** იცით, უნგრეთის გასულ გრანპრიზე სერიოზული ინციდენტი შეემთხვა „ლოტუს-რენოს“ პილოტ **ნიკ ჰაიდფელდს**: პიტ-ლეინიდან გამოსვლისას მისი ბოლიდის მარცხენა ნაწილი აალდა და გერმანელმა დიდი გაჭირვებით მოახერხა ხიფათისთვის თავის დაღწევა.

ახლა ირკვევა, რომ ბელგიის გრანპრიზე ჰაიდფელდს ახალი მანქანით მოუწევს გამოსვლა, რადგან ძველი აღდგენას არ ექვემდებარება.

ფრანგული საჯინიბოს ინჟინრებს იმედი აქვთ, რომ მომდევნო ეტაპისთვის მოასწრებენ ჰაიდფელდისთვის ბოლიდის მომზადებას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



დამწვარი ლოტუს-რენო

● ჰოკეი

# ყველაზე ძვირადღირებული მცველი

**ამიერიდან** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მცველი **ში უებერი** იქნება. მან NHL-ის არბიტრაჟის მეშვეობით თავის ამჟამინდელ კლუბს - „ნეშვილ პრედატორზს“ ერთწლიანი კონტრაქტი „დასტყუა“, რომლის მიხედვითაც მომავალ სეზონში 7.5 მილიონ დოლარს მიიღებს. უებერმა გააუმჯობესა **სკოტ ნიდერმაიერის** რეკორდი, რომელმაც 2004 წელს „ნიუ ჯერსი დევილზთან“ 7-მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

არბიტრაჟამდე საქმე იმიტომ მივიდა, რომ „ნეშვილმა“ და უებერმა ვერ მოახერხეს მრავალწლიან კონტრაქტზე მოლაპარაკება: ჰოკეისტს წლიურად 8.5 მილიონის მიღება სურდა, კლუბი კი მხოლოდ 4.75 დოლარს იხდიდა. საბოლოოდ, არბიტრაჟმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც უებერს უფრო აწყობდა.

ამ მცველს ორჯერ აქვს ნათამაშები NHL-ის „ყველა ვარსკვლავის მატჩში“, წელს კი ნომინირებული იყო „ნორის ტროფიზე“, რომელიც სეზონის საუკეთესო მცველს გადაეცემა. სულ 25 წლის უებერს 402 მატჩში 80 გოლი და 134 შედეგიანი პასი დაუგროვდა. 2010 წელს ში კანადის ნაკრებთან ერთად ვანკუვერის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა, 2007 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო.

2011-12 წლების სეზონის დასრულების შემდეგ უებერი ისევ გახდება შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტი, თუმცა „ნეშვილს“ უკვე აღარ შეეძლება არბიტრაჟში განცხადების შეტანა. თუ მხარეები ახალ კონტრაქტზე ვერ მორიგდებიან, 2012 წლის ივლისიდან მცველს სხვა კლუბებთან მოლაპარაკების უფლება ექნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა




# ბოლტი ფეხბურთში გადავა

ცნობილია, რომ პლანეტის ყველაზე სწრაფი ადამიანი **უსაინ ბოლტი** ფეხბურთის დიდი მოყვარულია. იამაიკელი სპრინტერი არ გამორიცხავს, ერთხელ პროფესიონალი ფეხბურთელის როლში რომ გამოგვეცხადოს.

*„ამას სერიოზულად ვამბობ. ვფიქრობ, შესაძლებელია, ფეხბურთში რამე გამომივიდეს. შემიძლია, მაღალ დონეზე გავიდე“*, - განაცხადა უსაინმა.

იამაიკელს არ დაუკონკრეტებია, რომელ ლიგაში აპირებს ძალების მოსინჯვას. *„რთულია წინასწარ გეგმების დაწყობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა უმაღლესი დონის გუნდებზეა ლაპარაკი. შესაძლოა, რომელიმე ასეთმა კლუბმა მართლაც მიმიწვიოს, მაგრამ მანამდე საჭიროა სამოყვარულო დონეზე თამაში, რათა უკეთ შევიტყო საკუთარი პერსპექტივების შესახებ“*, - ამბობს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

უსაინ ბოლტი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანია. სკოლაში სწავლისას ის საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა.

ფორმულა 1



ბატონი ყველაფრით გამორჩეულია

# ბატონი ყველაზე მოდურია

## ლუის ჰემილტონმა ფერარიში გადასვლა უარყო

ამერიკულმა ჟურნალმა Vanity Fair-მა ტრადიციულად წლის ყველაზე მოდურად ჩაცმული ვარსკვლავების სია გამოაქვეყნა. მამაკაცთა პირველ ათეულში მოხვდა „მაკლარენის“ პილოტი **ჯენსონ ბატონი**. მის გვერდით ვხედავთ პოპ-მომღერალს **ჯასტინ ტიმბერლეიკს**, მსახიობ **კოლინ ფერტსა** და შოუ-ბიზნესის სხვა ცნობილ წარმომადგენლებს.

საინტერესოა, რომ ბატონი ერთადერთი სპორტსმენია, რომელიც Vanity Fair-ის ექსპერტებმა მოდურად ჩაცმის მხრივ გამოარჩიეს. თუმცა ქალების სიაში ვხედავთ ცურვაში სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილ წევრს **შარლინ უიტსტოკს** (მეათე ადგილი), ოღონდ ის რეიტინგში კარგი ჩაცმულობის გამო არ შესულა: ერთი თვის წინ შარლინი მონაკოს პრინცის **ალბერ II**-ის მეუღლე გახდა და ქმართან ერთად აღმოჩნდა გამორჩეულთა სიაში.

■ ■ ■

უკვე ბევრი დაიწერა „მაკლარენიდან“ **ლუის ჰემილტონის** წასვლის შესახებ. ცნობილია, რომ ბრიტანელი პილოტი მონრეალში **კრისტიან ჰორნერს** შეხვდა და პრესამ მაშინვე დაიწყო ლუისის „რედ ბულში“ სავარაუდო ტრანსფერის შესახებ მსჯელობა. ბუდაპეშტში ჰემილტონი **პიტ ფრაის** გვერდით შეამჩნიეს და მომდევნო დღეს ჟურნალისტებმა დაწერეს, რომ მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონი „ფერარიში“ გადადის. თუმცა ლუისმა ესპანური AS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს:

*„ფერარიში“ გადასვლას არ ვგეგმავ, არ ვზრუნავ ამისთვის. ვერც იმას ვგრძნობ, რომ ერთხელ მომიწევს ამის გაკეთება. თუმცა ჩვენ ლეგენდარულ გუნდზე ვლაპარაკობთ და არავინ იცის, რა მოხდება მომავალში.*

*სადებიუტო სეზონში ბევრი რამ ვისწავლე ფერნანდო ალონსოსგან. ესპანელი - ძალიან სწრაფი და უნიჭიერესი პილოტია, რომელიც ბოლომდე იხარჯება რბოლებში“.*

ჩოგბურთი

# სეზონის ეკვატორზე (I ნაწილი)

**უკან დარჩა სეზონის ნახევარი. ამ დროის განმავლობაში ATP-ის ტურში უკვე 50-ზე მეტი ტურნირი ჩატარდა. შესაბამისად, აგვისტოს დასაწყისისთვის ბევრი საინტერესო სტატისტიკური მონაცემი დაგროვდა, რომელსაც მამაკაცთა ტურის ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს და შესაბამის ანალიზსაც ურთავს თან.**

### ეისები

თანამედროვე ჩოგბურთის ტენდენცია ისეთია, რომ მხოლოდ მოწოდების ხარჯზე მატჩებს ვერ იგებენ, ამიტომაც ეს კატეგორია გადამწყვეტი არ გახლავთ, სამაგიეროდ, გულშემატკივრებს ყოველთვის აინტერესებთ, ვინ არის პლანეტის საუკეთესო „ეისმეიკერი“.

ამ სიას სათავეში უდგას ესპანელი **ფელისიანო ლოპესი**. ის ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი მოწოდებით, მაგრამ ტურის ლიდერი ეისების რაოდენობით არასოდეს ყოფილა. ბოლო წლებში ეს როლი **ენდი როდიკს, ივო კარლოვიჩს** ან **ივან ლუბიჩიჩს** ეკუთვნოდათ.

ფელისიანო უახლოეს მდევარს ბევრით არ უსწრებს - ესპანელსა და **მილოშ რაონიჩს** შორის სხვაობა 22 ეისია. თუმცა ახალგაზრდა კანადელი ტრავმირებულია და ლოპესს შეუძლია კომფორტული მანძილით დაშორდეს კონკურენტს. ასევე ხუთეულში შედიან **ჯონ ისნერი, ჟოვილფრიდ ცონგა** და **ივო კარლოვიჩი**. თითოეულს აქვს შანსი ფელისიანოს ლიდერობისთვის შეებრძოლოს.

მოულოდნელობებიდან უნდა აღინიშნოს ათეულში **როჯერ ფედერერის** არყოფნა. წელს შვეიცარიელი ნაკლებ ეისს აწვდის, სამაგიეროდ, რეიტინგის პირველ ოთხეულს შორის ლიდერია.

**1. ფელისიანო ლოპესი - 531 ეისი**
**2. მილოშ რაონიჩი - 509**
**3. ჯონ ისნერი - 489**
**...12. როჯერ ფედერერი - 333**
**...16. ენდი მიურეი - 302**
**...21. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 239**
**...34. რაფაელ ნადალი - 196**

### პირველი მოწოდების პროცენტი

ეს მაჩვენებელიც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. ერთხელ **რაფაელ ნადალს** ჰკითხეს: რას ნიშნავს **მარკოს ბაღდატისთან** მატჩის ერთ-ერთ პარტიაში პირველი მოწოდების 100-პროცენტიანი სიზუსტე. ამაზე ესპანელმა უპასუხა - ე. ი. ცუდად ვაწვდიდი, რადგან საკმარისად არ ვრისკავდიო.

საპატიო ლიდერი გახლავთ **პოტიტო სტარაჩე** (72%), მაგრამ წელს იტალიელს კასაბლანკას ფინალის გარდა გასახსენებელი არაფერი აქვს. მეორე ადგილზეა ამ სეზონის ერთ-ერთი მთავარი ანტიგმირი **ნიკოლაი დავიდენკო** (71%). რუსი ტრადიციულად ლიდერებს შორისაა ამ კატეგორიაში, მაგრამ წელს მისთვის ნებისმიერ ტურნირში პირველი წრის გადალახვაც პრობლემატურია. სამეულში ვხედავთ ჯონ ისნერს (69%), რომლისთვისაც ეს ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამასთან, ამერიკელი ივლისამდე ძალიან ცუდად თამაშობდა, მაგრამ ახლა გამოსწორდა (ტიტული ნიუპორტში, ფინალი ატლანტაში).

ნადალი (67%) და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (66%) ათეულში არიან. ახლოსაა ფედერერი, **ენდი მიურეი** კი მხოლოდ 44-ე პოზიციაზეა, თუმცა ბრიტანელი სტაბილური პირველი მოწოდებით არასოდეს გამოირჩეოდა. ყველაზე ცუდად **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** (53%) და **მარკოს ბაღდატისი** (52%) აწვდიან.

**1. პოტიტო სტარაჩე - 72%**
**2. ნიკოლაი დავიდენკო - 71%**
**3. ენდი მიურეი - 69%**
**...7. რაფაელ ნადალი - 67%**
**...10. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 66%**
**...12. როჯერ ფედერერი - 64%**
**...44. ენდი მიურეი - 59%**

### პირველი მოწოდებით მოგებული ბურთები

ეს მაჩვენებელი კი ხშირად გადამწყვეტია. აქ ყველაზე ხშირად ლიდერთა შორის არიან ძლიერი მოწოდების მქონე მოთამაშეები და უბრალოდ, მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერები. წელს ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ფედერერს (78%). როცა შვეიცარიელს მოწოდება მისდის, მის მოწოდებაზე გეიმები სწრაფად სრულდება. თუმცა ამ კატეგორიაში დიდი სიმჭიდროვეა. ფედერერის მსგავსი პროცენტი აქვთ რაონიჩსა და ლოპესს. 77 პროცენტი - **ტომაშ ბერდიხს, მარდი ფიშს, ხუან-მარტინ დელ პოტროს,** ისნერსა და ცონგას.

მოულოდნელად მხოლოდ 23-ე ადგილზეა ნადალი (72%), ჯოკოვიჩი ოდნავ მაღლაა - მე-15 ადგილი (75%).

**1. როჯერ ფედერერი - 78%**
**2. ფელისიანო ლოპესი - 78%**
**3. მილოშ რაონიჩი - 78%**
**...15. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 75%**
**...19. ენდი მიურეი - 74%**
**...23. რაფაელ ნადალი - 72%**

### მეორე მოწოდებით მოგებული ბურთები

ეს მაჩვენებელი იდეალურად გამოხატავს იმას, თუ როგორ მოქმედებენ სპორტსმენები გათამაშებების დროს, რადგან ყველაზე ხშირად მეორე მოწოდების შემდეგ ვითარდება ბრძოლა ბეისლაინზე. ნაწილობრივ ეს ასახავს მეორე მოწოდების ძალას, რომელიც ზოგიერთს ძალიან სუსტი აქვს, რითაც ინიციატივა მიმღების მხარეს გადადის.

ლიდერთა ასეთი სამეული მოსალოდნელი იყო - ჯოკოვიჩი (58%), ნადალი (57%) და ფედერერი (57%). მეოთხე ადგილზე კი კიდევ ერთი სერბია - **იანკო ტიპსარევიჩი** (56%). არადა, ვერ ვიტყვით, რომ მისთვის სეზონი კარგად ვითარდება, ასე რომ, მეორე მოწოდება ყოველთვის ვერ ეხმარება ჩოგბურთელს მატჩების მოგებაში. ათეულშია ფიში (55%), რომელიც წელს კარიერაში პირველად მოხვდა ტოპ-ათეულში. მეორე მოწოდებაზე წარმატებული თამაში - სწორედ ეს გახლავთ ამ გარღვევის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ამ კომპონენტში ბევრი მუშაობა მოუწევს მიურეის, რადგან ძალიან დაბალი პროცენტი აქვს - 48%.

**1. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 58%**
**2. რაფაელ ნადალი - 57%**
**3. როჯერ ფედერერი - 57%**
**...51. ენდი მიურეი - 48%**

### საკუთარ მოწოდებაზე მოგებული გეიმები

ეს კატეგორია წინა ორს ეფუძნება, გარდა ამისა, საჭიროა ბრეიკ-პოინტების მოგერიების უნარი, რაზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ლიდერია ჯონ ისნერი (90%), რომელიც ათიდან ცხრა თავის გეიმს იღებს, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. მის გვერდით არიან ჯოკოვიჩი (89%) და ფედერერი (89%). ერთი კარგად თამაშობს პირველ მოწოდებაზე, მეორე - მეორეზე, მაგრამ საერთო ჯამში, საკუთარ გეიმებს ერთნაირად კარგად იღებენ. ნადალი (85%) ამ სიაში მერვე ადგილს იკავებს, მაგრამ მისი კოზირი ყოველთვის მიღება იყო. იგივე ითქმის მიურეიზე (78%), რომელიც 31-ე ადგილზეა.

**1. ჯონ ისნერი - 90%**
**2. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 89%**
**3. როჯერ ფედერერი - 89%**
**...9. რაფაელ ნადალი - 85%**
**...31. ენდი მიურეი - 78%**

### მოგერიებული ბრეიკპოინტები

ამ შემთხვევაში მაღალ პროცენტს განაპირობებს კარგი მოწოდება და ფსიქოლოგიური მდგრადობა. ყოველთვის, როცა ვინმე ბრეიკ-პოინტს ეისით იგერიებს, მასზე ამბობენ, რომ საჩემპიონო ხასიათი აქვს. ეს ნაკლებად ეხებათ ისნერს ან კარლოვიჩს, რადგან ისინი, უბრალოდ, ხშირად აწვდიან ეისებს.

ამ მონაცემთა მნიშვნელობას ადასტურებს ადამიანი, რომელიც აღნიშნულ კატეგორიას უდგას სათავეში - მსოფლიოს პირველი ჩოგანი ჯოკოვიჩი (70%). უახლოეს მდევრებს შორის ვხედავთ „ეისმეიკერებს“ - ლოპესსა (67%) და რაონიჩს (67%), აგრეთვე უმაღლესი დონის მოთამაშეებს - **დავიდ ფერერს** (67%), დელ პოტროსა (67%) და ნადალს (66%).

ენდი მიურეი ამ სიაშიც საკმაოდ შორს არის - 36-ე ადგილი.

**1. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 70%**
**2. კევინ ანდერსონი - 68%**
**3. დავიდ ფერერი - 67%**
**...8. რაფაელ ნადალი - 66%**
**...9. როჯერ ფედერერი - 65%**
**...36. ენდი მიურეი - 59%**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ენდი მიურეიმ ბევრ კომპონენტში უნდა მოუმატოს